დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2024 წლის 19 - 25 თებერვალი

N 9 1527

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი



# რაია, რაინდო?!

## დაუკრეფავში გადასული ლევან ვასაძე ბიძინა ივანიშვილს გამოუხტა!



2



ვასაძე ივანიშვილს „ფარჩაკს“ რომ ეძახის, ეს იგივეა, კურდღელმა ლომს გულადობა დაუწუნოს და სიმხდალე დააბრალოს!

3



ვასაძე და მისი მეგობარი ხაზარაძე ბიძინა ივანიშვილს ერთ ხმაში ულრენენ, ერთი — კიკეთის რეზიდენციიდან, ხოლო მეორე — ცეცხლმოკიდებული „ფორდ მუსტანგიდან!“

8-9

ზოლი ნახეთ!

## 1989 წლის 18 თებერვალს, როცა ბიძინა ივანიშვილი 33 წლის გახდა, მამუკა ხაზარაძე მერაბ კოსტავას სკამის ფეხით დასდევდა!

# ზედანიას «ზადანია» შესრულებულია! 4

## გიორგი ანდრიაძე:





## სააკაშვილმა ან სალომე ზურაბიშვილმა პრეზიდენტის აპარატიდან კონკორდატის დედანი მოიპარა!

10


კონსტიტუციური შეთანხმება

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის

მუხლი 6

## „ასავალ-დასავალში“ დაბეჭდილი ეს ინტერვიუ პროკურატურამ მიიღოს, როგორც საჯარო შეტყობინება და დაიწყოს ძიება!

11

## ნანა კაკაბაძე:



13

## ნავალნი ჩემი გმირი არ ყოფილა!

ნავალნი, ბოდიშის მოხდამდე, ქართველებს „გრიზუნებს“ უწოდებდა, ხოლო ბოდიშის მოხდის შემდეგ სააკაშვილის ციხიდან გაშვებას ითხოვდა!

# კიევში ბულგაკოვი კიკაბიძედ გადააკეთეს! 21

# დაუკრეფავში გადასული ლევან ვასაძე ბიძინა ივანიშვილს გამოუხტა!

# რაია, რაინდო?!



ძღავს, შეურაცხყოფს და მიწაში დებს.

ვასაძის პლატფორმას ჰქვია **„ერი მედია"** და იქ გადის გადაცემა **„თვალსაწიერი"**, საიდანაც **თბილისში, მთაწმინდაზე, გაზრდილი** ბიზნესმენი მაყურებელს ოლიმპოზე მოკალათებული ზევსის ჰონორით ესაუბრება. გადაცემის ფორმატიც ისეთია — **თბილისში, მთაწმინდაზე, გაზრდილ** ბიზნესმენსა და სამეფო გვირგვინის დინასტიური ორდენის დიდი ჯვრის **რაინდს** რომ შეშვენის — ორი წამყვანი, როგორც ორი ჩვეულებრივი მოკვდავი, მომცრო სტუდიაში ზის, ხოლო **ლევან ვასაძე** სხვა ადგილიდან ერთვება — ვრცელ და მდიდრულ კაბინეტში დიდ მაგიდასთან მჯდომი, ვითარცა მიუწვდომელი და ხელშეუვალი კერპი.

მაშ, ყველაფერი მზად არის იმისათვის, რომ **თბილისში, მთაწმინდაზე, გაზრდილმა** ბიზნესმენმა **ვასაძემ** საჩხერის სოფელ ჭორვილაში გაზრდილ ბიზნესმენ ივანიშვილს შეუტიოს და არც აყოვნებს:



***„როცა „ფარჩაკი" ხარ და ისა ხარ, „მელკი" ვაჭარი ხარ, რომელიც რაღაც შენი კლანის გამდიდრებას ჩალიჩობ, მაშინ შენ ვერც „სოკარს" ვერ აღუდგები წინ და ვერც ვერავის საერთოდ, რა".***

ე.ი. **ლევან ვასაძე** ბიძინა ივანიშვილს უწოდებს **„ფარჩაკს"**, რაც ნიშნავს მშიშარას, გაუბედავს, უნიათოსა და უხეიროს... ამას ჰქვია გაღმა შედავებისა და გამოღმა შერჩენის ტაქტიკა, ანუ, **როცა ხარ ლევან ვასაძე** და საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე მძიმე პერიოდში ბუჩქებიდან თავი არ გამოგიყვია; **როცა ხარ ლევან ვასაძე** და კრინტი არ დაგიძრავს სააკაშვილის უბოროტესი რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც ახალგაზრდებს ქუჩაში ხოცავდა, პატიმრებს აწამებდა და აუპატიურებდა, მშვიდობიან საპროტესტო აქციებს სისხლში ახშობდა, ბიზნესს ატერორებდა და სიტყვის თავისუფლებას გუდავდა; **როცა ხარ ლევან ვასაძე** და მთელი ცხრა წლის განმავლობაში ქვეყნის დაქცევას შორიდან გულხელდაკრეფილი უყურებდი იმის შიშით, რომ სააკაშვილის რეჟიმი შენს ბიზნესებს არ შეხებოდა, შენს მილიონებს საფრთხე არ დამუქრებოდა და თავიდან თმის ღერი არ ჩამოგვარდნოდა, აუცილებლად „ფარჩაკი" უნდა დაუძახო ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც საკუთარი მილიარდები, საკუთარი ოჯახის უსაფრთხოება და საკუთარი სიცოცხლე უდიდესი საფრთხის ქვეშ დააყენა, სააკაშვილის თავზეხელაღებულ ბანდასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება და საქართველო მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმისაგან გაათავისუფლა.

**იმას, რაც ბიძინა ივანიშვილმა სააკაშვილის რეჟიმისაგან საქართველოს გათავისუფლებით გააკეთა, „ფარჩაკობა" კი არა, სიმამაცე და თავდადება ჰქვია, ხოლო ნამდვილი „ფარჩაკობა" ის არის, რომ ლევან ვასაძეს სააკაშვილის რეჟიმისაგან საქართვე-**

***საქართველოს სამეფო სახლის მეთაურს, მის სამეფო უმაღლესობას — ბატონიშვილ ნუგზარს 2013 წელს ლევან ვასაძისათვის საქართველოს სამეფო გვირგვინის დინასტიური ორდენის დიდი ჯვრის რაინდის წოდება რომ არ მიენიჭებინა, თბილისში, მთაწმინდაზე, გაზრდილი ქართველი ბიზნესმენი საქართველოს სახალხო ნარცისის წოდებასაც დიდებულად შეიფერებდა.***

**თბილისში, მთაწმინდაზე, გაზრდილი** ტყუილად როდი ვახსენეთ...

ინტერნეტში, თავისუფალ ენციკლოპედია „ვიკიპედიაში" რომ შეხვალთ, **ლევან ვასაძის** გვერდზე ზუსტად ასე წერია: „ქართველი ბიზნესმენი. **გაიზარდა თბილისში, მთაწმინდაზე".**

ხედავთ, როგორი ამბავია? ენციკლოპედიაც კი გვაფრთხილებს — **ლევან ვასაძე ვიღაც პროვინციიდან ჩამოთრეული, მაგალითად, საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილაში დაბადებული და გაზრდილი ბოგანო არ გეგონოთ, იგი თბილისის შუაგულში გაზრდილი ქალაქელი კაციაო.**

ვასაძის ნარცისიზმი მის საჯარო გამოსვლებში, მანერებსა და პოზებში ხომ ისედაც თვალსაჩინოდ გამოსჭვივის, მაგრამ **რაინდი** მაინც თავს იზღვევს და „ვიკიპედიიდანაც" შეგვახსენებს — **ძირძველი თბილისელი, თანაც, ცენტრალურუბნელი გახლავართო!**

ჰოდა, **თბილისში, მთაწმინდაზე, გაზრდილი** ქართველი ბიზნესმენი **ლევან ვასაძე** საჩხერეში, სოფელ ჭორვილაში, გაზრდილ ქართველ ბიზნესმენ **ბიძინა ივანიშვილს** საკუთარი მედია-პლატფორმიდან ლან-

**იმას, რაც ბიძინა ივანიშვილმა სააკაშვილის რეჟიმისაგან საქართველოს გათავისუფლებით გააკეთა, „ფარჩაკობა" კი არა, სიმამაცე და თავდადება ჰქვია, ხოლო ნამდვილი „ფარჩაკობა" ის არის, რომ ლევან ვასაძეს სააკაშვილის რეჟიმისაგან საქართველოს გასათავისუფლებლად არათუ არაფერი გაუკეთებია, ხმაც კი არ ამოუღია!**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*პარტია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე*



**მამუკა ხაზარაძე** შემიძლია, **სააკაშვილის მაროდიორად მოვიხსენიო** — სააკაშვილის ხელისუფლების დროს ატერორებდნენ ბიზნესს, ართმევდნენ სახლებს და **თუ ვინმე ნაძარცვი ბიზნესის გადანაწილებაში იყო ჩართული, ერთ-ერთი ხაზარაძე და მისი ბანკია.** ვინ არის საერთოდ **ხაზარაძე,** რომ ჩვენი პარტიის დამფუძნებელზე მუქარებს აყღერებს? პროკურორია თუ როგორ ბედავს? **რეპრესიებს აანონსებს ეს არარაობა, თაღლითობაში მხილებული ადამიანი.**

ჩვენი მიზანია, **არჩევნებზე მივიღოთ საკონსტიტუციო უმრავლესობა** — მარტიდან, მომდევნო 100 დღის განმავლობაში, **10 რეგიონში ვგეგმავ ჩასვლას.**

„ინტერპრესნიუსი"

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



**მამუკა ხაზარაძე** არის ბანდიტური საქართველოს დროინდელი ბიზნესმენი, რომელიც **კომკავშირელობიდან მილიონერი გახდა** — მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ **ხაზარაძის წარსულს ყურადღება მიაქციოს.**

„ინტერპრესნიუსი"

**თეა წულუკიანი**
*სპორტისა და კულტურის მინისტრი*



**ხაზარაძე** ამტკიცებს, რომ დაბრუნდება ხელისუფლებაში და **დააბრუნებს ქვეყანაში დაშინებას, დევნასა და გაძევებას,** წელსაც ფორმაში ვიქნებით და ასეთ ძალებს **დაბრუნების საშუალებას არ მივცემთ.**

„პირველი არხი"

**მამუკა მდინარაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე*



**ხაზარაძემ რეპრესიები დააანონსა,** საბჭოთა პერიოდისთვის დამახასიათებელი იყო გაციმბირება, ახლა **ხაზარაძე ადამიანებს ჰპირდება მოსკოვში გადასახლებას.**

„რეზონანსი"

# ვასაძე ივანიშვილს „ფარჩაკს“ რომ ეძახის, ეს იგივეა, კურდღელმა ლომს გულადობა დაუწუნოს და სიმხდალე დააბრალოს!

**ლოს გასათავისუფლებლად არათუ არაფერი გაუკეთებია, ხმაც კი არ ამოუღია!**

ამდენად, **ვასაძე ივანიშვილს „ფარჩაკს“ რომ ეძახის,** ეს იგივეა, კურდღელმა ლომს გულადობა დაუწუნოს და სიმხდალე დააბრალოს!

**ლევან ვასაძე ბიძინა ივანიშვილს „მელკი“ ვაჭარს რომ უწოდებს,** ეს იგივეა, სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილმა დავით სარაჯიშვილს ვაჭრუკანა დაუძახოს!

აბა, როგორი ამბავია: ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც საქართველოში ქველმოქმედებას 3 მილიარდი დოლარი მოახმარა, მათ შორის, საჯარო სკოლის უამრავი ახალი შენობა ააშენა, **„მელკი“ ვაჭარს ეძახის ლევან ვასაძე,** რომელიც თავის კერძო სკოლაში მოსწავლეებს წელიწადში 9 000 ლარს ახდევინებს!

თუმცა, ქველმოქმედებას თავი გავანებოთ და ერთმანეთს შევადაროთ **თბილისში, მთაწმინდაზე, გაზრდილი ვასაძისა და საჩხერეში, სოფელ ჭორვილაში, გაზრდილი ივანიშვილის** ბიზნესმენური მასშტაბები... უბრალოდ,

## სასაცილოა, რომ მდარეხარისხიანი შამპანურის მწარმოებელი და ჩოხა-ახალუხების გამყიდველი ვასაძე „მელკი“ ვაჭარს ეძახის ბიძინა ივანიშვილს, რომელთან პოლიტიკურმა ბრძოლამაც არამხოლოდ ერთი წამყვანი შვეიცარიული ბანკის – „კრედიტ სუისის“, არამედ მთელი შვეიცარიული საბანკო სისტემის რეპუტაცია შეარყია!

მოკლედ, **არც ბიზნესმენურად, არც მეცენატურად, არც ქართველურად და მამულიშვილურად, ვასაძეს ივანიშვილთან ხმა არ ამოეღება,** მაგრამ **თბილისში, მთაწმინდაზე, გაზრდილ** საქართველოს სამეფო გვირგვინის დინასტიური ორდენის დიდი ჯვრის რაინდს საკუთარი ნარცისიზმი თვით დაოკების საშუალებას არ აძლევს და ისიც აგრძელებს ივანიშვილის გაპასკვილებას:

> ***„გვყავს ფეოდალი, რომელიც არაფერს ეროვნულს თითს არ ჰკიდებს. მაგის ბრალი არ არის თურმე ნარკომანიზაცია, კაზინოები, გარყვნილება, მამათმავლობა. კანონები კი მიიღეს, ეს ყველაფერი კი დაუშვეს, მაგრამ ეგ მაგათი ბრალი არ არის, გესმის? უბრალოდ, იმაში არ გაუმართლათ, რომ ალიევისოდენა ნავთობი არა აქვთ... მე შენ გარწმუნებ, ნავთობი რომ ჰქონოდა საქართველოს, არაფერს არ იხეირებდა ბიძინას ხელში ქართველი ხალხი, აი, უბრალოდ, არაფერს, რა, როგორც არ ხეირობს არაფერ იმაზე, რაც ჩვენ გვაქვს“.***



## ლევან ვასაძე ბიძინა ივანიშვილს „მელკი“ ვაჭარს რომ უწოდებს, ეს იგივეა, სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილმა დავით სარაჯიშვილს ვაჭრუკანა დაუძახოს!



## ვასაძე და მისი მეგობარი ხაზარაძე ბიძინა ივანიშვილს ერთ ხმაში ულრენენ, ერთი – კიკეთის რეზიდენციიდან, ხოლო მეორე – ცეცხლმოკიდებული „ფორდ მუსტანგიდან!“

უპრეცედენტო ქველმოქმედებას გვერდი რომც ავუაროთ, **მარტო სააკაშვილის კრიმინალური ბანდის ხელისუფლებიდან გასტუმრებით საქართველომ ივანიშვილისაგან იმხელა ხეირი ნახა, ბიძინამ მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში ქვეყნის სასიკეთოდ თითი თითზე რომ აღარ დააკაროს, ამით არაფერი წახდება,** მაგრამ როდის, რა და როგორ უხეირია საქართველოს ლევან ვასაძისაგან? **რა სიკეთე ახსოვს საქართველოს ლევან ვასაძისაგან? რა არის ლევან ვასაძის პოლიტიკური და საზოგადო მაგნუმ ოპუსი — ლგბტ აქტივისტებისათვის თავში ჩასაცხებად კომბლის მომარჯვება და მათ შესაბოჭად ქამრების მომარაგება?**

**თბილისში, მთაწმინდაზე, გაზრდილი ქართველი ბიზნესმენი** და საქართველოს სამეფო გვირგვინის დინასტიური ორდენის დიდი ჯვრის რაინდი, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის მიერ საქართველოს გაუბედურებას გულხელდაკრეფილი შესცქეროდა თავის ტელეგამოსვლაში, სულ მთლად დაუკრეფავში გადავიდა და სააკაშვილის რეჟიმის დამმარცხებელ ივანიშვილს პიროვნული შეურაცხყოფაც მიაყენა:

> ***„რა დავაშავეთ ამისთანა... კალიბრი, რა... ჯერ რომ შეხედავ, რა, აი, შეადარე კალიბრით კაცი კაცს, რა, გარეგნობით, გამომეტყველებით, მეტყველების უნარით, განათლებით, რითიც გინდა, რა. არ მინდა, ახლა ამ პირადებზე გადავიდე. რა დავაშავეთ ამისთანა, რომ ფაშინიანს ძლივს ვჯობივართ“.***

ჰმ, არ მინდა, „პირადებზე გადავიდეო“, მაგრამ ისე გადავიდა, რომ იმის იქით აღარ შეიძლება; **ისეთი იკადრა, თბილისში, მთაწმინდაზე, გაზრდილი კაცი კი არა, ყველაზე მივარდნილი პროვინციის ყველაზე ტლუ ბინადარიც რომ არ იკადრებს...**

## კი მაგრამ, რაია, რაინდო?! შემთხვევით, იმ ბიოლოგიურმა სითხემ ხომ არ აგასხათ ტვინში, რომელსაც ცხონებული მამათქვენი – შიო ვასაძე ადამიანებს მკურნალობის მიზნით ასმევდა?

აბა, ადამიანის გარეგნობასა და გამომეტყველებაზე ქილიკი სადაური წესია? **თბილისში, მთაწმინდაზე, რომ იზრდებოდით,** იქ გასწავლეს ადამიანების განსჯა ფიზიონომიის მიხედვით? არა, ეს ნამდვილად არ არის თბილისური და მთაწმინდური ფენომენი, ეს უფრო ფაშისტური გამოვლინებაა!

და კიდევ: **ნიშანდობლივია, რომ ლევან ვასაძე და მისი მეგობარი მამუკა ხაზარაძე ბიძინა ივანიშვილს ერთ ხმაში ულრენენ, ერთი — კიკეთის რეზიდენციიდან, ხოლო მეორე — ცეცხლმოკიდებული „ფორდ მუსტანგიდან“.**

რაც გინდა, თქვი, **ვასაძესა და ხაზარაძეს** თვლა ნამდვილად არ ეშლებათ, ამიტომ, ივანიშვილის ლანძღვა-გინებითა და შეურაცხყოფით რასაც მიიღებენ, წლევანდელ შემოდგომაზე კარგად დაითვალონ და ერთმანეთს გაუნაწილონ!

**ორთავეს ეყოფა!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები



**ილია დარჩიაშვილი**
*საგარეო საქმეთა მინისტრი*

მთავრობის ინტერესია, რომ **2024 წლის არჩევნები ჩატარდეს მაღალი ევროპული სტანდარტებით,** გამჭვირვალე და კონკურენტუნარიან გარემოში.

„რეზონანსი“



**ლევან დავითაშვილი**
*ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი*

**ერთი და იგივე ადამიანები სხვადასხვა კონფიგურაციით გვევლინებიან პოლიტიკურ ასპარეზზე,** ეს არის მორიგი მცდელობა, საზოგადოება შეიყვანონ შეცდომაში — **წლების განმავლობაში გვყავს ერთი ოპონენტი, ნაციონალური მოძრაობა, ბოროტი ძალა.**

„TV იმედი“



**პაველ ჰერჩინსკი**
*საქართველოში ევროკავშირის ელჩი*

გულწრფელად ვიმედოვნებთ, რომ **არჩევნები იქნება თავისუფალი და სამართლიანი.** ასევე საარჩევნო პროცესიც იქნება **თავისუფალი და სამართლიანი.** ეს არის 9 ნაბიჯიდან ნომერი ორი ნაბიჯი.

„ახალი თაობა“



**თამარ ჩიხურდანიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

**პირველი კურსის სტუდენტიც კი მიხვდება იმას, რომ 1000-ლარიანი პენსიის გაცემა შეუძლებელია.** ეს პოლიტიკური სპეკულაციაა მოსახლეობასთან. **მოხუცებულის, პენსიონერის, ყველაზე მოწყვლადი ფენის მოტყუება** მხოლოდ იმიტომ, რომ ხმა მიიღო, არის პოლიტიკური უზნეობა.

„რეზონანსი“



**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*

**მამუკა ხაზარაძეს „მუსტანგი“ ვერ უმართავს და საზოგადოება ქვეყნის მართვას ანდობს?** — არჩევნების შემდეგ მას ისევ ბიზნესში გადანაცვლება მოუწევს, **სესხის გაცემა, მიღება, ვაჭრობა.**

„იმედინიუსი“





გიგა ზედანია, ლევან რამიშვილი

# ზედანიას «ზადანია» შესრულებულია!

## განათლების სამინისტროში ასრაწიანის სუნი დადგა!

***საქართველოს განათლების სამინისტრო დაწყევლილია: მას შემდეგ, რაც ქვეყანამ სააკაშვილი და ლომაია-რანკოვიჩის ხროვა მოიშორა, გვეგონა, განათლების სისტემაში რაიმე სასიკეთოდ შეიცვლებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მინისტრი ამილახვარიც ეშმაკმა დალახვრა!***

სწორედ ეშმაკისა და ავადსახსენებელი „თავისუფლების ინსტიტუტის“ შავი ფიურერის **ლევან ასრაწიან-რამიშვილის** სუნი დგას განათლების სამინისტროში, რომელიც უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში **იდეური მიშათმავლებისა და ლიბერასტულ-სოდომისტური საჭინკეთის გაერთიანებულ „უბორნიად“ ჩამოყალიბდა.**

მოგეხსენებათ, **„ილიას უნივერსიტეტს“**, ანუ ე.წ. **„ილიაუნს“**, სადაც სულმნათი ილია ჭავჭავაძის იდეების პროფანაცია და დამახინჯება მოხდა და ვინმე **ლია უკლებას** „თვითმკვლელი ღვთისმშობელი“ გამოიფინა, დიდი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ცნობილი სოროსელი **გიგა ზედანია,** რომელსაც უნგრეთში სოროსის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული და „სოროსის ფონდის“ გაცხადებული კადრია. ერთხელაც გეი-კონჩიტებმა და ამერიკის სპეცსამსახურების გაცხადებულმა აგენტებმა მას შიდაგადატრიალება მოუწყვეს და რექტორობიდან მოისროლეს. **„ზედანიას თეორიის“** თანახმად, მას შემდეგ, რაც ქართველი საზოგადოება უცხოელთათვის „გაიხსნა“, ადგილობრივმა ინსტიტუტებმა ვერ იმუშავეს, ხოლო მათი ადგილი დაიჭირა რელიგიურმა ფუნდამენტალიზმმა და ფანატიზმმა!

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კახა ლომაიასა და მისი სულიერი მემკვიდრეებისთვის **ზედანიას „ზადანია“** ასეთი იყო — **რელიგიური ფუნდამენტალიზმის, ანუ ფანატიზმის ამოსაძირკვად სკოლებიდან და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებიდან სასწრაფოდ უნდა გამოძევებულიყო მართლმადიდებელი სარწმუნოება, რაც, უპირველეს ყოვლისა, სახელმძღვანელოებიდან ქართული ჰაგიოგრაფიის ამოშანთვით უნდა დაწყებულიყო!**

ბოლო დროს ქართულ სკოლასა და სკოლამდელ დაწესებულებებში განვითარებული პროცესები ცხადყოფს, რომ **გიგა ზედანიას „ზადანია“** საქართველოს განათლების სამინისტრომ ფილიგრანული სიზუსტით აღასრულა. ასე, მაგალითად, **განათლების მინისტრის გიორგი ამილახვრის კონსულტანტმა გია მურღულიამ** სახელმძღვანელოებიდან ქართული ჰაგიოგრაფიის ძეგლების ამოღება-გაქრობას ყური მოუხედნა და, როგორც სჩვევია, ვირეშმაკური პოზიციიდან თათიც გამოყო. **მურღულიამ,** რომლის დიდი ბილბორდიც სენაკის ცენტრალური ბაზრის შესასვლელთან არის გამოკრული, განაცხადა — **ბოლო ათწლეულში მთელ მსოფლიოში აქცენტი თანამედროვე ლიტერატურის სწავლებაზე კეთდება და ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთო!**

იმ ბილბორდზე, რომლის ფოტოც გულიანმა სენაკელებმა მომაწოდეს, გია მურღულია ორ ქალბატონთან — ჟურნალისტ **ნინო მურღულიასთან** და სტუდენტ **ნატალი მურღულიასთან** ერთად არის გამოსახული. ბილბორდს აწერია — **„არა ფემიციდს! სიჩუმე დანაშაულში მონაწილეობაა!“**

ამ რამდენიმე კვირის წინათ ჩვენ სწორედ სიჩუმე დავარღვიეთ და წერილში **„ავგიაგრაფია“** სკოლიდან მართლმადიდებელი ქრისტიანობის გამოდევნის საკითხს დაწვრილებით შევეხეთ. გვგონია, რომ მაშინ **დოქტორ მურღულიას** საკადრისი პასუხი გავეცით, მაგრამ წერე და იკითხე, ესენი მაინც თავისას მიერეკებიან!

აი, მაგალითად, სულ ახლახან საქართველოს პარლამენტში მოკალათებულმა **თურქოფილმა ტარიელ ნაკაიძემ,** რომელსაც ოფიციალურად აქვს გამოცხადებული — **ტაო-კლარჯეთის ქართული მონასტრების ბედი საერთოდ არ მაინტერესებსო!** — წალკაში, ერთ-ერთ საჯარო სკოლაში, მართლმადიდებელი მოძღვრის შესვლის ფაქტი მკაცრად დაგმო და განათლების მინისტრს სულ ბოდიშები ახდევინა. კერძოდ, **გადაჯიშებული და, სავარაუდოდ, თურქეთის სპეცსამსახურებზე მიყიდული ტარიელა ნაკაიძის მიერ შეშინებულმა და დაცვედნებულმა მინისტრმა გიორგი ამილახვარმა საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე განაცხადა** — ამ ფაქტს შევისწავლით და რეაგირება უმკაცრესი იქნებაო! ანუ წალკის საჯარო სკოლის დირექტორი, კლასის დამრიგებელი და, რაც ყველაზე მთავარია, **მოძღვარი, რომელიც გაკვეთილზე შევიდა და ბავშვებს რელიგიაზე ესაუბრა, შესაძლოა, უმკაცრესად დასაჯონ!**

უფრო მეტიც, **ამ რამდენიმე დღის წინათ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, №8 საბავშვო ბაღში, კედლებიდან ჩამოხსნეს ხატები, წმინდანთა გამოსახულებები და ეს ყველაფერი ნაგვის ურნაში ჩაყარეს**. ამის შემდეგ ურნა აბაზანაში შეაგდეს და კარი გამოკეტეს. ფაქტი სოციალური ქსელების საშუალებით გაახმაურა ერთ-ერთმა მშობელმა, რომელიც თავის დროზე ამავე ბაღში დადიოდა... **გულდათუთქულმა ახალგაზრდა ქართველმა კაცმა თქვა, რომ იმ ბაგა-ბაღში, საიდანაც ღმერთი გამოაძევეს, შვილს აღარ მიიყვანდა!**

დიდი ხანია, საქართველოში მოქმედი ბანკების თანამშრომლებს ფარული შიდაინსტრუქცია აქვთ მიცემული, რომ არ ატარონ ჯვარი და სამუშაო ოთახში არ გამოფინონ წმინდანთა გამოსახულებანი. ეს ინსტრუქცია მოქმედებს ყველა დიდი კომპანიისა და კარტელის აკვატორიაში. ამ რამდენიმე წლის წინათ, თუ არ ვცდები, დაფიქსირდა ფაქტი, როცა ერთ-ერთი ბანკის თანამშრომელმა პირჯვარი გადაიწერა და ამის გამო სერიოზული უსიამოვნება შეხვდა. ქალბატონს ხელმძღვანელობის წინაშე მოუწია ახსნა-განმარტების გაკეთება, რომ პირჯვრის გადაწერით სხვისი უფლებები არ შეულახავს და ეს ყველაფერი სხვის რელიგიურ გრძნობებზე უარყოფითად არ ასახულა!

**მიგვაჩნია და დიდი ეჭვი გვაქვს, რომ მსგავსი შიდაინსტრუქცია განათლების სამინისტრომაც გასცა და სწორედ ამის გამო მოხდა ის, რაც წალკის საჯარო სკოლაში დაიწყო და თბილისის №8 ბაგა-ბაღში გაგრძელდა!**

**სატანისტმა სალომე ნიკოლეიშვილმა,** რომელმაც **„ბარკერი“** დაირქვა, როგორც საქვეყნოდ ცნობილია, პრეზერვატივი თითზე წამოიცვა და პირჯვარი ასე გადაისახა, ხოლო **გარეწარმა ანანია გაჩეჩილაძემ** იმავე პრეზერვატივებზე ქართველი წმინდანები გამოსახა.

აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ საროსკიპოდან გადასახედების დამალვის გამო გამოგდებულმა **ნატა ფერაძემ** მღვდელს შუა თითი უჩვენა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ალბათ, შორს აღარ არის ის დრო, როცა, სავარაუდოდ, თურქეთის სპეცსამსახურების აგენტი **ტარიელა ნაკაიძე**, ანდა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის „გახაზირების“ ხარჯზე გაპუტკუნებული და მამუკა ხაზარაძესთან გადაბარგებული **ანა ნაცვლიშვილი** გამოგვიცხადებენ — **სვეტიცხოველზე, ნიკორწმინდაზე, მეტეხზე, სიონზე, ალავერდსა და**




**განათლების მინისტრის კონსულტანტის – გია მურღულიას გამოსახულებიანი ბილბორდი სენაკის ბაზრის შესასვლელში**

## კვირგვინოსნები

**ბექა დავითულიანი**
*პარლამენტარი*



**ბიძინა ივანიშვილი იქნება იქ, სადაც არის,** სადაც სურს, რომ იყოს, ხოლო **მამუკა ხაზარაძეს მოუწევს წასვლა მოსკოვში** თვითონ და „ჩერქეზსკი ბაზართან“ თავისი **ქუჩის მუსიკოსობის უნიჭო რეპერტუარის** შეთავაზება.

„აიპრესი“

**ირაკლი ჩიქოვანი**
*თავდაცვის მინისტრი*



პირობას გაძლევთ, **კომპრომისი არ იქნება** არცერთ ადამიანთან, ვინც მზად არის, **კომპრომისი გასწიოს** ჯარისკაცების ხარჯზე.

„აიპრესი“

**ალექსანდრე ტაბატაძე**
*პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე*



საქართველო არის ქვეყანა, სადაც **როგორც ჩვენი, ასევე საქართველოში ჩამოსული სხვა ქვეყნის მოქალაქეების უსაფრთხოებისთვის ყველა პირობაა შექმნილი,** რასაც საერთაშორისო რეიტინგებიც მოწმობს.

„იმედინიუსი“

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*



რადიკალურ ოპოზიციას პატრონებმა უთხრეს, რომ **ისინი უნდა გახდნენ ნაცმოძრაობაზე უფრო აგრესიულები და მატყუარები** და იმუშაონ იმ ოპოზიციურ ელექტორატზე, რომელსაც არ მოსწონს ნაცმოძრაობა.

„რეზონანსი“

**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*



**არჩევნების შემდეგ** არაერთი პოლიტიკური პარტია **გაქრება.**

„ახალი თაობა“




საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი ამილახვარი

**ბაგრატზე აღმართული ჯვრები სხვა რელიგიებისა და კონფესიების წარმომადგენელთა უფლებებს არღვევს და ეს ყველაფერი უნდა აღიკვეთოს, ეკლესიათა გუმბათებიდან ჯვრები უნდა ჩამოიხსნასო!**

აი, ეს არის დღევანდელი საქართველო და ასეთია ჩვენი სასტიკი რეალობა, როცა **ღმერთსა და წმინდანებს** მასხრად იგდებენ და შეურაცხყოფენ, ხოლო სასკოლო სახელმძღვანელოებიდან, სკოლებიდან და ბაგა-ბაღებიდან აძევებენ, ერეკებიან და ყრიან!

ცხადია, ამ ყველაფრის გამო ერს მოეკითხება და ჩვენი სამშობლო დაისჯება, თორემ **მინისტრი ამილახვარი** და **განათლების სამინისტროში თავშეფარებული ჩვენი დროის ბორის ძნელაძეები** იმაზე უფრო მეტ ფულს იშოვიან, ვიდრე **გიორგი ამილახვრის მამამ** იშოვა შევარდნაძის დროს, როცა საგადასახადო შემოსავლების უწყებას ხელმძღვანელობდა და ქვეყანას ატყავებდა!

არქიმანდრიტი გრიგოლ ხანძთელი აშოტ კურაპალატის ერთ-ერთ დიდაზნაურს გაბრიელ დაფანჩულს რომ შეხვდა, იქ ერისკაცისგან ასეთი ფრაზა გაისმა — **ჩვენ ხორცით ვართ მდიდარი, ხოლო თქვენ, ეკლესიის მსახურნი — სულით. ამიტომ „საქმენი ჩვენი შევაერთოთ ურთიერთას!“**

სწორედ ერისა და ბერის შეერთებამ შვა ის დიდი საქართველო, რომელსაც მე-8-9 საუკუნეებში **დიდმა გრიგოლ ხანძთელმა** ჩაუყარა საფუძველი და რომელმაც 1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ომი მოიგო! სამწუხაროდ, **ტარიელა ნაკაიძეს,** რომელიც განათლების მინისტრს აშინებს და აშანტაჟებს, ეს საქართველოც ფეხებზე ჰკიდია, ის საქართველოც, გრიგოლ ხანძთელიც და ქართველობაც!

**დიდი ეჭვი გვაქვს, რომ მსგავსი შიდაინსტრუქცია განათლების სამინისტრომაც გასცა და სწორედ ამის გამო მოხდა ის, რაც წალკის საჯარო სკოლაში დაიწყო და თბილისის №8 ბაგა-ბაღში გაგრძელდა!**

## იქ, სადაც ასრაწიანის სუნი დგას და ზედანიას „ზადანია“ შესრულებულია, გრიგოლ ხანძთელისა და დავით აღმაშენებლის საქართველო ვერ აშენდება!

ამიტომაც ინგრევა და პატარავდება საქართველო!

ამიტომაც დევნიან არქიმანდრიტ **გრიგოლ ხანძთელს** და აღმერთებენ საქართველოს დამაქცევარ **არქიბანდიტებს!**

***დიტო ჩუბინიძე***



***სანამ საქმეზე გადავსულვართ, წერილის სათაურში ნახსენები ზოგიერთი ტერმინი განვმარტოთ... რასა არის გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფი, რომელსაც საერთო წარმომავლობა და გარეგნული ნიშნები გააჩნია, ანუ რასა იგივეა, რაც ჯიში და გვარ-ტომი. რაც შეეხება პარტნოის, რუსულ ენაში ეს ნიშნავს მკერავს, თუმცა, უბრალო მკერავზე ერთი საფეხურით მაღლა მდგომს, რადგან პარტნოი საკუთარი დიზაინით შექმნილ ტანსაცმელს კერავს და ინდივიდუალურ შეკვეთებზე მუშაობს.***

# ნაგვების რასა და სტრატეგიული პარტნოები

მაგალითად, გასული საუკუნის 30-იანი წლების თბილისში ყველაზე ცნობილი დიზაინერი, მოდელიორი და **მკერავი** გახლდათ **ალექსანდრე ახვლედიანი,** რომელსაც **„საშა პარტნოის“** ეძახდნენ და რომელიც ტანსაცმელს იმ დროისათვის გამორჩეულ არაერთ პერსონას, მათ შორის, **ლავრენტი ბერიას მეუღლეს — ნინა გეგეჭკორსაც** უკერავდა.

როგორც ამბობენ, **„საშა პარტნოი“** ერთადერთი მამაკაცი იყო, ვისაც **ბერიას** თანამეცხედრესთან ახლოს მიკარების უფლებას აძლევდნენ.

მოკლედ, **„პარტნოი“** ის არის, ვინც საკუთარი შეხედულებისამებრ **ჭრის და კერავს** და ვისაც თანამედროვე ტერმინოლოგიით დიზაინერ-მოდელიორი ჰქვია.

მაშ, ვინ არიან ჩვენი წერილის სათაურში ნახსენები **სტრატეგიული პარტნოები** და რას წარმოადგენს **ნაგვების რასა?**

**„სტრატეგიულ პარტნოებში“** იმ სუბიექტებს ვგულისხმობთ, რომლებსაც ქართველი პოლიტიკოსები და ჟურნალისტები საქართველოს **სტრატეგიულ პარტნიორებს** ეძახიან, მაგრამ, სინამდვილეში, ისინი საქართველოს კი არა, ნაცსექტის **სტრატეგიული პარტნიორები** არიან, ხოლო ქართულ სახელმწიფოსა და ქართველ ხალხს **პარტნოებივით** ექცევიან, ანუ **პოლიტიკურად ისე ჭრიან და კერავენ, როგორც თვითონ სურთ.**

სხვანაირად რომ ვთქვათ, **სტრატეგიული პარტნოები** დღენიადაგ იმის ცდაში არიან, საქართველოს აწმყოცა და მომავალიც **თავიანთ თარგზე გამოჭრან და თავიანთი პოლიტიკისა თუ იდეოლოგიის შესაბამისად შეკერონ.**

სწორედ ეს **სტრატეგიული პარტნოები** წარმოადგენენ **პოლიტიკური ნაგვების რასას,** რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელი და კრებსითი სახე გახლავთ ევროპარლამენტარი, „ევროპის სახალხო პარტიის“ წევრი **რასა იუკნევიჩიენე.**

უკეთესად რომ გაგახსენოთ, ეს ის **რასა იუკნევიჩიენეა,** რომელმაც კინაღამ ენა მოიტეხა და ტუჩ-პირი მოინგრია, როცა ამბობდა — ევროპარლამენტის რეზოლუციაში ნახსენები დეოლიგარქიზაცია „დებიძინიზაციასა“ და „დეივანიშვილიზაციას“ ნიშნავსო! საუბარია იმ რეზოლუციაზე, რომელიც **ქალბატონმა რასამ** და კიდევ 307-მა ევროპარლამენტარმა, ანუ სტრატეგიული პარტნოებისაგან შემდგარმა **პოლიტიკური ნაგვების რასამ** შეთითხნა და რომელშიც **ბიძინა ივანიშვილი** „პრორუს ოლიგარქად“ იყო მოხსენიებული, ხოლო ქართული ჯარისა და ევროპელი პენსიონერების გამძარცველი ძებნილი ოლიგარქი **დავით კეზერაშვილი** — პოლიტიკურად დევნილ მედიამენეჯერად.

შეგვიძლია, **რასა** იუკნევიჩიენეს ლიეტუველი **თინა ხიდაშელიც** ვუწოდოთ... ჯერ ერთი, როგორც **თინა ხიდაშელი** — საქართველოში, ისე **რასა იუკნევიჩიენე** ლიეტუვაში თავდაცვის მინისტრი გახლდათ და მეორეც, **რასა და თინა** ერთი და იგივე იდეოლოგიისა და პოლიტიკური მიმართულების ადეპტები ბრძანდებიან.

ჰოდა, ამ **ლიეტუველმა თინა ხიდაშელმა — რასა იუკნევიჩიენემ** გასულ კვირას საქართველოსთან მიმართებაში კიდევ ერთხელ გამოაჩინა **სტრატეგიული პარტნოის** სახე და კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა, რომ **პოლიტიკური ნაგვების რასას** ეკუთვნის.

კერძოდ, აი, რა განაცხადა **რასა იუკნევიჩიენემ** ნაცმოძრაობის პარტიულ ტელევიზია

***გაგრძელება მე-6 გვერდზე***



**ნაგვების რასის** წარმომადგენელი **სტრატეგიული პარტნოები** არასრული შემადგენლობით: **რასა იუკნევიჩიენე, მარკეტა გრეგოროვა, ანდრიუს კუბილიუსი, ჟიგიმანტას პავილიონისი** და **ანა ფოტიგა**

## კვირგვინოსნები

**ნუგზარ რუხაძე**
*ჟურნალისტი*



თუ **გალაკტიონის** ლექსი შენთვის უცხოა, **ვაჟას** პოეზია არ გიგრძნია, **„ვეფხისტყაოსანში“** გაბნეულ მარგალიტებს არ შეხებიხარ და არ დაგიმახსოვრებია, არ იცნობ ჩვენს ეროვნულ საწყისებსა და კულტურის ისტორიას, **საქართველო როგორ გეყვარება, სამშობლოს დახმარება რატომ მოგინდება და მის სასარგებლოდ რატომ იმოქმედებ, ანუ პატრიოტი როგორ იქნები?!** ჰოდა, ქართული ენა და ლიტერატურა, მათ შორის, ისტორიულ-ბიოგრაფიული, სწორედ ამ ეროვნულობას გვინერგავს. **ქართული ლიტერატურისა და მისი ისტორიის სწავლების გარეშე ქართველი ქართველად ვერ გაიზრდება.**

„საერთო გაზეთი“

**გიორგი კეკელიძე**
*„ბიბლუსის“ შემოქმედებითი დირექტორი*



**ჰაგიოგრაფია უნდა ისწავლებოდეს სკოლაში!** პატივს ვცემ ყველა კვალიფიციურ მოსაზრებას, თუმცა, ჩემი აზრით, **„შუშანიკის წამება“ უნდა ისწავლებოდეს სკოლაში...** თუ ლიტერატურა, განსაკუთრებით პროზა, უნდა აჩენდეს კითხვებს, იძლეოდეს ინტერპრეტაციისა და დისკუსიის შესაძლებლობას — **შესანიშნავი საშუალებებია ამ ტექსტში.**

„კვირის პალიტრა“

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



პლატფორმა, სადაც **ნათელაშვილის ფანჩატურის მსგავსი** უნდა შეიქმნას, ფიასკოსთვისაა განწირული — მიზანია, **ნაცმოძის „ლეგო“ დაშალონ,** გადაალახვინონ ბარიერი, **შემდეგ ისევააწყონ კოლექტიური ნაცმოძი** და ხელისუფლება ხელში ჩაიგდონ.

„ინტერპრესნიუსი“

**ლევან აბაშიძე**
*თეოლოგი*



პირადად მე **„წმინდა ნინოს ცხოვრებას“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“** შევიტანდი სასკოლო პროგრამაში.

„საქართველოს რესპუბლიკა“

# ნაგვების რასა და სტრატეგიული პარტნიორები

დასაწყისი მე-5 გვერდზე

„მთავარ არხთან“ ინტერვიუში:

*„ლაკმუსის ტესტი არის საქართველოს მთავრობის ქცევა უკრაინაში ომთან მიმართებაში. ეს მთავრობა არის პრორუსული. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობა ასეთი არ არის. სამწუხაროდ, ევროკავშირის პერსპექტივიდან საქართველო არის ქვეყანა, რომელიც არ შეუერთდა სანქციებს, როგორც ეს გააკეთა მოლდოვამ და სხვა ქვეყნებმა. ბიძინა ივანიშვილს, რომელიც გადაწყვეტილებების მთავარი მიმღებია, რა თქმა უნდა, პრორუსული პოზიცია უკავია“.*






მიუხედავად იმისა, რომ ევროკომისიამ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიანიჭა, **რასა იუკნევიჩიენე** და **პოლიტიკური ნაგვების რასის** წარმომადგენელი სხვა **სტრატეგიული პარტნიორები** მაინც **ძველებურად ჭრიან და კერავენ** — ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ პრორუსები არიანო! არადა ქვეყანას, რომელსაც პრორუსული ხელისუფლება მართავს, ევროკავშირის წევრობის კანდიდატად ვინ აღიარებდა?

**პოლიტიკური ნაგვების რასაში** შემავალი **სტრატეგიული პარტნიორების** აზრით, საქართველოს ხელისუფლების პრორუსულობა იმაში გამოიხატება, რომ ქართულმა სახელმწიფომ უკრაინის ომის გამო რუსეთს ფინანსური სანქციები არ დაუწესა... **სტრატეგიული პარტნიორების რასა** ვერ ინელებს და ვერ ეგუება იმას, რომ მრავალგზის მცდელობის, ზეწოლის, პოლიტიკური შანტაჟისა და ბიძინა ივანიშვილის დე ფაქტო სანქცირების მიუხედავად, ვერაფრით მიაღწია ე.წ. მეორე ფრონტსა და საქართველოს ომში ჩათრევას, ანუ 2008 წლის აგვისტოსაგან განსხვავებით, საქართველო ამჯერად ვეღარ გამოიყენა პოლიგონად და საზარბაზნე ხორცად რუსეთის წინააღმდეგ.

კი, სწორედ საქართველოს უკრაინიზაციის გეგმის ჩაფლავებაა **რასა იუკნევიჩიენესა** და მისი **რასის** სხვა პოლიტიკურ ნაგავთა მუცლის გვრემის ნამდვილი მიზეზი.

**სტრატეგიულ პარტნიორებს** სურდათ, საქართველოშიც ეხილათ ბუჩა და მარიუპოლი, მაგრამ ამას ვერ მიაღწიეს და ამიტომაც არიან დაბოღმილი!

— ივანიშვილი ძალიან ტოქსიკურ როლს ასრულებს ქართულ პოლიტიკაში! — ამბობს **პოლიტიკური ნაგვების რასის** წარმომადგენელი, სტრატეგიული პარტნიორი **რასა იუკნევიჩიენე,** მაგრამ **რასაც რასა** ივანიშვილის „ტოქსიკურ როლს“ ეძახის, სინამდვილეში ეს არის ივანიშვილის პრაგმატული, ჭკვიანური, სახელმწიფოებრივი, საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესებზე ორიენტირებული როლი ქვეყანაში მშვიდობის შესანარჩუნებლად.

მაგრამ **რასა იუკნევიჩიენესნაირ** თინახიდაშელებსა თუ თინახიდაშელისნაირ **რასა იუკნევიჩიენეებს** საქართველოში მშვიდობა და სტაბილურობა კი არა, ომი, ცეცხლი და სისხლი სჭირდებათ, რადგან მხოლოდ ასე შეიძლება დააბრუნონ ხელისუფლებაში თავიანთი ჯილა — მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელი ნაცბანდა!

თუმცა, **პოლიტიკური ნაგვების რასა** და მასში შემავალი სტრატეგიული პარტნიორები ერთ უმთავრეს რამეს ვერ ხვდებიან — მათი მთავარი მეტოქე და წინაღობა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ კი არა, ქართველი ხალხია!

**სტრატეგიული პარტნიორები ქართველ ხალხს თავიანთ თარგზე ვერასოდეს მოჭრიან და შეკერავენ!**

ქართველი ხალხი **პოლიტიკური ნაგვების რასას** საქართველოს დანაგვიანების საშუალებას აღარასოდეს მისცემს!

***ჯაბა ხუბუა***

## რასა იუკნევიჩიენესნაირ თინახიდაშელებსა თუ თინახიდაშელისნაირ რასა იუკნევიჩიენეებს საქართველოში მშვიდობა კი არა, ომი, ცეცხლი და სისხლი სჭირდებათ!





# გიორგი ფანცულაია: დეკანოზმა მამალაძემ სიმართლისათვის ბოლომდე ბრძოლა დააანონსა და ეს განცხადება ჰაერზე არ გაუკეთებია!

***დეკანოზ გიორგი მამალაძე, რომელსაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივან-რეფერენტ შორენა თეთრუაშვილის მკვლელობის მომზადებისათვის 9-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, თავისუფალია. „ციანიდის საქმის“ მთავარმა და ერთადერთმა მსჯავრდებულმა საპატიმრო დაწესებულება 2024 წლის 14 თებერვალს შეფარდებული სასჯელის სრულად ამოწურვამდე 1 წლითა და 9 თვით ადრე დატოვა, რადგან ე.წ. უდო, ანუ პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმი შეეხო. მაინც რა გარემოებებმა განაპირობა მსჯავრდებული დეკანოზის ციხიდან გათავისუფლება და რა გაგრძელება შეიძლება, მოჰყვეს „ციანიდის საქმეს“, რომელმაც 7 წლის წინათ მთელი საქართველო შოკში ჩააგდო? ამ საკითხზე ვესაუბრებით ადვოკატ გიორგი ფანცულაიას, რომელიც დეკანოზ მამალაძის ინტერესებს მისი დაპატიმრების პირველი დღეებიდანვე იცავს:***

— არსებობს ასეთი არასამთავრობო ორგანიზაცია — **„იემსი“,** რომელმაც 2023 წლის შემოდგომაზე ე.წ. უდოს კომისიას დეკანოზ **გიორგი მამალაძის** პირობით ვადამდე გათავისუფლების შუამდგომლობით მიმართა. ზოგადად, საქართველოში არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიხედვით, კომისია პატიმრის პირობით ვადამდე გათავისუფლების შუამდგომლობაზე უარს ან თანხმობას ერთი თვის ვადაში ამბობს, მაგრამ, გამონაკლის შემთხვევაში, პასუხს სამი თვის განმავლობაში წელავს. დეკანოზ მამალაძესთან დაკავშირებით სწორედ ასე მოხდა — **სახელმწიფომ იშვიათი პრაქტიკა გამოიყენა და მისი ვადამდე გათავისუფლების შუამდგომლობა სამი თვის შემდეგ დააკმაყოფილა.**




გიორგი მამალაძე სასამართლო პროცესზე. 2017 წელი

## კვირგვინოსნები

**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



**როინ შავაძის საქმე** არის მკაფიო მაგალითი, როგორი **სისხლიანი და არაადამიანური იყო ნაცმოძრაობის რეჟიმი,** რომელიც ებრძოდა, აწამებდა და კლავდა გმირებს. ეს იყო რეჟიმის პოლიტიკა და არა ცალკეული თანამდებობის პირებისა თუ მოხელეების გადაცდომა. **სწორედ ამიტომ ვითხოვთ ნაციონალური მოძრაობის, როგორც დამნაშავე რეჟიმის გასამართლებას,** რაც აუცილებლად უნდა მოხდეს 2024 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ.

„აიპრესი“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



**როინ შავაძის** ორგანიზებული მკვლელობის შოკისმომგვრელი ფაქტი **საბოლოოდ დაასამარებს ნაციონალურ მოძრაობას.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*



**დეკანოზი მამალაძე** რომ სიმართლეს იტყვის, ძალიან მაინტერესებს **წულუკიანის** სახის ნახვა. ბლანკოს ქვრივივით ტრაგიკული სახით რომ გამოგვიცხადა, **გადარჩა სახელმწიფო ძალიან მნიშვნელოვანი დანაშაულისგანო.**

„ახალი თაობა“

**ბესიკ ხარანაული**
*პოეტი*



ჯერ თვითონ უნდა დავმშვიდდეთ და **საკუთარ ქაოსს გავუმკლავდეთ ყოველი ჩვენგანი** და მერე ქვეყანას ეშველება.

„კვირის პალიტრა“

**— პატიმრობაში მყოფ დეკანოზ მამალაძეს რა კრიტერიუმები უნდა დაეკმაყოფილებინა იმისათვის, რომ ციხიდან ვადაზე ადრე გამოეშვათ?**

— პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმი რომ შეხებოდა, **დეკანოზ მამალაძეს** სასჯელის სამი მეოთხედი უნდა ჰქონოდა მოხდილი. გარდა ამისა, კომისია მხედველობაში იღებს პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობას და ციხის ადმინისტრაციის დახასიათებას, თუ როგორ იქცეოდა მსჯავრდებული საპატიმრო დაწესებულებაში, რამდენად ემორჩილებოდა შინაგანაწესს და ა.შ. კომისია ყურადღებას აქცევს სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ცნობილი პირის პოზიციასაც, თუ რას ფიქრობს იგი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან დაკავშირებით.... **გიორგი მამალაძის შემთხვევაში ყველა კრიტერიუმი არსებობდა იმისათვის, რომ საპატიმროდან ვადაზე ადრე გაეთავისუფლებინათ.**

**— რამდენად განაპირობა მამალაძის ვადამდე გათავისუფლება პატრიარქის მდივან-რეფერენტის შორენა თეთრუაშვილის პოზიციამ, რომლის მიხედვითაც იგი თანხმობას გამოთქვამდა, მსჯავრდებულ დეკანოზს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის შეღავათი შეხებოდა?**

— **შორენა თეთრუაშვილის** განცხადება, რომელიც მედიასაშუალებებმა რამდენიმე დღის წინათ გამოამზეურეს, 2022 წლის შემოდგომაზეა დაწერილი და მას გადამწყვეტი მნიშვნელობა რომ ჰქონოდა, გიორგი მამალაძეს მაშინვე გამოუშვებდნენ ციხიდან. მეორე მხრივ, არც იმის თქმა მინდა, რომ თეთრუაშვილის განცხადებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია... რასაკვირველია, სხვა გარემოებებთან ერთად მასაც ჰქონდა გარკვეული ძალა და რაღაც დოზით წაეშველა დეკანოზის ვადამდე გათავისუფლებას.

შეგახსენებთ — თავის დროზე სახელმწიფომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ გიორგი მამალაძეს სასჯელი ციხის მაგივრად შინაპატიმრობაში მოეხადა. გარდა ამისა, დეკანოზის შეწყალებაზე უარი თქვეს პრეზიდენტმა **გიორგი მარგველაშვილმა** და პრეზიდენტმა **სალომე ზურაბიშვილმა.**

**— პირდაპირ გკითხავთ — არის თუ არა დეკანოზ მამალაძის ვადამდე გათავისუფლება ხელისუფლების პოლიტიკური გადაწყვეტილება?**

— 2024 წლის 10 თებერვალს, ანუ დეკანოზის გათავისუფლებამდე 4 დღით ადრე, მასთან ციხეში ვიყავი შესული, ვისაუბრეთ და ზუსტად ვიცი, **გიორგი მამალაძეს არ ჰქონდა ინფორმაცია, რომ რამდენიმე დღეში საპატიმროს დაატოვებინებდნენ.** დანამდვილებით შემიძლია იმის თქმაც, რომ **დეკანოზ მამალაძესა და ხელისუფლებას შორის არანაირი გარიგება არ შემდგარა და მისთვის ციხიდან გათავისუფლების სანაცვლოდ ჩუმად ყოფნა არავის შეუთავაზებია!**

არ გამოვრიცხავ, სახელმწიფომ დაინახა და გააცნობიერა, რომ **დეკანოზ მამალაძის** ციხეში დატოვება შესაძლოა, ფატალურად დამთავრებულიყო, რადგან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან დამძიმდა და კუნთების ატროფიაც კი დაეწყო. ალბათ, მთელმა საქართველომ იხილა კადრები, რამდენად მძიმე მდგომარეობაშია გიორგი მამალაძე, რომელიც ციხიდან საკაცით გამოიყვანეს და სახლში რეანომობილით წაიყვანეს. არადა, ვიღაცებს არ სჯეროდათ, როცა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მისი ჯანმრთელობის უკიდურეს გაუარესებაზე ვსაუბრობდით.



გიორგი მამალაძე პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ. 2024 წლის 14 თებერვალი

# „დეკანოზსა და ხელისუფლებას შორის არანაირი გარიგება არ შემდგარა და მისთვის ციხიდან გათავისუფლების სანაცვლოდ ჩუმად ყოფნა არავის შეუთავაზებია!“

**იმედი მაქვს, ახლა მაინც შერცხვება იმ ხალხს, ვინც ამბობდა, რომ დეკანოზი მამალაძე ავადმყოფობას იგონებდა და პატიმრობიდან თავის დაღწევის მიზნით სიმულანტობდა.**

**— ცნობილია, რომ დეკანოზი მამალაძე წაყენებულ ბრალს არ აღიარებს და თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს... შეგიძლიათ, დაგვისახელოთ მთავარი გარემოებები, რომელთა საფუძველზეც ამტკიცებთ, რომ გიორგი მამალაძეს არ ჩაუდენია ის დანაშაული, რისთვისაც გაასამართლეს?**

— ალბათ, ყველას კარგად გვახსოვს, რომ 7 წლის წინათ, როცა თბილისის აეროპორტში გიორგი მამალაძე დააკავეს, მაშინდელი **პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილი,** გენერალური პროკურორი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები აცხადებდნენ — მაღალი სასულიერო იერარქის მკვლელობა აღვკვეთეთ და სახელმწიფოს უდიდესი ტრაგედია ავაცილეთო... მოკლედ, მკაფიო მინიშნებები კეთდებოდა, რომ დეკანოზს გერმანიის კლინიკაში მყოფი პატრიარქის მკვლელობა ჰქონდა განზრახული, მაგრამ მას ბრალი პატრიარქის ან რომელიმე სხვა მაღალი სასულიერო იერარქის კი არა, შორენა თეთრუაშვილის მკვლელობის მომზადებაზე წაუყენეს.

ფარული ვიდეოჩანაწერის ფრაგმენტი, რომელიც პროკურატურამ მტკიცებულების სახით გამოაქვეყნა, მთავრდება გიორგი მამალაძის სიტყვებით — **შორენა თეთრუაშვილს მამა გაბრიელის წინასწარმეტყველება აუხდება, ჭკუიდან შეიშლება და საპატრიარქოში აღარ შეუშვებენო...** ჩნდება ლოგიკური კითხვა — თუ დეკანოზს შორენა თეთრუაშვილის მკვლელობა ჰქონდა დაგეგმილი, მის გაგიჟებასა და საპატრიარქოში არშეშვებაზე რატომღა საუბრობდა? **მკვდარ შორენა თეთრუაშვილს** როგორღა აუხდებოდა მამა გაბრიელის წინასწარმეტყველება? **მკვდარი შორენა თეთრუაშვილი** როგორღა შეიშლებოდა ჭკუიდან? **მკვდარ შორენა თეთრუაშვილს** როგორღა დაუკეტავდნენ საპატრიარქოს კარს?

**— თუმცა, ხომ ფაქტია, რომ გერმანიაში ჰოსპიტალიზებულ პატრიარქთან მიმავალი დეკანოზის ბარგში მომწამლავი ნივთიერება იქნა აღმოჩენილი?**

— გიორგი მამალაძის ბარგმა, სანამ იქ ციანიდს იპოვიდნენ, თბილისის აეროპორტში დეტალური შემოწმება გაიარა, მათ შორის, სკანერზე. ჩვენ დავკითხეთ ექსპერტები, რომლებმაც ცალსახად განაცხადეს — ბარგში ციანიდი რომ ყოფილიყო, სკანერზე შემოწმების დროს აუცილებლად დაფიქსირდებოდა!

გარდა ამისა, დეკანოზის ბარგი 7 საათის განმავლობაში გამქრალი იყო და აეროპორტიდან პროკურატურაში 7 საათის შემდეგ მიიტანეს. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ **არ არსებობს გიორგი მამალაძის მიერ ციანიდის შეძენის ფაქტი, არადა, დაკავებამდე რამდენიმე დღის განმავლობაში შესაბამისი სამსახურები მას ოფიციალურად, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ფარულად უთვალთვალებდნენ და უსმენდნენ.** მაშ, რატომ არ არსებობს მტკიცებულება, სად, როდის და ვისგან შეიძინა ციანიდი სპეცსამსახურების ინტენსიური ფარული თვალთვალისა და მოსმენის ქვეშ მყოფმა დეკანოზმა?

ამასთან, მამალაძის ბარგიდან ამოღებულ ციანიდზე ექსპერტიზა არ არის ჩატარებული და დაუდგენელია, ჰქონდა თუ არა დეკანოზს მასთან შეხება.

**— ციხიდან ვადამდე გათავისუფლებული დეკანოზის ოჯახის წევრებმა განაცხადეს, რომ ბოლომდე იბრძოლებენ, რათა საზოგადოებას სიმართლე გააგებინონ... „ბოლომდე ბრძოლაში“ რაიმე სამართლებრივი პროცედურებიც იგულისხმება?**

— საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ჯერ კიდევ 2018 წელს შევიტანეთ სარჩელი, რომლითაც ვითხოვთ, რომ ანტიკონსტიტუციურად იქნას ცნობილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის მუხლები, რომლებიც გამოძიების მასალების გაუთქმელობის ვალდებულებას აწესებს. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ ჩვენი მოთხოვნა დააკმაყოფილა, შესაძლოა, ეს სააპელაციო სასამართლოში „ციანიდის საქმის“ გადასინჯვის საფუძველი გახდეს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თქვა, რომ **დეკანოზ მამალაძის საქმეზე** სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლება დაირღვა, თუმცა, სტრასბურგში პროცედურები ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის ამოწურული და როცა ყველაფერი დასრულდება, შეიძლება, ახლად გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე საქმე გადაისინჯოს.

არც ის არის გამორიცხული, რომ „ციანიდის საქმეში“ გამოჩნდეს ახალი მტკიცებულება თუ ახალი მოწმე, რომელიც ბოლო 7 წლის განმავლობაში გამქრალი იყო, იმალებოდა ან რაიმე სხვა მიზეზით არ ჩანდა.

**— თქვენს თვალსაწიერში ასეთი მოწმე არსებობს?**

— მოდით, ასე ვიტყვი: **დეკანოზმა მამალაძემ სიმართლისათვის ბოლომდე ბრძოლა დააანონსა და ვფიქრობ, ეს განცხადება ჰაერზე არ გაუკეთებია!**



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე და მისი მდივან-რეფერენტი შორენა თეთრუაშვილი

*ესაუბრა*
**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**ზაალ ანჯაფარიძე**
*პოლიტიკის ექსპერტი*



არჩევნებამდე მთავრობაში **შესაძლოა, საკადრო ცვლილებები კიდევ მოხდეს** — ვფიქრობ, ეს არის **კობახიძისთვის** ერთგვარი გამოსაცდელი პერიოდი.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



ხალხში **ისეთი საპროტესტო განწყობა არ არის,** რომ ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში დააბრუნოს.

„ახალი თაობა“

**ლევან ხოჯაძე**
*თბილისის საკრებულოს წევრი*



„ქართული ოცნების“ გარდა მხოლოდ ნაცმოძრაობას აქვს შანსი, **5-პროცენტიანი ბარიერი გადალახოს.** თუმცა, მისი შედეგიც გაცილებით დაბალი იქნება, ვიდრე 2020 წელს იყო.

„საერთო გაზეთი“

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**სალომე ზურაბიშვილის** შემდეგი დავალებაა, რომ **კომპრომეტირებული ოპოზიცია შეკრიბოს ისე, როგორც ნაგავს აგროვებენ** — იქნებ ამ ნაგვიდან ხელჩასაჭიდი, ნორმალური პროდუქტი გამოიძერწოს.

„იმედინიუსი“

**ვახტანგ მეგრელიშვილი**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*



**ოპოზიცია დაქსაქსულია,** ერთმანეთს არ ენდობა, შეუძლებელია, თქვა — ჩვენ ვართ ოპოზიცია და ვაპირებთ ერთად მოგებას... **„ლელოსთან“ ერთად როგორ უნდა მოვიგო, ვერ წარმომიდგენია.**

„პირველი არხი“

***გუშინ, 2024 წლის 18 თებერვალს, ზუსტად 35 წელი შესრულდა იმ ავბედითი დღიდან, როცა კომუნისტურმა რეჟიმმა თბილისში, ახლანდელი ტექნიკური უნივერსიტეტისა და მაშინდელი პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ანუ „გეპეის" პირველ კორპუსთან, თავისი სადამსჯელო რაზმების, მათ შორის, ზონდერ-კომკავშირელების ხელით დაარბია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მშვიდობიანი მიტინგი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა საქართველოს ეროვნულ გმირს მერაბ კოსტავას.***




# 1989 წლის 18 თებერვალს, როცა ბიძინა ივანიშვილი 33 წლის გახდა, მამუკა ხაზარაძე მერაბ კოსტავას სკამის ფეხით დასდევდა!

დღეს, **1989 წლის 18 თებერვლიდან 35 წლის შემდეგ,** ხამს, დეტალურად გავიხსენოთ „გეპეის" პირველ კორპუსთან დატრიალებული უბედურება, რომელიც სამართლიანად არის მიჩნეული 1989 წლის სისხლიანი 9 აპრილის „გენერალურ რეპეტიციად".

უშუალო თვითმხილველთა გადმოცემითა და მტკიცებით, **1989 წლის 18 თებერვალს** ეროვნული მოძრაობის მიტინგის დამრბეველი რაზმებიდან ერთ-ერთს, რომელიც „გეპეის" ზონდერკომკავშირელი სტუდენტებისაგან შედგებოდა და სკამების გადაჭრილი ფეხებით იყო შეიარაღებული, მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი **მამუკა ხაზარაძე** მეთაურობდა.

ასევე თვითმხილველთა გადმოცემითა და მტკიცებით, **მერაბ კოსტავაზე ხელი სწორედ კომკავშირის კომიტეტის მდივანმა მამუკა ხაზარაძემ აღმართა!**

მოდით, ჯერ 1989 წლის 18 თებერვლის აქციის მონაწილე **ნოდარ ბუჯიშვილს** მოვუსმინოთ, რომელმაც 2015 წელს „ასავალ-დასავალისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა:

*„მერაბ კოსტავას ვედექი გვერდით. „გეპეის" პირველი კორპუსის დიდი კარი რომ გაიღო, გამოვარდნენ კომკავშირელი აქტივისტები და ატყდა ჩხუბი. მერაბს ცოტა მაღალი ბიჭები ვედექით გვერდით... ამ დროს მოვარდა **მამუკა ხაზარაძე** და **მერაბ კოსტავას** მთელი ძალით მოუქნია ხელი, უნდოდა, ჩაერტყა, მაგრამ ჩვენ შევუშალეთ ხელი და მერაბს ვერ მისწვდა. ამასობაში, **მამუკა ხაზარაძეს** ერთმა ჩვენიანმა კარგად მოსცხო".*

**— ხომ არ გეშლებათ, მერაბ კოსტავაზე თავდამსხმელი ნამდვილად მამუკა ხაზარაძე იყო?** — ვეკითხებით ნოდარ ბუჯიშვილს, ის კი დაბეჯითებით გვპასუხობს — **რა თქმა უნდა, მამუკა ხაზარაძე იყო, მაგის სახეს რა დამავიწყებს!**

**— რა იცით, რომ მამუკა ხაზარაძე იყო, მაშინ მას საიდან იცნობდით?** — ბოლომდე ვუკირკიტებთ რესპონდენტს, მაგრამ ისიც კარგი კერკეტი კაკალია და თავდაჯერება არ ღალატობს — **მერაბ კოსტავაზე თავდამსხმელი ჩემმა მეგობარმა იაგო ბადაგაძემ იცნო და მითხრა, რომ იგი რუსთავის ქალაქკომის მდივან თემურ ხაზარაძის ახლო ნათესავი მამუკა ხაზარაძე იყო — რუსთავში თემურთან ჩამოდის ხოლმე და იქიდან ვიცნობო!**

რა გინდა, რომ ქნა? კაცი იქტიბარს არ იტეხს და პირდაპირ ადებს ხელს **მამუკა ხაზარაძეს** — 18 თებერვალს ეს გვარბევდა და ამან მოუქნია ხელი მერაბ კოსტავასო!

რესპონდენტის შეუვალობის მიუხედავად, ფარ-ხმალს არ ვყრით და კიდევ ერთხელ ვეკითხებით — **დღევანდელი გადასახედიდან იმ თავდასხმის მომენტს რომ იხსენებთ, ნამდვილად მამუკა ხაზარაძემ აღმართა ხელი მერაბ კოსტავაზე?**

პასუხი ისევ მყისიერი, მტკიცე და უყოყმანოა — **კი, ნამდვილად ეგ იყო!**

თუ **1989 წლის 18 თებერვლის** მიტინგის მონაწილე **ნოდარ ბუჯიშვილი** ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რიგითი ჯარისკაცი იყო, ყველასათვის კარგად ცნობილი **ნოდარ ნათაძე** იმავე მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და სპიკერი გახლდათ. 18 თებერვლის აქციაში ისიც მონაწილეობდა და 2019 წელს, გარდაცვალებამდე სამი წლით ადრე, „ასავალ-დასავალთან" ინტერვიუში განაცხადა:

*„**მამუკა ხაზარაძე** 1989 წლის 18 თებერვლის მიტინგის დარბევაში მონაწილეობდა, ეს ჩემი თვალით ვნახე. რა თქმა უნდა, მაშინ არ ვიცოდი, ვინ იყო ეს აწოწილი, შავტუხა ზონდერკომკავშირელი, მაგრამ წლების შემდეგ, როდესაც ის გამოჩნდა შევარდნაძის „საბანკო ვარსკვლავებს" შორის, მაშინვე ვიცანი ეს ჯალათი, მაგის სახეს რა დამავიწყებდა".*



ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ ყოფილი დისიდენტი და კომუნისტური რეჟიმის პოლიტპატიმარი, ცნობილი უფლებადამცველი **ნანა კაკაბაძეც,** რომელიც 2019 წელს „ასავალ-დასავალისათვის" მიცემულ ინტერვიუში ამბობს:

*„1989 წლის 18 თებერვალს „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" მიერ პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველ კორპუსთან ჩატარებული საპროტესტო აქცია **ხაზარაძემ** და სხვა კომკავშირელებმა დაარბიეს. იმ დღეს იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ ზუსტად ვიცი, რაც მოხდა, მოვლენები როგორც განვითარდა. ზუსტად ვიცი, რომ **1989 წლის 18 თებერვალს მამუკა ხაზარაძე ანტისაოკუპაციო აქციის დარბევაში მონაწილეობდა".***

კითხვაზე — **იცის თუ არა იმის შესახებ, რომ 1989 წლის 18 თებერვლის მიტინგის დარბევის დროს მამუკა ხაზარაძემ მერაბ კოსტავას ხელი მოუქნია და მის მიმართ ფიზიკურ ანგარიშსწორებას ცდილობდა? — ნანა კაკაბაძე** დელიკატურ, მაგრამ ყველასათვის კარგად გასაგებ და ადვილად მისახვედრ პასუხს გვცემს:

*„ამ თემაზე საუბარი ზუსტად იმიტომ არ მინდა, რომ საქმე **მერაბ კოსტავას** ეხება და არ მიმაჩნია საჭიროდ იმის გახსენება, რაც მარტო **ხაზარაძის** ან რომელიმე კონკრეტული პირის კი არა, მთელი საქართველოს სირცხვილია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: მერაბ კოსტავა საქართველოს სინდის-ნამუსია და მასზე ხელის აწევა არამხოლოდ **ხაზარაძის,** არამედ მთელი საქართველოს სირცხვილია".*

დაახლოებით 10 წლის წინათ, სანამ „ასავალ-დასავალი" **მამუკა ხაზარაძის** მხილებას შეუდგებოდა, საქართველოში ძალიან ვიწრო წრემ იცოდა იმის შესახებ, რომ **„თიბისი ბანკის" დამფუძნებელი არცთუ შორეულ წარსულში ზონდერკომკავშირელი იყო, რომელიც ეროვნული მოძრაობის მიტინგებს არბევდა და მერაბ კოსტავას ხელს უქნევდა...** დღეს კი, **1989 წლის 18 თებერვლის აქციის დარბევიდან ზუსტად 35 წლის შემდეგ და „ასავალ-დასავალის" მიერ მამუკა ხაზარაძის მხილების დაწყებიდან 10 წლისთავზე,** მთელმა საქართველომ უწყის, რომ 2-პროცენტიანი პარტია „ლელოს" ლიდერი არამხოლოდ ყაჩაღ-ბანკირი, ხალხის ანაბრების მიმთვისებელი, სააკაშვილის რეჟიმის დროს

## მამუკა ხაზარაძე, რომელმაც 35 წლის წინათ მერაბ კოსტავასათვის მოქნეული ხელი საქართველოს გაარტყა, ამის პასუხს საპარლამენტო არჩევნებში ქართველი ხალხისაგან მიიღებს!

## კვირგვინოსნები

**მამუკა ხაზარაძე**
*„ლელოს" ლიდერი*



ჩვენ **აუცილებლად მოვალთ ხელისუფლებაში და ბიძინა ივანიშვილი აუცილებლად წავა მოსკოვში.**

„რეზონანსი"

**ედიშერ გვენეტაძე**
*ანალიტიკოსი*



**მამუკა ხაზარაძე** არის ნეოტროცკისტი. იმავე სიტყვებს ლაპარაკობს, რასაც თავის დროზე **ლევ ტროცკი,** ანუ **იმ ძალების შთამომავალია, რომლებმაც რეპრესიები მოაწყვეს საქართველოში,** ამოწყვიტეს ქართველი ინტელიგენცია და უფრო მეტიც, რომლებმაც მოკლეს ილია ჭავჭავაძე. **მამუკა ხაზარაძისგან** ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ **იგი ისე მოვა ხელისუფლებაში, როგორც მე გავხდები ჩინეთის პრეზიდენტი.**

„რეზონანსი"

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის" წევრი*



**მამუკა ხაზარაძე** საზოგადოებას სთხოვს, **აირჩიონ ხელისუფლებაში, რომ გააძევოს საქართველოდან ბიძინა ივანიშვილი** და მისი მომხრეები, აქ დაიწყოს რეპრესიები და თაღლითობები — **მშვენიერი წინასაარჩევნო კამპანიაა.**

„იმედინიუსი"

**მიხეილ ყაველაშვილი**
*„ხალხის ძალის" წევრი*



**ხაზარაძე** იმდენად ბრიყვია, რომ პროკურორის ფუნქციაც არ იცის — პროკურორი არავის **„აციმბირებს" და „ამოსკოვებს",** მისნაირ **თაღლითებს** უმტკიცებს ბრალდებას.

„ინტერპრესნიუსი"



# მამუკა ხაზარაძე ბიძინა ივანიშვილს რუსეთში გადასახლებით ემუქრება!

## ცოდვისა და სირცხვილის ცეცხლში უნდა გამოიბუგოს ის საქართველო, სადაც ბიძინა ივანიშვილის ადგილი არ იქნება, ხოლო მამუკა ხაზარაძე ხელისუფლებაში იქნება!

ბიზნესმენების გამტყავებელი და ხანდაზმული თაღლითია, არამედ საქართველოს ეროვნულ გმირ მერაბ კოსტავაზე ხელის ამწევი ზონდერიც ბრძანდება.

ის ფაქტი, რომ 10 წლის წინათ სასამართლომ „ასავალ-დასავალს“ **მამუკა ხაზარაძის** შესახებ გავრცელებული ცნობების, მათ შორის, მისი ზონდერ-კომკავშირელობისა და მერაბ კოსტავაზე ხელის აწევის უარყოფა დაავალა, საერთოდ არაფერს ნიშნავს და არაფერს ცვლის, რადგან მოსამართლე **ურთმელიძის,** მოსამართლე **მესხიშვილისა** და მოსამართლე **ქათამაძის** გადაწყვეტილებები ფაქტებსა და მტკიცებულებებს კი არა, **პოლიტიკურ კონიუნქტურას** ეფუძნებოდა — რაკიღა მაშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ხაზარაძის ახლო მეგობარი **გიორგი კვირიკაშვილი** გახლდათ, თავად ხაზარაძე კი „სახელმწიფოს მეგობრად“ და „მსხვილ ინვესტორად“ ითვლებოდა, სასამართლოს განაჩენი აუცილებლად მისთვის ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო!

როგორ დასრულდა ხაზარაძის „სახელმწიფოსთან მეგობრობა“ და „მსხვილი ინვესტორობა“, ეს ცალკე ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ჩაფლავებულ პროექტს ეტყობა და ცალკე — თავად მამუკა ხაზარაძეს, რომელსაც ქართულმა სასამართლომ **ხანდაზმული თაღლითის სახელი დაარქვა,** ხოლო ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილის თვალში **ეროვნული მოძრაობის მიტინგების დამრბევისა და მერაბ კოსტავაზე ხელის ამწევის სახელი ჰქვია!**

რომ არა წრეგადასული უტიფრობა და უშუბლისძარღვობა, ასეთი ბიოგრაფიის კაცს არათუ პოლიტიკაში ყელყელაობის, არამედ საზოგადო ადგილებში ცხვირის გამოყოფისაც უნდა რცხვენოდეს, მაგრამ **მამუკა ხაზარაძე** საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლაზე აცხადებს პრეტენზიას და, თქვენ წარმოიდგინეთ, პოლიტიკური რეპრესიებითაც კი იმუქრება.

კერძოდ, **35 წლის წინათ ეროვნული მოძრაობის მიტინგის დამრბევი და მერაბ კოსტავაზე ხელის ამწევი მამუკა ხაზარაძე** საქართველოდან გაძევებასა და რუსეთში გადასახლებას უქადის **ბიძინა ივანიშვილს,** რომელსაც გუშინ — **2024 წლის 18 თებერვალს** — 68 წელი შეუსრულდა, ხოლო 1989 წლის 18 თებერვალს, ანუ ზუსტად იმ დღეს, როცა ხაზარაძე მერაბ კოსტავასა და ეროვნული მოძრაობის სხვა წარმომადგენლებს მიტინგზე გადაჭრილი სკამის ფეხით არბევდა, **33 წლის** გახდა.

— **ბიძინა ივანიშვილის ადგილი არის კრემლში. ჩვენ აუცილებლად მოვალთ ხელისუფლებაში და ბიძინა ივანიშვილი აუცილებლად წავა, ის უნდა იყოს რუსეთში, მოსკოვში!** — აცხადებს **ხაზარაძე.**

კომკავშირის კომიტეტის ყოფილი მდივანი, რომელიც ძირმომპალი კომუნისტური რეჟიმის მსახურებას მისი არსებობის უკანასკნელ დღეებშიც კი არ წყვეტდა და საბჭოთა იმპერიის კლანჭებიდან საქართველოს გათავისუფლებისათვის მებრძოლ პატრიოტებს არამხოლოდ პოლიტიკურად, არამედ ფიზიკურად ებრძოდა, ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილი რუსეთში უნდა გადასახლდეს!

**ზონდერკომკავშირელი, მერაბ კოსტავაზე ხელის ამწევი, ქართველი ხალხის ანაბრების შემთქვლეფი, სააკაშვილის რეჟიმის მიერ დაპატიმრებული ბიზნესმენებისათვის ქონების წამგლეჯი და ჯგუფური თაღლითობისათვის გასამართლებული მამუკა ხაზარაძე,** თურმე, საქართველოს ხელისუფლებაში უნდა მოვიდეს, ხოლო **ბიძინა ივანიშვილი,** რომელსაც, ხაზარაძისაგან განსხვავებით, ქართველი ხალხის გაუბედურების ხარჯზე კაპიკიც კი არასოდეს უშოვია, საქართველოს გარეთ ნაშოვნი მილიარდები კი საქართველოში ქველმოქმედებას მოახმარა, საქართველოდან უნდა წავიდეს.

იფ, რა კარგი წინასაარჩევნო შეთავაზება აქვს ხაზარაძეს ქართველი ამომრჩევლისადმი — **ყაჩაღ-ბანკირი, მევახშე, თაღლითი, მერაბ კოსტავას მტერი ხელისუფლებაში მომიყვანეთ და პირობას გაძლევთ, ქველმოქმედებაში 3 მილიარდის დამხარჯავ, სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმისაგან საქართველოს გამათავისუფლებელ ბიძინა ივანიშვილს რუსეთში გადავასახლებო!**



ვერაფერს იტყვი, ნიჭიერია ეს ოხერი... ჯერ მარტო წინასაარჩევნო კამპანიის მთავარ სიმბოლოდ რარიტეტული **„ფორდ მუსტანგის“** არჩევა რად ღირს და მერე მთავარ წინასაარჩევნო დაპირებად — **ივანიშვილის საქართველოდან გაძევება!**

ხომ წარმოგიდგენიათ, საპარლამენტო არჩევნების დღეს — **2024 წლის 26 ოქტომბერს** — როგორი ენთუზიაზმით მიაწყდება ქართველობა საარჩევნო უბნებს იმის ხათრითა და იმედით, რომ ყაჩაღ-ბანკირი, მევახშე, თაღლითი და მერაბ კოსტავას მტერი მამუკა ხაზარაძე საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ მეცენატსა და სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმისაგან ქვეყნის გამათავისუფლებელ ბიძინა ივანიშვილს მოსკოვში გააძევებს!

**ირონია იქით იყოს, ხოლო სერიოზულად თუ ვიტყვით, გოგირდის წვიმა უნდა მოვიდეს იმ საქართველოში, რომლის ხელისუფლადაც მამუკა ხაზარაძე დაჯდება და ბიძინა ივანიშვილს რუსეთში გადაასახლებს!**

ცოდვისა და სირცხვილის ცეცხლში უნდა გამოიბუგოს ის საქართველო, სადაც **ბიძინა ივანიშვილის** ადგილი არ იქნება, ხოლო **მამუკა ხაზარაძე** ხელისუფლებაში იქნება!

თუმცა, საქართველოს ასეთი რამ არ ემუქრება, რადგან უმალ მდინარეები დაიწყებენ აღმა დინებას და აქლემები — ცაში ფრენას, ვიდრე ხაზარაძე და მისი საბაბუაძენი საქართველოს ხელისუფლებაში მოვლენ!

დიახ, **საქართველოს საამისო არაფერი დაუშავებია, ხოლო მამუკა ხაზარაძე, რომელმაც 35 წლის წინათ მერაბ კოსტავასათვის მოქნეული ხელი საქართველოს გაარტყა, ამის პასუხს საპარლამენტო არჩევნებში ქართველი ხალხისაგან მიიღებს!**

მტრისას, ისეთი პასუხი იქნება!

***ჯაბა ხუბუა***

### უმალ მდინარეები დაიწყებენ აღმა დინებას და აქლემები — ცაში ფრენას, ვიდრე ხაზარაძე და მისი საბაბუაძენი საქართველოს ხელისუფლებაში მოვლენ!

## კვირგვინოსნები

**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი, პარლამენტარი*



ავანსცენაზე გამოვიდნენ **მწამებლები, მევახშეები, უსამშობლოები** და წარმოდგენას დგამენ, **თითქოს „ლელო“ ნაცმოძრაობას ემიჯნება, პრეზიდენტი მესამე ძალას ქმნის და გახარია „ზურგით დგას“** რადიკალურ ოპოზიციასთან — **ეს ყველაფერი უნიჭო სატყუარაა.**

„ინტერპრესნიუსი“

**დიმიტრი სამხარაძე**
*პარლამენტარი*



**გაჭირვებული ხალხის ფულით და წართმეული ქონებით გამელოტებული ხაზარაძე გვემუქრება?** თან რუსეთში გვიშვებს, თურმე! **მევახშე-თაღლითო, მთელი შენი ცხოვრება რუსეთში და რუსებთან ერთად ძარცვავდი ქართველებს,** არასდროს გადაგივადებია გაჭირვებული ხალხისთვის სესხი, ქონებსაც კი ართმევდი ხალხს!

„აიპრესი“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*



საპარლამენტო არჩევნებში **ხაზარაძის** წარმატების ფორმულაა — **ფული, ფული და კიდევ ფული.**

„პირველი არხი“

**ვაჟა ბერიძე**
*ანალიტიკოსი*



**გააგდე, გადმოაგდე, დასაჯე,** ბარემ 30-იან წლებში დავბრუნდეთ, **ხაზარაძევ!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

***იმ ფონზე, როცა მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ გაშმაგებული შეტევა მიმდინარეობს, „საკონსტიტუციო შეთანხმების", ანუ ე.წ. „კონკორდატის" დედანი პირდაპირ პრეზიდენტის აპარატიდან უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა! ამის შესახებ განგაშის ზარს დოკუმენტის ერთ-ერთი თანაავტორი არისხებს:*** *„არ არის გამორიცხული, ოდესმე მიხეილ სააკაშვილის ან მისი საქმის გამგრძელებლის და სულიერი მემკვიდრის სალომე ზურაბიშვილის შთამომავლობამ საქართველოს უახლესი ისტორიისთვის უმნიშვნელოვანესი ეს დოკუმენტი კერძო კოლექციაში გადაიტანოს, თუნდაც გაყიდოს, როგორც რელიკვია და რარიტეტი!"* ***— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი საქართველოს საპატრიარქოს ყოფილმა საპარლამენტო მდივანმა, თეოლოგიის დოქტორმა, პროფესორმა გიორგი ანდრიაძემ:***

## *გიორგი ანდრიაძე:*

# სააკაშვილმა ან სალომე ზურაბიშვილმა პრეზიდენტის აპარატიდან «კონკორდატის» დედანი მოიპარა!



— საქართველოში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის შედგა უნიკალური იურიდიული დოკუმენტი, რომელსაც ოფიციალურად ჰქვია **„კონსტიტუციური შეთანხმება"**, ხოლო საზოგადოებაში იგი **„კონკორდატის"** სახელით არის ცნობილი. დოკუმენტს ხელი 2002 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მოეწერა. ეს დოკუმენტი ითვალისწინებდა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირებას და ეკლესიისთვის სტატუსის მინიჭებას, რადგან 1801 წლის მერე, რაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა, ეკლესიას არანაირი სტატუსი აღარ ჰქონია. ეკლესია უსტატუსოდ რჩებოდა საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგაც **და, აი, 2002 წლის 14 ოქტომბერს კონსტიტუციური შეთანხმების შედეგად სტატუსი ოფიციალურად გაფორმდა 110 სანტიმეტრ სიგრძის დახვეულ ეტრატზე, რასაც მთელ მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია.** კონკორდატს ხელი მოეწერა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში.

**— ხელის მომწერი მხარეები ვინ იყვნენ?**

— საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან — **პრეზიდენტი შევარდნაძე,** ხოლო მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან — **კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე.** შემდეგ ამ დოკუმენტს რატიფიკაცია გაუკეთა ერთი მხრივ — საქართველოს პარლამენტმა, მეორე მხრივ — საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა. რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია — **კონკორდატი იქცა კონსტიტუციის შემდეგ უმთავრეს სამართლებრივ აქტად.** ამიტომაც ეწოდება „კონსტიტუციური შეთანხმება", რომ ეს იყო არა უბრალოდ შეთანხმება, არამედ კონსტიტუციური სტატუსის მქონე შეთანხმება! ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დოკუმენტის იურიდიული ძალა საერთაშორისო ხელშეკრულებებზე მაღლა დგას. სწორედ აქედან გამომდინარე, **კონკორდატის მიღების მომენტიდან ეს დოკუმენტი ჟვანია-სააკაშვილის გუნდის მხრიდან მუდამ კრიტიკის და ზეწოლის ქვეშ იყო.** ქართველი საზოგადოების, საერთაშორისო სტრუქტურების, რელიგიური უმცირესობების და სხვა მრავალი ინსტიტუტის თანადგომის შედეგად კონკორდატი მიღებულ იქნა, მაგრამ იმთავითვე ნეოლიბერალური ძალების მთავარ სამიზნედ იქცა. როგორც კი სააკაშვილის ბანდა პოლიტიკური სპექტაკლის — „ვარდების რევოლუციის" გზით ხელისუფლებას სრულად დაეუფლა, მაშინვე გაშმაგებული ბრძოლა დაუწყო დოკუმენტს.

**— სააკაშვილის რეჟიმის მოსვლამდე კონკორდატი რეალურ ცხოვრებაში როგორ მუშაობდა?**

— კონკორდატზე მუშაობა 1998 წლიდან დაიწყო, როდესაც სახელმწიფომ და ეკლესიამ ერთობლივი სამუშაო ჯგუფი შექმნეს და 2002 წლამდე გაგრძელდა. კომისია ინტენსიურად მუშაობდა. სახელმწიფოს მხრიდან ჩართული იყო პარლამენტი და მინისტრთა კაბინეტი, ხოლო ეკლესიის მხრიდან — რამდენიმე ეპისკოპოსი, სასულიერო პირი და თავად პატრიარქი. კომისიაში პირადად მეც ვმონაწილეობდი, როგორც სამუშაო ჯგუფის მდივანი. იმ პერიოდში საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანიც გახლდით. სამუშაო ჯგუფს ძალიან ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა. ყოველთვის, როდესაც ჯგუფის წევრები საპატრიარქოში ვბრუნდებოდით, პატრიარქთან დიდი ხნის განმავლობაში გავდიოდით კონსულტაციებს. ტექსტი, თითოეული სიტყვა და სასვენი ნიშნებიც კი პატრიარქთან თანხმდებოდა. **ეს დოკუმენტი პატრიარქის მოღვაწეობის უმთავრესი მიღწევაა, ამაზე მნიშვნელოვნად მხოლოდ სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობა შეიძლება მივიჩნიოთ.**



კონსტიტუციური შეთანხმება

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის

— საქართველოში მსოფლიო ცივილიზებულ საზოგადოებაში აღიარებულია ისტორიული ...

მუხლი 6

1. ეკლესიის საკუთრება და სხვა ქონებრივი უფლებები დაცულია კანონით. ...



სულიერი განწმენდის მიზნით უფლის წინაშე მორწმუნეთა ნებაყოფლობითი აღიარება ცოდვებისა, რომლის სხვასთან თქმის უფლება სასულიერო პირს არა აქვს.
14. საეკლესიო საიდუმლოება — ეკლესიის კონფიდენციალური ინფორმაცია.
15. სასულიერო პირი — მართლმადიდებელ ეკლესიაში კანონიკური წესით ხელდასხმული (ნაკურთხი) პიროვნება (მონოზონი, დიაკონი, მღვდელი, ეპისკოპოსი), რომელიც ამ მადლს ინარჩუნებს, თუ არ მოხდა მისი განკვეთა ეპისკოპოსის ან წმიდა სინოდის დადგენილებით.
16. სულიერი მოძღვარი — მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირი, რომელიც ამა თუ იმ ადამიანისაგან იბარებს აღსარებას და წარმართავს მის სულიერ ცხოვრებას.

დამაგალია);
— ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (ვარდამავალია);
— საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის — წმიდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე (12 მაისი);
— ფერისცვალება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (19 აგვისტო);
— შობა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა (21 სექტემბერი);
— მსოფლიო ამაღლება პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვრისა (27 სექტემბერი);
— ტაძრად მიყვანა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა (4 დეკემბერი).

საქართველოს საპატრიარქო ტაძარი
14 ოქტომბერი 2002 წ.

უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი
ფონდი № 774 ანაწერი № 11
საქმე № 800 ფურც № 22
ხელმოწერა 2023წ.

მეორე მხრივ, კონკორდატი ეკლესიისთვის და, ზოგადად, ეროვნულ-ტრადიციული ღირებულებებისთვისაც უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი გახდა, რამეთუ საქართველოს ეკლესიას აძლევდა იურიდიულ სტატუსს როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს მასშტაბით. კონკორდატი რაღაცით კიდეც ჰგავს ვატიკანის აღიარების დოკუმენტს, იმ განსხვავებით, რომ ვატიკანი საერთაშორისო სამართლის სუბიექტია, ხოლო საქართველოს ეკლესია — კონსტიტუციური სამართალსუბიექტი. **მართლმადიდებლობამ ამ შეთანხმების საფუძველზე თითქმის მიიღო „საქართველოს სახელმწიფო რელიგიის" ტოლფასი სტატუსი. ამ დოკუმენტით მოხდა საქართველოს ეკლესიის იურიდიული უფლებების აღიარება საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ, რომ საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებობს საქართველოს ეკლესიის კუთვნილი ტაძრები და მონასტრები და, აქედან გამომდინარე, ეპარქიებიც,**



*2002 წლის 14 ოქტომბერი, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი*

*საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ხელს აწერენ ე.წ. კონკორდატს, ანუ საკონსტიტუციო შეთანხმებას სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის*

**რომლებზე ზრუნვაც საკუთარ თავზე სახელმწიფომ იტვირთა!**

სახელმწიფო ძალიან ბევრ საკითხში ითვალისწინებდა ეკლესიის პოზიციას, მათ შორის, ყველაზე მთავარ — საგანმანათლებლო სივრცეში. ამიტომაც ნეოლიბერალური ბანდები თავიდანვე მძაფრად უპირისპირდებოდნენ კონკორდატს და როგორც კი სააკაშვილის რეჟიმი ძალაუფლებაში მოვიდა, „თავისუფლების ინსტიტუტმა“ საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა ეს დოკუმენტი, მისი გაუქმების მოთხოვნით! პროცესი დაახლოებით ნახევარ წელიწადს გაგრძელდა და იმის გამო, რომ გასაუქმებლად არანაირი არგუმენტი არ აღმოჩნდა, სარჩელის მოთხოვნა სააკაშვილის რეჟიმის პირობებშიც კი — არ დაკმაყოფილდა, მარგინალურმა „თავისუფლების ინსტიტუტმა“ ვერ გაიმარჯვა! ამის შემდეგ იყო მეორე შემოტევაც — **გარკვეული ხნის შემდეგ მეორედაც იჩივლეს კონკორდატის გაუქმების მიზნით, მაგრამ ამჯერადაც დამარცხდნენ, ვინაიდან კონკორდატის მიღებისას საფუძველში ჩაქსოვილი აღმოჩნდა ევროკავშირის იურიდიული კომისიების და სტრუქტურების, ასევე ევროსასამართლოს სათანადო დასკვნები, ანუ ევროპული სამართლის მიმართ კონკორდატი წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებაში არ იყო!** საქართველოს პარლამენტმა კითხვაც კი გააგზავნა, შეესაბამებოდა თუ არა „კონსტიტუციური შეთანხმება“ ევროსტანდარტებს და მაშინ ბოლონიიდან დადებითი დასკვნა მოვიდა. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ კონკორდატმა იმ ეტაპზე გაუქმების მაგივრად, საერთაშორისო აღიარებაც კი მოიპოვა! ანტიქართული და ანტიეკლესიური ძალები არც ამ შედეგმა დააშოშმინა.

**— ამ მხრივ დღეისთვის რა შეიცვალა? რაიმე შეფერხება შეექმნა კონკორდატს?**

— კონკორდატს ვერანაირი შეფერხება ვერ შეექმნება, თუ არ გააუქმებენ. გაუქმების შანსი ჰქონდათ საკონსტიტუციო სასამართლოს ეგიდით და არ გაუვიდათ, „სირცხვილეულ იქმნენ!“ სხვა შემთხვევაში, უნდა გააუქმოს სახელმწიფომ, ანუ, პარლამენტმა და მთავრობამ, რაც თითქმის გამორიცხულია, ვინაიდან საქართველოში ამომრჩეველთა უმრავლესობა პრომართლმადიდებლურია და წარმოუდგენელია, სახელმწიფოსგან წამოვიდეს ასეთი ინიციატივა.

**— მაგრამ ლიბერასტები მოითხოვენ, კონკორდატის მსგავსი ხელშეკრულება სახელმწიფომ ყველა კონფესიასთან გააფორმოს.**

— სააკაშვილის რეჟიმმა, რომელიც გამალებით ცდილობდა, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის „კონსტიტუციური შეთანხმების“ ნიველირება მოეხდინა, 2007 წელს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მართლაც მისცა არამხოლოდ ყველა ტრადიციულ კონფესიას, არამედ სექტებსაც — თავისი ჭკუით, მათ გარკვეული კომპენსაცია გაუწია. ამის შედეგად, დღეის მდგომარეობით ანტიქრისტიანულ „გირჩს“ იგივე იურიდიული სტატუსი აქვს, რაც მართლმადიდებელ ეკლესიას.

სააკაშვილმა მართლმადიდებელ ეკლესიას ვერაფერი მოაკლო, მაგრამ ყველა კონფესია იურიდიულად აიყვანა მის სტატუსამდე, თუმცა, ამას კონსტიტუციაში ვერ ჩაწერდა, ანუ კონფესიების სტატუსი კონსტიტუციის დონეზე მაინც არ არის განსაზღვრული და, შესაბამისად, კონსტიტუციის სამართალწარმოების ობიექტად მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესია რჩება. სააკაშვილის რეჟიმის ეს გადაწყვეტილება ნონსენსი და აბსურდია, სწორედ ეს არის სასწრაფოდ გასაუქმებელი! სააკაშვილის რეჟიმმა იმას მიაღწია, რომ კონკორდატს შემდგომი განვითარება, ანუ კანონებში ასახვა, აღარ მოჰყოლია. ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ერთობლივი კომისიები კი შეიქმნა, მაგრამ მათ არ უმუშავიათ. პარადოქსულია, რომ კომისიები არ ამუშავებულან მას მერეც, რაც სააკაშვილის რეჟიმი ახალმა ხელისუფლებამ შეცვალა. ფაქტობრივად, **საქართველოს კანონმდებლობაში „საკონსტიტუციო შეთანხმებამ“ შემდგომი განვითარება არ პოვა.**

**— ინტერვიუს დასაწყისში მითხარით, რომ „საკონსტიტუციო შეთანხმების“ დოკუმენტი სულაც გაუჩინარდა, ანუ დაიკარგა. ეს როდის შეიტყვეთ?**

— ვინაიდან 2022 წელს დოკუმენტზე ხელმოწერიდან 20 წელი სრულდებოდა, როგორც ეკლესიის მხრიდან ერთ-ერთმა თანაავტორმა, გადავწყვიტე, ამ თარიღის აღნიშვნის მიზნით კონკორდატის დოკუმენტის ზუსტი ასლი გამომექვეყნებინა. ეკლესიის მხრიდან სამუშაო ჯგუფის მდივანი გახლდით და ხელთ მქონდა იმ ეტრატის ანალოგი (ოღონდ, რა თქმა უნდა, ხელმოწერების გარეშე), რასაც სვეტიცხოველში ხელი მოეწერა. აქვე გეტყვით, რომ თავის დაზღვევის მიზნით ეტრატის სათადარიგო ორი ასლი ამოვბეჭდეთ, იმ შემთხვევისთვის, თუ დედანი ხელმოწერის დროს დაზიანდებოდა. მას მერე, რაც დოკუმენტს ხელი მოეწერა, ერთი — საპატრიარქომ, ხოლო მეორე— სახელმწიფომ შეინახა. **პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის აპარატს პირადად მივმართე თხოვნით, მცირე ხნით ეჩვენებინა დოკუმენტი, რათა მისი ასლი გადამეღო. ოფიციალურ პასუხად მივიღე, რომ პრეზიდენტის აპარატში დედანი არ ინახება.** ვივარაუდე, რომ შეიძლებოდა, ოდესღაც პრეზიდენტის აპარატს ეს დოკუმენტი პარლამენტისთვის ან პრემიერის აპარატისთვის გადაეცა, თუმცა, ყველგან უარი მითხრეს. შემდეგ არქივს მივაკითხე და ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი იქაც არ დამხვდა! ამასობაში პასუხების მოლოდინში თვეები გავიდა. ყველა ინსტანცია მეუბნებოდა, რომ შევარდნაძის მხრიდან ხელმოწერის შემდეგ ეს დოკუმენტი პრეზიდენტის აპარატში ინახებოდა, ამიტომ განმეორებით მივმართე პრეზიდენტის აპარატს და დაბეჯითებით გამიმეორეს, ოფიციალური წერილიც მომწერეს, რომ „საკონსტიტუციო შეთანხმების“ დოკუმენტი მათთან არ ინახება! ამის მერე გადავწყვიტე, განგაშის ზარები დავარისხო!

**— რანაირად შეიძლება, ასეთი მნიშვნელობის საბუთი გაუჩინარდეს, ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფო გვაქვს თუ „ნინიას ბაღი“? თქვენი ვარაუდით, ვის და რა მიზნით უნდა მოეპარა ან გადაემალა კონკორდატის დოკუმენტი?**

— ჩემი აზრით, პოტენციურად არსებობს ორი პიროვნება, რომლებიც ამით შეიძლება იყვნენ დაინტერესებულები. ერთი გახლავთ **მიხეილ სააკაშვილი,** მეორე კი — ამჟამინდელი პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი.** რადგან დოკუმენტი დღესაც ძალაშია, ანუ მოქმედია, რადგან შესულია საქართველოს ნორმატიული აქტების ნუსხაში, ხოლო მისი ფოტოპირი დაფიქსირებულია საქართველოს ეროვნულ არქივში, ამავე დროს, რადგან ერთ-ერთი პირი დაცულია და ინახება საპატრიარქოში და დედნის გაქრობა დოკუმენტის მოქმედების შეწყვეტის საფუძველი ვერანაირად ვერ გახდება, რჩება ერთადერთი ახსნა — **სააკაშვილმა ან ზურაბიშვილმა დოკუმენტის დედანი გამიზნულად, მის მიმართ ზიზღის გამო ანდა ანგარების მიზნით მოიპარეს!** აკი, სააკაშვილმა მდინარეები და ჰესები გაყიდა და არ არის გამორიცხული, ეს დოკუმენტიც ოდესმე სააკაშვილის ან მისი საქმის გამგრძელებლის და სულიერი მემკვიდრის — ზურაბიშვილის შთამომავლობამ კერძო კოლექციაში გადაიტანოს, თუნდაც, გაყიდოს, როგორც რელიკვია და რარიტეტი. მისი ფასი ხომ, შესაძლოა, მილიონებით განისაზღვრებოდეს! მოგეხსენებათ, **გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარებულია 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის დედანიც, რომელსაც მომავალში საკმაოდ დიდი ფინანსური ღირებულება ექნება და ასევე არ არის გამორიცხული, ეს ბოროტმოქმედებაც თავის დროზე ანგარებით მოტივზე მომხდარიყო.**

**— დასანანია, რომ ფართო საზოგადოებამ არ იცის, როგორია „კონსტიტუციური შეთანხმების“ დედანი!**

— „ასავალ-დასავალში“ დასაბეჭდად გადმოგცემთ დედნის ასლის ფოტოს, რომელზეც, დედნისგან განსხვავებით, შევარდნაძისა და პატრიარქის ხელმოწერა არ არის, დანარჩენი ყველაფერი იგივეა. თუმცა, აქამდე ფართო საზოგადოებას არც ეს ფოტო უნახავს, დედანი კი, ამ ეტაპზე საერთოდ დაკარგულია! **დაე, „ასავალ-დასავალში“ დაბეჭდილი ეს ინტერვიუ პროკურატურამ მიიღოს, როგორც საჯარო შეტყობინება და დაიწყოს ძიება საქართველოს ისტორიაში ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის — „კონსტიტუციური შეთანხმების“ დაკარგული დედნის მოსაძიებლად!**

დაუყოვნებლივ უნდა დაიკითხონ სააკაშვილიც და ზურაბიშვილიც! მიუხედავად საზარელი სისხლიანი დანაშაულებისა, რაც სააკაშვილმა ჩაიდინა; მიუხედავად იმ სისულელეებისა და ანტიქართული ქმედებებისა, რასაც ზურაბიშვილი დღემდე სჩადის — **„კონსტიტუციური შეთანხმების“ დედნის სახელმწიფო სტრუქტურებიდან გაუჩინარება მაინც ყველაზე ცინიკური დანაშაულია, რაც შეიძლება პრეზიდენტის სკამზე დასმულმა რეზიდენტმა ჩაიდინოს!** ამ მართლაც საუკუნის დანაშაულის ჩამდენმა პასუხი სათანადო დონეზე აუცილებლად უნდა აგოს!

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**





# „სახელმწიფო სტრუქტურებიდან „საკონსტიტუციო შეთანხმების“ დედნის გაუჩინარება ყველაზე ცინიკური დანაშაულია, რაც შეიძლება პრეზიდენტის სკამზე დასმულმა რეზიდენტმა ჩაიდინოს!“

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

№6661
19 / სექტემბერი / 2023 წ.
გიორგი ანდრიაძეს

ელექტრონული ფოსტა: andriashi@yahoo.com

ბატონო გიორგი,

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შემოსული თქვენი 2023 წლის 13 სექტემბრის N1/10681 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია საქართელოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დაცული არ არის.

პატივისცემით,

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე
თეა დარსანია

**გიორგი ანდრიაძეს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ უპასუხა, რომ კონკორდატის დედანი მათთან არ ინახება!**

# „დაე, „ასავალ-დასავალში“ დაბეჭდილი ეს ინტერვიუ პროკურატურამ მიიღოს, როგორც საჯარო შეტყობინება და დაიწყოს ძიება

## საქართველოს ისტორიაში ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის დაკარგული დედნის მოსაძიებლად!“

*წინა კვირას ქართველი „მეტანკეების“ ბელადმა ზურაბ-გირჩი გასიევმა და პიჯაკში გამოწყობილმა „ეფესბეს“ მაიორმა ლიაკა ხოშტარია-კოსიგინამ, რომელიც კარბიდის არყით მემთვრალეობაშია ექვმიტანილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია თავიანთ ვებ-გვერდზე, ე.წ. „მონა.ჯი“-ზე განათავსეს.*

# დედაუნივერსიტეტს ნაცქინკეები ვერ დაეპატრონებიან!



თბილისის სახელმწიფო უნივერსი-ტეტის რექტორი ჯაბა სამუშია



მკითხველს შევახსენებთ, რომ ე.წ. პლატფორმა **„მონა.ჯი“** სოფელ ატოცთან უკანალწამოხდილებმა და მარიხუანით გაბრუებულმა ცნობილმა ლოთებმა შექმნეს, რომლებსაც სწორედ **ზურაბ-გირჩი და ლიაკა ხოშტარია** ხელმძღვანელობენ. **მათი მიზანი ერთია — იმ ხალხის ფსიქოლოგიური ტერორი და ლანძღვა-გინება, რომლებიც ქართულ ფასეულობებს, მართლმადიდებლობას, ქვეყნის ეროვნულ ინტერესებსა და ქართული ცხოვრების წესს იცავენ!** მთელი ეს სანაგვე ცხადია, მიერთებულია **„ვივამედში“ წამოკოტრიალებულ მიხეილ სააკაშვილთან,** რომელსაც კლინიკაში სექს-კამერა გაუხსნეს და მოცალეობის ჟამს, როცა ბავშვების კეთებით არ არის დაკავებული, **„ძღ...ბურთის“** *(ცენზურა ჩვენია. რედ.)* **თამაშით ერთობა.**

**შარვალჩახდილმა მამათმავლებმა თუ ლატენტურმა და გაცხადებულმა დედათმავლებმა,** რომლებიც **გიორგი ბარამიძისა** და სააკაშვილის გაერთიანებულ საროსკიპოში სწორედ **მონებად** მუშაობდნენ, **„მონა.ჯი“**-ზე აკადემიკოს **ჯაბა სამუშიას** ლანძღვა-გინება ასე „დაასაბუთეს“ და „ახსნეს“ —

> ***„კეკელიძის ქუჩაზე გამოსახლების დროს პოლიციამ თსუ-სა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ლექტორები სისხლის სამართლის მუხლით დააკავა. იმის გამო, რომ დაკავება ანგარიშსწორებისა და შერჩევითი მართლმსაჯულების კლასიკური მაგალითი იყო, თსუ-ს სტუდენტებმა პროტესტი წამოიწყეს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან ითხოვდნენ, დაეყენებინათ შუამდგომლობა სასამართლოში ლექტორების გათავისუფლების შესახებ. რექტორმა ჯაბა სამუშიამ არათუ მზაობა გამოხატა სტუდენტების მოთხოვნების შესრულებაზე, არამედ მათ რადიკალები უწოდა და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრის დროს პროტესტს მიუღებელი უწოდა. მეტიც, რექტორი სტუდენტებს მძიმე შედეგებით დაემუქრა. რექტორმა არც დაკავებულებს დაუჭირა მხარი და გააძლიერა სამთავრობო პროპაგანდისტული ხაზი.***
>
> ***ჯაბა სამუშიას** მიერ სისტემის მსახურება მხოლოდ ახლა არ გამოვლენილა. ის იყო „გარეჯი საქართველოას“ პროპაგანდისტული კამპანიის ერთ-ერთი მთავარი სპიკერი. შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ კამპანიის გასაძლიერებლად „ოცნებამ“ ორი მეცნიერი **ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა** დააკავა!“*

მოკლედ, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს **ჯაბა სამუშიას** „დანაშაული“, თურმე, ის ყოფილა, დაპატიმრებული პროფესორ-მასწავლებლების გასათავისუფლებლად **ახტაჯანა ლიაკა ხოშტარიასავით** პოლიციელებს თავში ხელი რომ არ ჩაარტყა, საპატრიარქოს საღებავი არ შეასხა ანდა აღსრულების ბიუროს თანამშრომლები ზუსტად ისე არ სცემა, როგორც **გიგა ბოკერიამ — ვალერია ნოვოდვორსკაია,** რომელიც 1992 წლის გაზაფხულზე უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში მიტინგის გამართვას ცდილობდა.

უფრო მეტიც, **„მონა.ჯი“**-ზე უნივერსიტეტის რექტორის გამოფენას სხვა მიზეზიც ჰქონია. **ჯაბა სამუშია,** თურმე, **„სისტემას ემსახურებოდა“** მაშინ, როცა **„გარეჯი საქართველოას“** პროპაგანდისტული კამპანიის ერთ-ერთი მთავარი სპიკერი იყო“ და „ამ კამპანიის გასაძლიერებლად „ოცნებამ “ ორი მეცნიერი — **ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა** დააკავა!“

ე.ი. **„უკანალწამოხდილი ზურაბ-გირჩი გასიევისა** და „ეფესბეს“ მაიორ **ლიაკა ხოშტარია-კოსიგინას** აზრით, თუ იტყვი, რომ დავითგარეჯი საქართველოა, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ხარ ხელისუფლების **„მონა“** და, შესაბამისად, შენი ადგილი **„მონა.ჯი“**-ზეა.

ძვირფასო მკითხველო, ამ უდღეურებსა და უკანალწამოხდილებს რომ სერიოზულად ველაპარაკოთ და ვუმტკიცოთ — თუ დავითგარეჯს იცავ, **„მონა“** კი არა, ღირსეული ქართველი ხარ-თქო! — შესაძლოა, გაგვგიჟდეთ. ამიტომ ვითარების ერთგვარი განმუხტვის მიზნით **გთავაზობთ ქართველ პოეტთა იმ იატაკქვეშა გაერთიანებაში შეთხზულ ლექსს, რომელიც სწორედ „მონა.ჯი“-სა და მასთან დაკავშირებულ მამათმავალ-დედათმავალთა გაერთიანებულ საროსკიპოს ეძღვნება!**

აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ ქართველი პოეტების ზემოხსენებული იატაკქვეშა გაერთიანება, რომლის სულიერი ლიდერიც ვინმე **სემიონ ტრავკინი** გახლავთ, ძალიან ემტერება **მამუკა ხაზარ-ფაშას, რიტა ამაღლობლისა და ლაშა ბუღათურქის „უბორნიას“,** რომლის წინააღმდეგაც გენერალური შეტევა, კერძოდ, ფეკალური ტყვიამფრქვევის ამოქმედება იგეგმება! მოკლედ, სემიონ ტრავკინის იატაკქვეშა ჯგუფმა ზურაბ-გირჩი გასიევისა და ლიაკა ხოშტერია-კოსიგინას „მონა-ჯი“-ს ასეთი ლათაია უძღვნა:

**„გვერდზე დაგრჩებათ „მონა.ჯი“,**
**თუ ერთი მაგრად მოგა-ჯ...ით!“** *(ცენზურა ჩვენია. რედ.).*

ჩვენს მიზანს ცხადია, არ შეადგენს პიროვნულად ვინმეს დაცვა, რადგან რუსული რუბლებით თუ ამერიკული დოლარებით მოღორებული ამ მართლაცდა მონებისა და სამშობლოს მოღალატეების მიერ ვინმეს **„მონად“** გამოცხადება სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. **მითუმეტეს, არ სჭირდება ჩვენი დაცვა აკადემიკოს ჯაბა სამუშიას, რომელსაც არც საქართველოს სიყვარული ესწავლება, არც — წერა-კითხვა და არც — ლაპარაკი, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეს ის შემთხვევაა, როცა თვალის დახუჭვა არ ეგების, რადგან ამ გარეწრებმა, რასაც ზურაბ-გირჩი გასიევისა და ხოშტერია-კოსიგინას** გაერთიანებული ბორდელი ჰქვია, გაბედეს და **„მონა“** უწოდეს კაცს, რომელმაც ხმა აღიმაღლა და თქვა — **გარეჯი საქართველოაო!** ანუ რა გამოდის, **უკანალმოფამფალებულთა და შარვალჩახდილ-ჩაცუცქულთა ლოგიკით, ვინც ფიქრობს, რომ დავითგარეჯი აზერბაიჯანია, ის „თავისუფალი“ და „ძალიან ქუულ ტიპია“, ხოლო ყველა დანარჩენი — „მონა“!**

იყო დრო, როცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწორედ **ლომაია-ასრაწიანისა და გასიევ-ჯაფარიძის** მსგავსი მონები შეიჭრნენ, პროფესურა ტუალეტში ჩაკეტეს, გულშეწუხებულ მეცნიერებსა და ლექტორებს წყალი არ მისცეს და საქართველოს ალმა-მატერში, სადაც დიდი ივანე ჯავახიშვილი ქუდის მოხდით შედიოდა, ყველას და ყველაფერს **გიული ალასანიას დაქალის — რუსუდან ლორთქიფანიძის** „კრუჟაოიანი“ ნიფხავი ჩამოაცვეს!

ამ ნაძირალებისგან, რომლებიც არამარტო დედაუნივერსიტეტს, არამედ მთელ განათლების სისტემას კიბოს მეტასტაზებივით მოედვნენ და სკოლაც, ინსტიტუტიც და უნივერსიტეტიც ვირების ბაგად გადააქციეს, საქართველო უნდა გაიწმინდოს!

მიგვაჩნია, რომ **აკადემიკოსი ჯაბა სამუშია და მისთანა პატრიოტები,** რომლებსაც სული ეშმაკისთვის არ მიუყიდიათ და არ ფიქრობენ, რომ გარეჯი აზერბაიჯანია, ნელ-ნელა, ტანჯვა-წვალებით, მაგრამ მაინც შეძლებენ იმ ავგიას თავლის გაწმენდას, რაც სააკაშვილმა და მისმა ხროვამ საქართველოსა და ქართველობას უბინძურეს და სამარცხვინო მემკვიდრეობად დაუტოვეს.

**ჯაბა სამუშიამ** არამარტო უნივერსიტეტი უნდა გაწმინდოს, არამედ შურიც უნდა იძიოს ჩვენი ძვირფასი მასწავლებლის, პროფესორ **გიორგი ოთხმეზურის** მკვლელობისთვის, რომელიც **თანამედროვეობის ყველაზე დიდმა მონამ და უცხო ქვეყნის აგენტმა, პრეზიდენტ-რეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა სიცოცხლეს გამოასალმა!**

> **ზურაბ-გირჩი გასიევს, ლიაკა ხოშტერია-კოსიგინასა და მისთანა გარეწრებს, რომლებიც პოლიტიკასა და უნივერსიტეტში საქმის საკეთებლად და ლექციების წასაკითხად კი არა, „სამიშაოდ“ დაეთრევიან, ვურჩევთ, სააკაშვილის მონობას თავი დააღწიონ და საქართველოს მონობის უღელი დაიდგან!**



გიორგი ოთხმეზური

**ჯაბა სამუშიამ არამარტო უნივერსიტეტი უნდა განწმინდოს, არამედ შურიც უნდა იძიოს ჩვენი ძვირფასი მასწავლებლის, პროფესორ გიორგი ოთხმეზურის მკვლელობისთვის, რომელიც თანამედროვეობის ყველაზე დიდმა მონამ, პრეზიდენტ-რეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა სიცოცხლეს გამოასალმა!**



ამდენად,

## აკადემიკოს ჯაბა სამუშიას ბევრი სამუშაო აქვს და გვჯერა, დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად შეასრულებს,

ხოლო **ზურაბ-გირჩი გასიევს, ლიაკა ხოშტერია-კოსიგინასა და მისთანა გარეწრებს,** რომლებიც პოლიტიკასა და უნივერსიტეტში საქმის საკეთებლად და ლექციების წასაკითხად კი არა, **„სამიშაოდ“** დაეთრევიან, ვურჩევთ, სააკაშვილის მონობას თავი დააღწიონ და საქართველოს მონობის უღელი დაიდგან!

**უკანალწამოხდილებო და შარვალჩახდილებო, მერწმუნეთ, ასე უფრო შინაარსიანი და ბედნიერი იქნება თქვენი გაძაღლებული ცხოვრება, რომელიც რახანია, ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას ღალატის სუნით ყარს!**

***დიტო ჩუბინიძე***

№11-12 (247-248) ★ 2024 წლის 19 თებერვალი ★ გამოდის 2003 წლიდან

ნანა კაკაბაძის ფიქრები პუტინის ოპონენტის სიკვდილზე

# ნავალნი ჩემი გმირი არ ყოფილა!

ვინც არ არის კახაბერი... ★

***ვერავინ უარყოფს, რომ 1976 წელს დაბადებული და 2024 წლის 16 თებერვალს იამალ-ნენთა ავტონომიური ოკრუგის დაბა ხარპში მდებარე შრომა-გასწორების კოლონია „პოლარულ მგელში“ გარდაცვლილი რუსეთის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერისა და ვლადიმერ პუტინის მთავარი ოპონენტის ალექსეი ნავალნის რუსეთში დაბრუნება ამ სამიოდე წლის წინათ მართლაც გაბედული ნაბიჯი იყო, რაც საბოლოო ჯამში მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა. მაგრამ ძნელია, ასეთი ფაქტის საყოველთაო შეფასების ფონზე არ ითვალისწინებდე მის დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ.***



ყველას გვახსოვს — 2008 წლის ომის დროს **ალექსეი ნავალნი** აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარებას და თბილისის დაბომბვასაც კი ითხოვდა, რის გამოც საქართველოში მის მიმართ ფრიად უარყოფითი დამოკიდებულებაა. შესაძლოა, უცხოელთათვის თავისი საქციელით ის მისაბაძიც კი იყოს, მაგრამ ქართველებისთვის ასეთი შეფასების მოსმენისას წინა პლანზე იწევს საქართველოსთან მისი მიმართება.

ეს ბუნებრივია, რადგან, ვინც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას არ აღიარებს, პირადად ჩემთვის ყოველმხრივ მიუღებელია!

**ჩემი გმირია 100 ათასი წამებული,** რომელმაც ღვთისმშობლის ხატს ფეხი არ დააბიჯა და ჩვენი რწმენისთვის სიცოცხლე გაწირა!

**ჩემი გმირია ცოტნე დადიანი,** რომელმაც სამშობლოს სიყვარულისთვის მეგობრობის უპრეცედენტო თავდადება აჩვენა მტერსაც და მოყვარესაც!

**ჩემი გმირია ქეთევან წამებული,** რომელიც სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის ცხელ შანთებს არ შეუშინდა!

**ჩემი გმირია დავით აღმაშენებელი,** რომელმაც გააძლიერა და განავრცო საქართველო!

**ჩემი გმირია ერეკლე მეორე,** რომელმაც სამშობლოს სიყვარულისათვის 40-მდე ჭრილობა ატარა!

**ჩემი გმირია თამარ დედოფალი,** რომელმაც საქართველოს „ოქროს ხანა“ აჩუქა!

**ჩემი გმირია 300 არაგველი,** სამშობლოს უკვდავებას შეწირული 300 უშიშარი მებრძოლი!

მაგრამ **ნავალნი** ჩემთვის **არ და ვერ იქნება გმირი!** მიცვალებულზე ან კარგს ამბობენ, ან — არაფერს. ამიტომ მეც არაფერს ვიტყვი — დაე, რუსებმა შეაფასონ, ხოლო ამ ჩვენმა აგენტ-ოპოზიციონერებმა და მათმა ტელევიზიებმა, გმირად რომ აცხადებენ **ნავალნის,** ის მაინც გვითხრან, **თვითონ ვინ არიან და რა გაუკეთებიათ საქართველოსათვის?** უფრო მეტიც, **ნავალნის „გაურკვეველ ვითარებაში“** გარდაცვალებაზე რომ მოთქვამენ, საინტერესოა, თავად რატომ არ ადარდებდათ ნაც-ხელისუფლების საპატიმროებში **„გაურკვეველ ვითარებაში“** გარდაცვლილი ასეულობით ადამიანი? თუნდაც ციხის ჯალათების მიერ წამებით მოკლული პოლკოვნიკი **სერგო თეთრაძე,** ნაწამები და ქუჩაში დაგდებული სერჟანტი **როინ შავაძე,** აკუწული **სანდრო გირგვლიანი,** უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული დედამისი — **ირინა ენუქიძე,** ეკლესიის წინ ჩაცხრილული **ბუტა რობაქიძე, გიორგი გამცემლიძე** თუ **ზურა ვაზაგაშვილი,** რომლის მამაც შვილის საფლავზეააფეთქეს.

ვაგლახ, **დაუსრულებლად შეიძლება ჩამოვწეროთ იმ უდანაშაულო ბიჭების გვარ-სახელები, რომლებიც რეჟიმმა მხოლოდ იმისათვის ჩახოცა, რომ საზოგადოებაში შიშისა და მორჩილების განცდა დაეთესა!**

ახლა იმ რეჟიმის შემოქმედებსა და მათი ჯიბის ტელევიზიებს, თურმე, **ნავალნის** სიკვდილი აწუხებთ. **სინამდვილეში მათ ნავალნის გარდაცვალება კი არა, ამ სამწუხარო ფაქტის სათავისოდ გამოყენება სურთ და თავიანთი დაჩმორებული ბელადის ნავალნისთან გატოლებით ქულები უნდა ჩაიწერონ.** როგორც ყოველთვის, ისინი ამჯერადაც მხოლოდ პარტიული ინტერესებიდან გამოდიან და ცდილობენ იმ ამომრჩეველთა გულებში შეჭრას, რომლებმაც მიმდინარე წლის ოქტომბერში საარჩევნო ბიულეტენებში უნდა ჩაუფურთხონ!

## ცნობისათვის:

*2023 წელს პატიმრობაში მყოფმა **ნავალნიმ,** რომელიც ქართველებს **„грызун“**-ებად მოიხსენიებდა, ბოდიში მოიხადა საქართველოს წინაშე თავისი 15 წლის წინანდელი პოზიციისათვის, როცა რუსეთიდან ქართველების გაძევებას ითხოვდა **და მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, გაეთავისუფლებინა პირსისხლიანი სააკაშვილი.***







ამ ჩვენმა აგენტ-ოპოზიციონერებმა და მათმა ტელევიზიებმა, გმირად რომ აცხადებენ ნავალნის, ის მაინც გვითხრან, თვითონ ვინ არიან და რა გაუკეთებიათ საქართველოსათვის? უფრო მეტიც, ნავალნის „გაურკვეველ ვითარებაში“ გარდაცვალებაზე რომ მოთქვამენ, საინტერესოა, თავად რატომ არ ადარდებდათ ნაც-ხელისუფლების საპატიმროებში „გაურკვეველ ვითარებაში“ გარდაცვლილი ასეულობით ადამიანი?

## აი, რას წერდა ალექსეი ნავალნი საქართველოსა და ქართველების შესახებ 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში:

რა თქმა უნდა, ძალიან მინდა, დავუშინოთ ფრთოსანი რაკეტა **მღრღნელების (ქართველების)** გენშტაბს, მაგრამ **მღრღნელები („გრიზუნები“)** სწორედ ამას ელოდებიან ... რუსეთმა უნდა მიიღოს, მინიმუმ, შემდეგი ზომები: **აღმოუჩინოს სერიოზული სამხედრო და ფინანსური დახმარება სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს... ბლოკადაში მოაქციოს საქართველო... გააძევოს ჩვენს ტერიტორიაზე მყოფი საქართველოს ყველა მოქალაქე რუსეთიდან.**

რუსეთმა დაუყოვნებლივ უნდა აღიაროს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

***რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინისა და ამერიკელი ჟურნალისტის ტაკერ კარლსონის სატელევიზიო საუბარმა მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა არნახული სპექტრი მოიცვა. დღეს ჩვენ ვასრულებთ აღნიშნული ინტერვიუს საგაზეთო ვარიანტის პუბლიკაციას „გენერალისიმუსის“ ფურცლებზე.***




•

**კარლსონი: — და რომ ეთქვა მას** (ბილ კლინტონს. რედ.) **„დიახ“, თქვენ შეუერთდებოდით თუ არა ნატოს?**

**პუტინი:** — თუ თანხმობა იქნებოდა, დაიწყებოდა დაახლოების პროცესი და საბოლოოდ ეს შეიძლება, ასეც მომხდარიყო, თუ დავინახავდით პარტნიორობის გულწრფელ სურვილს. მაგრამ ასე არ მომხდარა. ასე რომ, თუ **„არაზეა“** საქმე, კარგით **„არა“** იყოს.

•

**კარლსონი: — მე ვგრძნობ, რომ თქვენ წუხართ ამის გამო, მაგრამ როგორ ფიქრობთ, რატომ გკრათ ხელი მაშინ დასავლეთმა? საიდან ეს მტრობა? რატომ ვერ გახდა შესაძლებელი ურთიერთობის გამოსწორება, თქვენი თვალთახედვით?**

**პუტინი:** — თქვენ თქვით, რომ წუხართ, მიღებული პასუხის გამო, მაგრამ — არა, ეს ჩემი მხრიდან წუხილი არაა, უბრალოდ, ფაქტის კონსტატაციას ვახდენ. ჩვენ ხომ ნეფე-დედოფალი არა ვართ. წყენა და წუხილი არ გახლავთ ის სუბსტანციები, რომლებსაც ამ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს. უბრალოდ, ჩვენ გავიგეთ, რომ იქ **(ნატოში. რედ.)** არავინ გველის. მორჩა და გათავდა. მაგრამ რატომ მივიღეთ ასეთი ნეგატიური პასუხი, მოდით, საკუთარ ხელმძღვანელობას ჰკითხეთ!

მე მხოლოდ რაღაცებს ვხვდები: ძალიან დიდი ქვეყანაა თავისი მოსაზრებებით და ა.შ. ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები... მე ხომ ვნახე, როგორ იღებენ გადაწყვეტილებებს ნატოში. მოგიყვანთ უკრაინასთან დაკავშირებულ ერთ მაგალითს: აშშ-ის ხელმძღვანელობამ დაჰკრა კვერთხი და ნატოს ყველა წევრი მორჩილად აძლევს ხმას, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, რაღაც არ მოსწონს. ამასთან დაკავშირებით გეტყვით, რა ხდებოდა უკრაინაში 2008 წელს... თუმცა, ამ ნათქვამში არაფერი ახალი არ იქნება.

ამის შემდეგაც ჩვენ ვცდილობდით, სხვადასხვა გზებით დაგველაგებინა ურთიერთობები. იყო ახლო აღმოსავლეთის, ერაყის მოვლენები და ჩვენ ძალიან რბილად და მშვიდად ვალაგებდით ურთიერთობებს შტატებთან.

მე არაერთხელ ვაყენებდი საკითხს იმის თაობაზე, რომ შეერთებულ შტატებს არ დაეჭირათ მხარი სეპარატიზმისა და ტერორიზმისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში, მაგრამ ისინი მაინც აგრძელებდნენ ამ საქმეს და მოდიოდა პოლიტიკური მხარდაჭერა, ინფორმაციული მხარდაჭერა, ფინანსური მხარდაჭერა, თვით სამხედრო მხარდაჭერაც კი კავკასიაში არსებული ტერორისტული ფორმირებების მიმართ.

ერთხელ ამერიკის შეერთებული შტატების კოლეგა პრეზიდენტთან წამოვწიე ეს საკითხი. მან მითხრა: კი მაგრამ, გაქვთ თუ არა სათანადო მტკიცებულება? მე ვუპასუხე: დიახაც, მაქვს და მტკიცებულებებიც წარვუდგინე. მან დახედა და, იცით, რა მითხრა? ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ნამდვილად ასე იყო ყველაფერი და მის ციტირებასაც მოვახდენ: მე მაგათ უკანალში მოვცხებო... ველოდით, ველოდით, მაგრამ პასუხი არ ყოფილა.

მე ვეუბნები უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის დირექტორს: მისწერე დაზვერვის ცენტრალურ სამმართველოს, მოჰყვა თუ არა თუნდაც მცირედი შედეგი პრეზიდენტთან საუბარს. მართლაც მისწერა ერთ-ორჯერ, შემდეგ კი მიიღო პასუხი, რომელიც არქივში გვიდევს — ჩვენ ვიმუშავეთ და მომავალშიც ვიმუშავებთ ოპოზიციასთან რუსეთში და ვთვლით, რომ ეს სწორი არისო. პირდაპირ სასაცილოა. ჩვენ გავიგეთ, რომ საუბარი ვერ შედგა.

**კარლსონი: — თქვენი ოპოზიცია?**

**პუტინი:** — რასაკვირველია, ამ შემთხვევაში იგულისხმებოდნენ სეპარატისტები და ტერორისტები, რომლებიც კავკასიაში გვებრძოდნენ. აი, ვისზე იყო საუბარი. ისინი ამათ ეძახდნენ ოპოზიციას!

არის კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი — აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის **(ПРО. რედ.)** შექმნა. ჩვენ დიდი ხნის მანძილზე გვსურდა, დაგვეყოლებინა შეერთებული შტატები, რომ ხელი აეღოთ ამაზე. უფრო მეტიც, როდესაც მე **უმცროსი ბუშის** მამამ **უფროსმა ბუშმა** ოკეანის გაღმა მიმიწვია, იქ შედგა ძალიან სერიოზული საუბარი **პრეზიდენტ ბუშთან** და მის გუნდთან. მე შევთავაზე, რომ **აშშ**-ს, რუსეთსა და ევროპას ერთობლივად შეექმნათ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა, რადგან ცალმხრივად მასზე მუშაობა საფრთხეს უქმნიდა ჩვენს უშიშროებას, მიუხედავად შეერთებული შტატების განცხადებისა, თითქოს აღნიშნული სისტემის ჩამოყალიბება ირანის მხრიდან სარაკეტო თავდასხმის საფრთხესთან არის დაკავშირებული. მე შევთავაზე, გვემუშავა სამივე მიმართულებით — რუსეთის, აშშ-სა და ევროპის განხრით, თუმცა, მათ გვითხრეს, რომ ეს ყველაფერი ძალიან საინტერესოა და ისიც მკითხეს: ამას სერიოზულად ამბობ? მე ვუპასუხე: აბსოლუტურად სერიოზულად!

**კარლსონი: — როდის იყო ეს, რომელ წელს?**

**პუტინი:** — არ მახსოვს, მაგრამ ამის გაგება ძალიან ადვილია ინტერნეტის საშუალებით, როდის ვიყავი აშშ-ში **უფროსი ბუშის** მიწვევით. დიახ, მე ვუთხარი — წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუკი ჩვენ ერთობლივად გადავჭრით ასეთ გლობალურ სტრატეგიულ ამოცანას უსაფრთხოების სფეროში. მსოფლიო შეიცვლება. ცხადია, გვექნება კამათი, ალბათ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებზე, მაგრამ ჩვენ კარდინალურად შევცვლით ვითარებას მსოფლიოში.

შემდეგ აქ, ამ კაბინეტში, სადაც ახლა ვსაუბრობთ, მოვიდნენ თავდაცვის მინისტრი **გეიტსი** და სახელმწიფო მდივანი **რაისი.** აი, აქ, ამ მაგიდასთან — თქვენ ხედავთ პირდაპირ ამ მაგიდას — ისინი დასხდნენ ამ მხრიდან, ხოლო მე, საგარეო საქმეთა მინისტრი და რუსეთის თავდაცვის მინისტრი — იმ მხრიდან. მათ მე მითხრეს: დიახ, ვიფიქრეთ და თანახმანი ვართო. მე ვეუბნები: მადლობა ღმერთს, მშვენიერია, მაგრამ „ცალკეული გამონაკლისებით“.

**კარლსონი: — ანუ თქვენ უკვე მეორეჯერ აღწერთ, როგორ იღებდნენ ამერიკელი პრეზიდენტები ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, ხოლო შემდეგ მათი გუნდის წევრები ამ გადაწყვეტილებებს ასამარებდნენ.**

**პუტინი:** — სწორედაც რომ ასეა — საბოლოო ჯამში ჩვენ მოგვისროლეს. მე არ შევუდგები დეტალების მოყოლას, რამდენადაც ეს არაკორექტული იქნება, საუბარი ხომ კონფიდენციალური იყო. მაგრამ ის, რომ ჩვენი წინადადება აცილებულ იქნა, ფაქტია!

აი, სწორედ მაშინ ვთქვი: ჩვენ იძულებულნი ვიქნებით, მივიღოთ საპასუხო ზომები და შევქმნით ისეთ დარტყმით სისტემებს, რომლებიც უპირობოდ დაძლევენ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვით ბარიერებს. პასუხი ასეთი იყო: ჩვენ ამას თქვენ წინააღმდეგ არ ვაკეთებთ, თქვენ კი გააკეთეთ, რაც გსურთ, გამოვდივართ რა იქიდან, რომ ეს არ იქნება ჩვენს წინააღმდეგ, აშშ-ის წინააღმდეგ მიმართული. მე ვეუბნები: კარგით. და ვქმნით და ვავითარებთ — კონტინენტთაშორისი მოქმედების ზებგერით სისტემებს. ჩვენ ამ დარტყმითი ზებგერითი სისტემების შექმნით დღეს უკვე ყველას გავუსწარით — შეერთებულ შტატებსაც და სხვა ქვეყნებსაც. მაგრამ ჩვენ ხომ ვთავაზობდით, სხვა გზით წავსულიყავით, თუმცა, გვერდზე მიგვწიეს.

ახლა რაც შეეხება ნატოს გაფართოებას აღმოსავლეთით. მართალია, დაგვპირდნენ: ნატო აღმოსავლეთით ერთი დიუმითაც არ გადმოიწევსო, მაგრამ სინამდვილეში რა მოხდა? რაკიღა ქაღალდზე არ დაფიქსირებულა, ამიტომაც ვფართოვდებითო.... და აი, საერთო ჯამში 5-ჯერადი გაფართოება, რომელშიც მოხვდა ბალტიისპირეთი, მთელი აღმოსავლეთ ევროპა და ა.შ.

და ახლა გადავდივარ მთავარზე: მივადექით უკრაინას. 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე განაცხადეს, რომ ნატოს კარი ღიაა უკრაინისა და საქართველოსათვის. აქვე ვიტყვი იმის შესახებაც, როგორ იღებენ იქ გადაწყვეტილებებს. გერმანია და საფრანგეთი ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მსგავსად თითქოს წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ, როგორც გაირკვა, პრეზიდენტმა ბუშმა (ის კი ისეთი მაგარი ბიჭი და მაგარი პოლიტიკოსია, როგორც მოგვიანებით მითხრეს) თავისი ზეწოლით იძულებული გაგვხადა, დავთანხმებოდით. პირდაპირ სასაცილოა და მარტივი, როგორც საბავშვო ბაღში... მაგრამ სადაა გარანტიები — ან მართლაც რა საბავშვო ბაღია, ან ვინ არიან ეს ადამიანები? მიაწვნენ და დაიყოლიეს, მერე კი მეუბნებიან: უკრაინა ხომ არ იქნება ნატოში! მე ვეუბნები: არ ვიცი, თუმცა, ჩემთვის ცნობილია, რომ თქვენ შეთანხმდით 2008 წელს, ასე რომ, რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალში აღარ შეთანხმდებით? კარგით, მაშინ, ზეწოლას ვერ გაუძელით, მაგრამ განა ხვალ აღარ იქნება ზეწოლა და თქვენც ძველებურად არ დათანხმდებით? ნუ რაღაც ნონსენსია. ჩვენ მზად ვართ საუბრისათვის, მაგრამ ვისთან? ან სადაა გარანტიები?

გამოდის, დაიწყეს უკრაინის ტერიტორიის ათვისება. მე უკვე მოგითხრეთ, როგორ ვითარდებოდა ეს ტერიტორია, რა ურთიერთობები იყო რუსეთთან. არადა, იქ, ყველა მეორე-მესამე ადამიანს ყოველთვის ჰქონდა გარკვეული კავშირები რუსეთთან. ასევე იყო არჩევნებზე უკვე დამოუკიდებელ, სუვერენულ უკრაინაში. სხვათაშორის, დეკლარაციაში უკრაინის დამოუკიდებლობის შესახებ წერია, რომ უკრაინა ნეიტრალური სახელმწიფოა, თუმცა, 2008

## საზოგადოებამ უნდა იცოდეს! ★

# რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინისა და ამერიკელი ჟურნალისტის ტაკერ კარლსონის საუბარი, რომელმაც მსოფლიოში მილიონობით ადამიანი განაცვიფრა

# ვლადიმერ პუტინი:

# ადრე თუ გვიან ჩვენ მაინც მოვილაპარაკებთ. ხალხთაშორისი ურთიერთობებიც აღდგება. საჭირო იქნება დიდი დრო, მაგრამ აღდგება!



ინტერვიუს პირველი ნაწილი იხილეთ „გენერალისიმუსის“ წინა, მე-9-10 ნომერში

წელს მას უეცრად გაუხსნეს ნატოს კარი თუ ჭიშკარი. აი, საინტერესო კინო! ჩვენ ასე არ მოვლაპარაკებულვართ. ყველა პრეზიდენტი, რომელიც უკრაინის სათავეში მოვიდა, ეყრდნობოდა რუსეთისადმი ასე თუ ისე კარგად განწყობილ ელექტორატს. ესაა უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, უაღრესად დიდი რაოდენობის ხალხი. და ამ ელექტორატის მიტაცება, რომელიც პოზიტიურად უყურებდა რუსეთს, ძალიან ძნელი იყო.

ხელისუფლების სათავეში მოვიდა **ვიქტორ იანუკოვიჩი.** პირველ ჯერზე მან გაიმარჯვა პრეზიდენტ **კუჩმას** შემდეგ, მაგრამ მოეწყო მესამე ტური, რომელიც არ იყო გათვალისწინებული უკრაინის კონსტიტუციით. ეს სახელმწიფო გადატრიალებაა. წარმოიდგინეთ, რომელიმე თქვენგანს არ მოეწონოს აშშ-ში...

**კარლსონი: — 2014 წელს...**

**პუტინი:** — არა, არა, ეს უფრო ადრე იყო. პრეზიდენტ **კუჩმას** შემდეგ არჩევნებში **ვიქტორ იანუკოვიჩმა** გაიმარჯვა, მაგრამ ოპონენტებმა არ ცნეს ეს გამარჯვება, ხოლო აშშ-მა ოპოზიციას დაუჭირა მხარი და დაინიშნა მესამე ტური... რა არის ეს? ეს არის სახელმწიფო გადატრიალება. წარმოიდგინეთ, რომ აშშ-ში ვიღაცას რაღაცა არ მოეწონოს და დანიშნოს ამერიკის კონსტიტუციით გაუთვალისწინებელი მესამე ტური. არადა, უკრაინაში ასეთი რამ მოხდა.

კარგით, მოვიდა ხელისუფლების სათავეში **ვიქტორ იუშჩენკო,** რომელიც დასავლეთმიდრეკილ პოლიტიკოსად ითვლება... მაგრამ ჩვენ მასთანაც კი დავალაგეთ ურთიერთობები — ის ჩამოდიოდა მოსკოვში, ჩვენ მივემგზავრებოდით კიევში. მეც ჩავსულვარ. ვხვდებოდით არაფორმალურ გარემოში. მედასავლეთეა და იყოს მედასავლეთე, მთავარია, დამოუკიდებელ უკრაინაში სიტუაცია გაუმჯობესდეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც მან ქვეყანას მოუხელმძღვანელა, სიტუაცია გაუარესდა და სათავეში მაინც **ვიქტორ იანუკოვიჩი** მოვიდა.

შესაძლოა, ის არ იყო ყველაზე კარგი პრეზიდენტი და პოლიტიკოსი, — მე არ მინდა, შეფასებები ვაკეთო, — მაგრამ დადგა ევროკავშირთან ასოცირების საკითხი, რასაც ჩვენ ყოველთვის ლოიალურად ვუდგებოდით. როგორც კი გავეცანით ასოცირების ხელშეკრულებას, აღმოჩნდა, რომ ჩვენთვის ის პრობლემურია, რადგან უკრაინასთან გვაქვს თავისუფალი ვაჭრობის ზონა, ღიაა საბაჟო საზღვრებიც, არადა, ახლა, ამ ასოცირების საფუძველზე, თავად უკრაინამ უნდა გახსნას საზღვრები ევროპასთან, საიდანაც ყველაფერი უკვე ჩვენს ბაზარს მოაწყდება ნიაღვარივით.

და ჩვენ ვთქვით: არა, ასე არ გამოვა, ამ შემთხვევაში ჩვენ დავკეტავთ საზღვრებს უკრაინასთან. **იანუკოვიჩმა** დაიწყო ანგარიში — რას მოიგებს და რას დაკარგავს უკრაინა, რის შესახებაც აცნობა ევროპელ კონტრაგენტებს — ჯერ უნდა დავფიქრდე, ვიდრე ასოცირების დოკუმენტს ხელს მოვაწერო. ამის თქმა იყო და დაიწყო ოპოზიციის დესტრუქციული ქმედებანი მხარდაჭერილი დასავლეთის მიერ, რის შედეგადაც ყველაფერი მივიდა მაიდნამდე და სახელმწიფო გადატრიალებამდე უკრაინაში.

**კარლსონი: — გამოდის, უკრაინა უფრო მეტად რუსეთთან ვაჭრობდა, ვიდრე ევროკავშირთან?**

**პუტინი:** — რასაკვირველია. და აქ საქმე მარტო ვაჭრობის მოცულობაში როდია. იგულისხმება კოოპერაციული კავშირები, რაზედაც იდგა უკრაინის მთელი ეკონომიკა. დიახ, კოოპერაციული კავშირები საწარმო-დაწესებულებათა შორის იყო უაღრესად მჭიდრო ჯერ კიდევ საბჭოთა დროიდან. იქ ერთი დაწესებულება უშვებდა ამა თუ იმ კომპონენტს საწარმოო ციკლის დასასრულებლად, აქ — მეორე...

მოაწყვეს სახელმწიფო გადატრიალება, თუმცა, შეერთებული შტატებიდან გვითხრეს: თქვენ მანდ **იანუკოვიჩი** დააწყნარეთ, ჩვენ კი თქვენს ოპოზიციას დავამშვიდებთო. ჩვენ დავთანხმდით. **იანუკოვიჩს,** როგორც ამერიკელებმა გვთხოვეს, არ გამოუყენებია არც შეიარაღებული ძალები, არც პოლიცია, მაგრამ შეიარაღებულმა ოპოზიციამ კიევში მაინც მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება. როგორ გავიგოთ ეს ყველაფერი ან ვინ ხართ თქვენ, საერთოდ? — მინდოდა, მეკითხა შეერთებული შტატების იმჟამინდელი ხელმძღვანელებისათვის.

**კარლსონი: — და ვისი მხარდაჭერით?**

**პუტინი:** — ცხადია, დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს მხარდაჭერით. ლაპარაკია ორგანიზაციაზე, სადაც, რამდენადაც ვიცით, ოდესღაც თქვენც გსურდათ, გემუშავათ. იქნებ მართლაც ღმერთს უნდა ვუთხრათ მადლობა, რომ არ მიგიღეს, თუმცა, ეს სერიოზული ორგანიზაციაა, სადაც საქმიანობენ ჩემი ყოფილი კოლეგები იმ თვალსაზრისით, რომ თავის დროზე ვმუშაობდი საბჭოთა კავშირის დაზვერვაში, პირველ მთავარ სამმართველოში. ისინი ყოველთვის ჩვენი ოპონენტები იყვნენ, მაგრამ ტექნიკურად ყველაფერი ზუსტად შეასრულეს და მიზანსაც მიაღწიეს — ხელისუფლება შეცვალეს. მაგრამ პოლიტიკური თვალთახედვით, ეს კოლოსალური შეცდომაა და ამ კუთხით პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ მოიკოჭლა, რადგან უნდა დაენახა, სადამდე მიგვიყვანდა ასეთი ქმედება.

მაშ ასე, 2008 წელს უკრაინისათვის ნატოს კარი გაიხსნა. 2014 წელს მოხდა სახელმწიფო გადატრიალება და ვინც ეს სახელმწიფო გადატრიალება არ ცნო, იქცა დევნის ობიექტად. ამასთან შეიქმნა საფრთხე ყირიმისათვის და ჩვენ იძულებულნი გავხდით, აგვეყვანა იგი დაცვაზე. 2014 წელს ავიაციისა და არტილერიის გამოყენებით დაიწყეს ომი დონბასის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. არსებობს კიდევაც ვიდეოჩანაწერი, როგორ იბომბება დონეცკი. ჩატარდა ერთი მსხვილმასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია, შემდეგ კიდევ ერთი და ისიც წარუმატებელი. არადა, მაინც — კიდევ და კიდევო...

და როგორ შეგვეძლო, არ გამოგვეხატა შეშფოთება მომხდარით? ჩვენი მხრიდან ეს იქნებოდა დანაშაულებრივი გულგრილობა. ამდენად, შტატების პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ მიგვამწყვდია იმ ზღუდესთან, რომლის გადაულახაობაც დაანგრევდა თავად რუსეთს, ჩვენ კი არ შეგვეძლო, მიგვეტოვებინა ერთმორწმუნენი და არსობრივად რუსი ერის ნაწილი სამხედრო მანქანის პირისპირ!

**კარლსონი: — ანუ ეს იყო კონფლიქტის დაწყებამდე 8 წლით ადრე, მაგრამ რამ მოახდინა თავად კონფლიქტის პროვოცირება, რის შემდეგაც თქვენ გადაწყვიტეთ კონკრეტული ნაბიჯის გადადგმა?**

**პუტინი:** — თავდაპირველად კონფლიქტს სათავე დაუდო სახელმწიფო გადატრიალებამ უკრაინაში. უნდა ითქვას, რომ ჩამოვიდნენ სამი ევროპული ქვეყნის — გერმანიის, პოლონეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლები, რომლებმაც იკისრეს **იანუკოვიჩის მთავრობასა** და ოპოზიციას შორის ხელმოწერილი დოკუმენტის გარანტიორის როლი. არ ვიცი, იციან თუ არა ამ ხელშეკრულებისა და მისი გარანტიორების შესახებ აშშ-ში. და რომ ამ სამმა ქვეყანამ, ნაცვლად იმისა, რომ ყველა ეს პროცესი პოლიტიკური ბრძოლის ველზე დაებრუნებინა, სახელმწიფო გადატრიალებას დაუჭირა მხარი? რა საჭირო იყო მუქარა ყირიმის მისამართით? რატომ დაიწყეს შემდგომ ოპერაციები დონბასში? თქვა კიდევაც სახელმწიფო მდივნის ერთ-ერთმა მოადგილემ, რომ დაიხარჯა ლამის 5 მილიარდი დოლარი, მაგრამ პოლიტიკური შეცდომა გაცილებით სერიოზული აღმოჩნდა.

არადა, ყველაფრის გაკეთება მართლაც შეიძლებოდა ლეგალური გზით, მსხვერპლის გარეშე, სამხედრო ოპერაციის დაუწყებლად და ყირიმის დაუკარგავად. ჩვენ თითსაც კი არ გავანძრევდით, რომ არ ყოფილიყო მაიდნის სისხლიანი მოვლენები, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შევთანხმდით, რომ მოკავშირე რესპუბლიკათა საზღვრები ხელშეუხებელი რჩებოდა. მაგრამ ჩვენ არასოდეს შევთანხმებულვართ ნატოს გაფართოებაზე, მითუმეტეს, იმაზე, რომ უკრაინა ნატოს წევრი გახდებოდა და იქ მოეწყობოდა ნატოს ბაზები ჩვენთან შეუთანხმებლად. ჩვენ ათწლეულების მანძილზე ვითხოვდით: ნუ იზამთ იმას, ნუ იზამთ ამას!

და რა გახდა ბოლოდროინდელ მოვლენათა აღმძრავი? უპირველეს ყოვლისა, უკრაინის ამჟამინდელ ხელისუფალთა განცხადება, რომ არ შეასრულებენ მინსკის შეთანხმებას დონბასში ვითარების მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ, ხოლო გერმანიისა და საფრანგეთის ყოფილი ხელმძღვანელები უკვე ჩვენს დღეებში მთელი მსოფლიოს გასაგონად აღნიშნავენ, რომ მართალია, ხელი მოაწერეს მინსკის შეთანხმებებს, მაგრამ არასოდეს აპირებდნენ მათ შესრულებას.

..............................................

მე მაინც გულწრფელად ვთვლიდი, თუ შესაძლებელი იქნებოდა დონბასში მცხოვრებლებთან მოლაპარაკება, დაბრუნებულიყვნენ უკრაინის სახელმწიფოებრიობის ჩარჩოებში, მაშინ თანდათანობით, **თანდათანობით** იარებიც მოშუშდებოდა. დიახ, **თანდათანობით,** როდესაც ტერიტორიის ეს ნაწილი დაუბრუნდება სამეურნეო ცხოვრებას და საერთო სოციალურ გარემოს, როცა პენსიები და სოციალური დახმარება გაიცემა, ყველაფერი **თანდათანობით,** ისევ და ისევ **თანდათანობით** განმრთელდება! მაგრამ ეს არავის სურდა, ყველას უნდოდა, მხოლოდ სამხედრო ძალით გადაჭრილიყო საკითხი და მივედით იმ მდგომარეობამდე, როცა უკრაინაში გამოაცხადეს — აღარაფერს შევასრულებთ და დაიწყეს მზადება სამხედრო მოქმედებებისათვის. ომი მათ 2014 წელს დაიწყეს და ჩვენი მიზანია, შეწყდეს ეს ომი, რომელიც არ დაგვიწყია 2022-ში. ეს არის მხოლოდ მისი შეწყვეტის მცდელობა.

**კარლსონი: — და შეძელით კი ომის შეწყვეტა? მიაღწიეთ საკუთარ მიზანს?**

**პუტინი:** — არა, საკუთარი მიზნებისათვის ჯერ არ მიგვიღწევია, რადგან ერთ-ერთი მიზანთაგანი გახლდათ **დენაციფიკაცია.** მხედველობაში გვაქვს ყოველგვარი ნეონაცისტური მოძრაობის აკრძალვა. ეს ერთ-ერთი იმ პრობლემათაგანია, რომლებსაც განვიხილავდით სტამბოლში გასული წლის დასაწყისში დასრულებულ მოლაპარაკებათა პროცესზე. სხვათაშორის, მისი დასრულება არ ყოფილა ჩვენი ინიციატივა, რადგან ევროპელები გვეუბნებოდნენ — აუცილებლად უნდა შეიქმნას პირობები დოკუმენტებზე ხელის მოსაწერად. ჩემი კოლეგები საფრანგეთსა და გერმანიაში აღნიშნავდნენ — როგორ წარმოგიდგენია მათი მხრიდან შეთანხმებაზე ხელის მოწერა — საფეთქელზე მიბჯენილი პისტო-

> **„ჩვენ თითსაც კი არ გავანძრევდით, რომ არ ყოფილიყო მაიდნის სისხლიანი მოვლენები, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შევთანხმდით, რომ მოკავშირე რესპუბლიკათა საზღვრები ხელშეუხებელი რჩებოდა. მაგრამ ჩვენ არასოდეს შევთანხმებულვართ ნატოს გაფართოებაზე!“**

*გაგრძელება „გენერალისიმუსის“ მე-4 გვერდზე*



# ვლადიმერ პუტინი:

## აღარც კი მახსოვს, როდის ვესაუბრე ჯო ბაიდენს. განა ყველაფერი უნდა მახსოვდეს?

# ტაკერ კარლსონი:

## როგორღა შეძლებთ, ამოძირკვოთ ისტორია, იდეოლოგია, კულტურა და ესა თუ ის გრძნობები ქვეყანაში, რომელსაც ვერ აკონტროლებთ?

ინტერვიუს პირველი ნაწილი იხილეთ „გენერალისიმუსის“ წინა, მე-9-10 ნომერში

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ მე-2 გვერდზე*

ლეტით? საჭიროა კიევიდან ჯარების გაყვანა, როგორც კი კიევს ჯარები დავაშორეთ, ჩვენმა უკრაინელმა მომლაპარაკებლებმა სანეხვეზე მოისროლეს სტამბოლში მიღწეული ყველა შეთანხმება და დაიწყეს მზადება ხანგრძლივი შეიარაღებული წინააღმდეგობისათვის შეერთებული შტატებისა და მისი ევროპელი სატელიტების დახმარებით.

**კარლსონი: — რა არის დენაციფიკაცია? რას ნიშნავს იგი?**

**პუტინი:** — ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. დენაციფიკაცია... დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როგორც თვლიან ცალკეული ანალიტიკოსები ევროპაში, უკრაინამ დაიწყო თავისი იდენტობის ძიება და უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, გარდა იმისა, რომ ამ იდენტურობის თავი და თავი ის ცრუ გმირები გამხდარიყვნენ, ვინც ჰიტლერთან თანამშრომლობდა.

მე უკვე ვთქვი, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში, როდესაც გამოჩნდნენ უკრაინის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის თეორეტიკოსები, ისინი გამოდიოდნენ იქიდან, რომ დამოუკიდებელ უკრაინას უნდა ჰქონოდა ძალიან თბილი და კარგი ურთიერთობა რუსეთთან. მაგრამ რამდენადაც აღნიშნული ტერიტორია შედიოდა რეჩპოსპოლიტას, პოლონეთის შემადგენლობაში, უკრაინელებს მკაცრად სდევნიდნენ, ცდილობდნენ, მოესპოთ მათი იდენტობა, რაც აღიბეჭდა ერის ისტორიულ მეხსიერებაში. როდესაც მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, ამ უკიდურესად ნაციონალისტურად განწყობილი ელიტის ნაწილმა დაიწყო ჰიტლერთან თანამშრომლობა იმ იმედით, რომ ჰიტლერი მათ თავისუფლებას მოუტანდა. გერმანული ჯარები პოლონელი და ებრაელი მოსახლეობის მოსპობის ყველაზე ბინძურ დავალებას სწორედ ჰიტლერთან მოთანამშრომლე კოლაბორაციონისტებს აძლევდნენ. საიდან მოდის პოლონელი, ებრაელი და აგრეთვე რუსი მოსახლეობის ეს დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტა? ამის სათავეში იდგნენ ყველასათვის კარგად ცნობილი პირები: **ბანდერა, შუხევიჩი.** სწორედ ეს ადამიანები აქციეს ეროვნულ გმირებად. აი, რაშია პრობლემა და ჩვენ გამუდმებით გვეუბნებიან: ნაციონალიზმი და ნეონაციზმი სხვა ქვეყნებიც არისო. ცხადია, მართლაც არის ყლორტები, რომლებსაც ჩვენ ვსპობთ ყველგან, გარდა უკრაინისა, სადაც მათგან ნაციონალური გმირები შვეს, ძეგლები დაუდგეს, დროშებზე გამოსახეს... მათ სახელებს გაჰყვირის ბრბო, რომელიც, ნაცისტური გერმანიის მსგავსად, ჩირაღდნებით დაიარება. ეს ის ხალხია, რომელიც სპობდა პოლონელებს, ებრაელებსა და რუსებს. საჭიროა, დასრულდეს ეს პრაქტიკა და ეს თეორია.

მე ვამბობ, რომ ეს არის ერთიანი რუსი ხალხის ნაწილი!. ისინი ამბობენ — ჩვენ ვართ განცალკევებული ხალხი! კარგით, თუკი ვინმე თვლის, რომ განკერძოებული ერია, აქვს ამის უფლება, მაგრამ არა ნაციზმის ან ნაცისტური იდეოლოგიის საფუძველზე.

**კარლსონი: — თქვენ დაკმაყოფილდებით იმ ტერიტორიით, რომელსაც ამჟამად ფლობთ?**

**პუტინი:** — ახლავე დავასრულებ — თქვენ მკითხეთ ნეონაციზმისა და დენაციფიკაციის შესახებ — აი, ჩავიდა უკრაინის პრეზიდენტი კანადაში და წარუდგინეს იქაურ პარლამენტში ადამიანი, რომელიც, პარლამენტის სპიკერის განცხადებით, მეორე მსოფლიო ომში რუსების წინააღმდეგ იბრძოდა. არადა, ვინ იბრძოდა მეორე მსოფლიო ომში რუსების წინააღმდეგ? ჰიტლერი და მისი ხროვა. აღმოჩნდა, რომ ეს ადამიანი მსახურობდა „სს“-ის შეიარაღებულ ძალებში, პირადად ხოცავდა რუსებს, პოლონელებსა და ებრაელებს. „სს“-ის შეიარაღებული ძალები, რომლებიც ფორმირებული იყო უკრაინელი ნაციონალისტებისაგან, დაკავებული გახლდათ ამ ბინძური საქმით. უკრაინის პრეზიდენტი დადგა კანადის მთელ პარლამენტთან ერთად და ტაშს უკრავდა ამ ადამიანს. როგორ გავიგოთ ეს? აქვე ვიტყვი, რომ თავად უკრაინის პრეზიდენტი ეროვნებით ებრაელია.

**კარლსონი: — ჰიტლერი 80 წელია, ცოცხალი აღარ არის, არც ნაცისტური გერმანია არსებობს. თქვენ ამბობთ, რომ გსურთ, ჩააქროთ უკრაინული ნაციონალიზმის ხანძარი. როგორ?**

**პუტინი:** — მომისმინეთ. თქვენი შეკითხვა ძალიან მახვილია და გინდათ, გითხრათ, რასაც ვფიქრობ? არ გეწყინებათ?

**კარლსონი: — ცხადია, არა.**

**პუტინი:** — არადა, თითქოს მახვილი შეკითხვაა, მაგრამ ძალიან საზიზღარიც. თქვენ ამბობთ, რომ ჰიტლერი 80 წელია, აღარ არის, მაგრამ მისი საქმე ცოცხლობს. ადამიანები, რომლებიც ებრაელებს, რუსებსა და პოლონელებს სპობდნენ, ცოცხლები არიან. დღევანდელი უკრაინის მოქმედი პრეზიდენტი მათ ტაშს უკრავს კანადის პარლამენტში, ტაშს უკრავს ფეხზე დამდგარი. განა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოლომდე ამოვძირკვეთ ეს იდეოლოგია, თუკი ვხედავთ, რა ხდება დღეს? აი, რა არის დენაციფიკაცია ჩვენი გაგებით. საჭიროა, მოვიშოროთ ის ხალხი, ვინც ამ თეორიასა და პრაქტიკას ინარჩუნებს.

**კარლსონი: — მე, ცხადია, არ ვიცავ ნაციზმსა თუ ნეონაციზმს. მაგრამ ჩემი შეკითხვა, პრაქტიკულად, იმას გულისხმობს, რომ თქვენ ვერ აკონტროლებთ მთელ ქვეყანას, თუმცაღა გსურთ, სრულად აკონტროლოთ. მაშინ როგორღა შეძლებთ, ამოძირკვოთ ისტორია, იდეოლოგია, კულტურა და ესა თუ ის გრძნობები ქვეყანაში, რომელსაც ვერ აკონტროლებთ?**

**პუტინი:** — და იცით თუ არა თქვენ, რომ სტამბოლის მოლაპარაკებების დროს ჩვენ მაინც მივაღწიეთ წერილობით შეთანხმებას, რომ უკრაინაში აღარ მოხდება ნეონაციზმის კულტივაცია და იგი საკანონმდებლო დონეზე აიკრძალება. ბატონო კარლსონ, ჩვენ ამის შესახებ მოვილაპარაკეთ და არ არის ამაში რაიმე დამამცირებელი უკრაინისათვის, როგორც თანამედროვე ცივილიზებული სახელმწიფოსათვის.

**კარლსონი: — იქნება კი მოლაპარაკებები? და რატომ არ არის დღემდე ეს მშვიდობიანი მოლაპარაკებები უკრაინაში კონფლიქტის მოგვარების თაობაზე?**

**პუტინი:** — მოლაპარაკებები იყო და მათ შეთანხმების ძალიან მაღალ საფეხურსაც მიაღწიეს, მაგრამ როგორც კი ჩვენ გავარიდეთ ჯარები კიევს, უკრაინის მხარემ მოისროლა ყველა ეს შეთანხმება და მიჰყვა დასავლეთის ქვეყნებისა და შეერთებული შტატების მითითებებს — საბოლოო გამარჯვებამდე იბრძოლონ რუსეთთან. უფრო მეტიც, უკრაინის პრეზიდენტმა საკანონმდებლო დონეზე აკრძალა რუსეთთან მოლაპარაკებები და ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლის ძალითაც ყველას აეკრძალა, აწარმოოს მოლაპარაკებები რუსეთთან. მაშ, როგორ მოვახერხოთ მოლაპარაკება, თუკი მან საკუთარ თავსაც აუკრძალა და სხვებსაც?

**კარლსონი: — მაგრამ თქვენ ისაუბრებთ არა უკრაინის პრეზიდენტთან, არამედ ამერიკის პრეზიდენტთან. ისე, ბოლოს როდის ესაუბრეთ ჯო ბაიდენს?**

**პუტინი:** — აღარც კი მახსოვს, როდის ვესაუბრე. არ მახსოვს, უნდა ვნახო.

**კარლსონი: — თქვენ არ გახსოვთ?**

**პუტინი:** — არა. განა ყველაფერი უნდა მახსოვდეს? მე ჩემი საქმეებიც მეყოფა. ჩვენ გვაქვს შიდაპოლიტიკური საქმეები.

**კარლსონი: — მაგრამ ის აფინანსებს ომს, რომელსაც თქვენ აწარმოებთ.**

**პუტინი:** — დიახ, ის აფინანსებს, მაგრამ, როდესაც ვესაუბრე და ეს იყო სპეციალური სამხედრო ოპერაციის დაწყებამდე, პირდაპირ ვუთხარი: მე ვთვლი, რომ თქვენ უშვებთ ისტორიული მნიშვნელობის უზარმაზარ შეცდომას, როდესაც ხელს კრავთ რუსეთს და მხარს უჭერთ ყოველივე იმას, რაც უკრაინაში ხდება. მე ეს მას არაერთხელ ვუთხარი. ვფიქრობ, კორექტული იქნება, თუ მე ამით შემოვიფარგლები.

**კარლსონი: — და რა გითხრათ მან?**

**პუტინი:** — თქვენ თავად ჰკითხეთ მას ამის შესახებ — თქვენთვის ეს იოლია: ხართ შეერთებული შტატების მოქალაქე, ჩაბრძანდით და ჰკითხეთ. ჩემთვის არაკორექტულია ჩვენი საუბრის კომენტირება.

**კარლსონი: — და 2022 წლის თებერვლის შემდეგ თქვენ მასთან აღარ გისაუბრიათ?**

**პუტინი:** — არა, არ გვისაუბრია, მაგრამ ჩვენ გვაქვს გარკვეული კონტაქტები.

.............................................

**კარლსონი: — გარეშე თვალისათვის შეიძლება ისე ჩანდეს, რომ ადრე თუ გვიან შეიძლება შეიქმნას ისეთი სიტუაცია, როდესაც მთელი მსოფლიო ომის ზღურბლზე დადგება, შესაძლოა, ბირთვულ დარტყმებსაც ჰქონდეს ადგილი. რატომ არ ურეკავთ ბაიდენს და არ ეუბნებით: მოდით, როგორღაც გადავჭრათ ეს საკითხი!**

**პუტინი:** — და რა უნდა გადავწყვიტოთ? ყველაფერი ძალიან მარტივია. ამასთან, ვიმეორებ, ჩვენ გვაქვს კონტაქტები სხვადასხვა უწყებების ხაზით. ჩვენ მიგვაქვს ამერიკის ხელმძღვანელთა ყურამდე მკაფიო გზავნილი — თუ თქვენ დანამდვილებით გსურთ, შეწყდეს საომარი მოქმედებები, უნდა შეწყვიტოთ შეიარაღების მიწოდება და ყველაფერი რამდენიმე კვირაში დასრულდება. არის რამე ამაზე ადვილი? ან რისთვის უნდა დავურეკო? რაზე ვესაუბრო ან რა შევეხვეწო? აქაოდა, თქვენ გსურთ, მიაწოდოთ უკრაინას ესა თუ ის იარაღი და ვაი, მეშინია, ნუ იზამთ ამასო?

## საზოგადოებამ უნდა იცოდეს! ★

# რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინისა და ამერიკელი ჟურნალისტის ტაკერ კარლსონის საუბარი, რომელმაც მსოფლიოში მილიონობით ადამიანი განაცვიფრა

# „ყველაზე მეტი დაქირავებული პოლონეთიდანაა, მეორე ადგილზეა აშშ, მესამეზე – დაქირავებული მებრძოლები საქართველოდან!“



ინტერვიუს პირველი ნაწილი იხილეთ „გენერალისიმუსის“ წინა, მე-9-10 ნომერში

**კარლსონი: — როგორ ფიქრობთ, შეშფოთებულია თუ არა ნატო იმით, რომ ყოველივე ეს გლობალურ ომში ან სულაც ბირთვულ კონფლიქტში შეიძლება გადაიზარდოს?**

**პუტინი:** — ყოველ შემთხვევაში, ისინი საუბრობენ ამის შესახებ და ცდილობენ, დააშინონ თავიანთი მოსახლეობა საეჭვო რუსული საფრთხით. ეს აშკარაა. მაგრამ მოაზროვნე ხალხს, არაობივატელებს, არამედ ანალიტიკოსებს, რომლებიც რეალური პოლიტიკით არიან დაკავებული და ასევე ჭკვიან ადამიანებს მშვენივრად ესმით, რომ ეს ყველაფერი ფეიკია — რუსული საფრთხე გაბერილი ცნებაა.

**კარლსონი: — თქვენ მხედველობაში გაქვთ რუსეთის შეჭრის საფრთხე, მაგალითად, პოლონეთში ან ლატვიაში? თქვენ შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ სცენარი, როდესაც ჯარებს პოლონეთის მიმართულებით დაძრავთ?**

**პუტინი:** — მხოლოდ ერთ შემთხვევაში — თუკი პოლონეთის მხრიდან ადგილი ექნება რუსეთზე თავდასხმას. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ არანაირი ინტერესი არ გვაქვს არც პოლონეთში, არც — ლატვიაში და არც — არსად.

**კარლსონი: — არგუმენტი, თქვენ კარგად იცით, მდგომარეობს შემდეგში — აი, რუსეთი შეიჭრა უკრაინაში, რადგან აქვს ტერიტორიებისადმი სწრაფვა მთელ კონტინენტზე. თქვენ არაორაზროვნად აცხადებთ, რომ ასეთი პრეტენზიები არ გაგაჩნიათ?**

**პუტინი:** — ეს აბსოლუტურად გამორიცხულია. არ არის საჭირო არანაირი ანალიტიკოსობა — ეს ეწინააღმდეგება საღ განსჯას — ჩაება რაღაც გლობალურ ომში, რომელიც განადგურების მიჯნაზე დააყენებს მთელ კაცობრიობას. ცხადია, არსებობს შემაკავებელი საშუალებანი. ჩვენით ყოველთვის აშინებდნენ ყველას — ხვალ თუ არა ზეგ რუსეთი ტაქტიკურ ბირთვულ იარაღს მაინც გამოიყენებსო. ეს მხოლოდ დამაშინებელი ინსტრუმენტია ობივატელისთვის, რათა ამერიკისა თუ ევროპის გადასახადის გადამხდელთაგან მოხდეს დამატებითი თანხების გამოძალვა რუსეთთან დასაპირისპირებლად უკრაინის სამხედრო მოქმედებათა თეატრში. მიზანი — რაც შეიძლება მეტად დასუსტდეს რუსეთი.

**კარლსონი: — ერთ-ერთი უფროსი სენატორთაგანი ჩაკ შუმერი ამბობს — ჩვენ უნდა განვაგრძოთ უკრაინის დაფინანსება, ან ბოლოს და ბოლოს ამერიკელ ჯარისკაცებს მოუხდებათ უკრაინაში ბრძოლა. როგორ შეაფასებდით ასეთ განცხადებას?**

**პუტინი:** — ეს არის პროვოკაცია, მითუფრო, იაფფასიანი პროვოკაცია. მე არ მესმის, რატომ უნდა იბრძოლონ ამერიკელმა ჯარისკაცებმა უკრაინაში. იქ არიან დაქირავებული მებრძოლები შეერთებული შტატებიდან. ყველაზე მეტი დაქირავებული პოლონეთიდანაა, მეორე ადგილზეა აშშ, მესამეზე — დაქირავებული მებრძოლები საქართველოდან. თუკი ვინმეს სურს, გაგზავნოს რეგულარული არმია, ეს, ცხადია, კაცობრიობას ძალიან სერიოზული კონფლიქტის ზღურბლზე დააყენებს.

უნდა კი ეს შეერთებულ შტატებს? რისთვის? თანაც თავისი ტერიტორიიდან ათასობით კილომეტრში. მეტი საქმე არა გაქვთ? თავზესაყრელი პრობლემებია თქვენს საზღვრებთან, მიგრაციასთან თუ იმ სახელმწიფო სესხთან დაკავშირებული პრობლემები, რომელიც 33 ტრილიონ დოლარს ასცდა. სხვა აღარაფერი გინდათ, მაინცდამაინც უკრაინაში უნდა იბრძოლოთ? ამას არ ჯობია, მოილაპარაკოთ რუსეთთან, რომელიც ბოლომდე იბრძოლებს თავისი ინტერესებისათვის. დაუბრუნდეთ საღ განსჯას, პატივისცემით მოეპყრათ ჩვენს ქვეყანას, მის ინტერესებს?

**კარლსონი: — ვინ ააფეთქა „ჩრდილოეთის ნაკადი?“**

**პუტინი:** — ცხადია, თქვენ! (სიცილი)

**კარლსონი: — მე იმ დღეს დაკავებული ვიყავი. მე არ ამიფეთქებია „ჩრდილოეთის ნაკადი“.**

**პუტინი:** — შესაძლოა, თქვენ პირადად გაქვთ ალიბი, მაგრამ დაზვერვის ცენტრალურ სამმართველოს ასეთი ალიბი არა აქვს.

**კარლსონი: — თქვენ გაგაჩნიათ მტკიცებულება, რომ ეს ნატომ ან CIA-მ ჩაიდინა?**

**პუტინი:** — არ ჩავუღრმავდები, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ამბობენ — ეძებე ის, ვინც დაინტერესებულია! ამ შემთხვევაში უნდა ვეძებოთ არამხოლოდ დაინტერესებული მხარე, არამედ ისიც, ვისაც ამის გაკეთება ძალუძს, რადგან დაინტერესებულნი შესაძლოა, მრავლად იყვნენ, ხოლო ბალტიის ზღვის ფსკერზე ჩამძრომ-ამფეთქებელი ყველა ვერ იქნება!

**კარლსონი: — მე ბოლომდე არ მესმის. ესაა სამრეწველო ტერორიზმის ყველაზე მსხვილი აქტი მთელი ისტორიის მანძილზე... იმის გათვალისწინებით, რომ თქვენ და თქვენს სპეცსამსახურებს გააჩნიათ მტკიცებულებანი, რატომ არ წარმოაჩენთ მათ, რათა ეს პროპაგანდისტული ომი მოიგოთ?**

**პუტინი:** — პროპაგანდისტულ ომში ამერიკის შეერთებული შტატების დამარცხება ძალიან ძნელია, რადგან იგი აკონტროლებს მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის მთელ საშუალებებს. არადა, მთელი მსოფლიოსათვის ისედაც ნათელია, რაც მოხდა.

.........................................

**კარლსონი: — თქვენ მკაფიოდ განაცხადეთ, რომ ნატოს გაფართოება იყო დაპირებათა იგნორირება და წარმოადგენს საფრთხეს თქვენი ქვეყნისათვის. კი მაგრამ, ვიდრე უკრაინისკენ ჯარებს დაძრავდით, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა უკრაინის პრეზიდენტის სწრაფვას ნატოსკენ. თქვენ თვლით, რომ ამანაც მოახდინა სამხედრო მოქმედებათა პროვოცირება?**

**პუტინი:** — კვლავ გავიმეორებ — ჩვენ არაერთხელ ვითხოვდით უკრაინაში 2014 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ შექმნილი პრობლემების მშვიდობიან გადაწყვეტას, მაგრამ არავინ მოგვისმინა. უფრო მეტიც, უკრაინის ხელისუფლებამ, რომელსაც სრულად აკონტროლებდა აშშ, მოულოდნელად განაცხადა, რომ არ შეასრულებს მინსკის შეთანხმებას და განაგრძო სამხედრო აქტივობა. პარალელურად მიმდინარეობდა ამ ტერიტორიების ათვისება ნატოს სამხედრო სტრუქტურების მიერ, რომლებიც წარმოჩენილი იყვნენ კადრების მომზადება-გადამზადების მრავალრიცხოვან ცენტრებად იქ, ფაქტობრივად, დაიწყეს სამხედრო ბაზების ფორმირება. აი, ყველაფერი!

**კარლსონი: — თქვენ თვლით, რომ ზელენსკის აქვს იმის თავისუფლება, რომ აწარმოოს მოლაპარკებები კონფლიქტის დასარეგულირებლად?**

**პუტინი:** — არ ვიცი. იქ არის მთელი რიგი დეტალები და ძნელია, განსაჯო, მაგრამ ვფიქრობ, რომ აქვს. მამამისი ხომ ფაშისტებთან, ნაცისტებთან იბრძოდა მეორე მსოფლიო ომში... ამის შესახებ მე მისაუბრია მასთან. ვეუბნებოდი — ვოლოდია, რას სჩადი? რატომ უჭერ მხარს ნეონაცისტებს უკრაინაში, როდესაც მამაშენი ფაშიზმს ებრძოდა? არ გეტყვით, რა მიპასუხა. ეს ცალკე თემაა და ვთვლი, რომ არაკორექტული იქნება.

რაც შეეხება არჩევანის თავისუფლებას, რატომაც არა? ის ხომ ხელისუფლების სათავეში მოვიდა უკრაინის მოსახლეობის მოლოდინის ფონზე, რომ ქვეყანას მშვიდობას მოუტანდა? ის ლაპარაკობდა ამის შესახებ, ამის საფუძველზე არჩევნებშიც გაიმარჯვა, მაგრამ როცა ხელისუფლებაში მოვიდა, მიხვდა ორ რამეს: უმჯობესია, არ ეჩხუბოს ნეონაცისტებსა და ნაციონალისტებს, რომლებიც ძალიან აგრესიულები და ყველაფერზე ხელის მომწერები არიან და, მეორეც, დასავლეთი და ამერიკის შეერთებული შტატები ყოველთვის უჭერდა და დაუჭერს მხარს მათ, ვინც რუსეთს ებრძვის. ამიტომაც დაიკავა მან შესაბამისი პოზიცია, ხალხისათვის მიცემული პირობის მიუხედავად, რომ უკრაინაში ომს დაასრულებდა. მან მოატყუა თავისი ამომრჩეველი.

**კარლსონი: — თვლით, რომ ამჟამად, 2024 წლის თებერვალში, მას შესწევს უნარი, დაელაპარაკოს თქვენს მთავრობას, რამენაირად შეძლოს, დაეხმაროს თავის ქვეყანას? საერთოდ, შეუძლია ეს თავად გააკეთოს?**

**პუტინი:** — რატომაც არა? ის ხომ თავს ქვეყნის მეთაურად მიიჩნევს, არჩევნებშიც გაიმარჯვა... თუმცა, ჩვენ რუსეთში ვთვლით — რაც 2014 წლის შემდეგ მოხდა... ძალაუფლების პირველადი წყარო არის სახელმწიფო გადატრიალება და ამ კუთხით დღევანდელი ხელისუფლებაც კი ზიანის მომტანია. მაგრამ რაკიღა თავს პრეზიდენტად თვლის და ამ ხარისხში შეერთებული შტატები, მთელი ევროპა და, პრაქტიკულად, მთელი მსოფლიო ცნობს... ასე რომ, რატომაც არა?

.........................................

**კარლსონი: — ნება მიბოძეთ, კიდევ ერთი შეკითხვა დაგისვათ — შესაძლოა, არ გსურდეთ მასზე პასუხის გაცემა სტრატეგიული მოსაზრებით, მაგრამ გაშფოთებთ თუ არა ის გარემოება, რომ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა შესაძლოა, მიგვიყვანოს გაცილებით საშიშ და მასშტაბურ ნიშნულამდე? რამდენად ხართ მზად იმისათვის, რომ დარეკოთ, მაგალითად, შტატებში და უთხრათ — მოდით, მოვილაპარაკოთ!**

**პუტინი:** — მომისმინეთ, მე უკვე ვთქვი: ჩვენ ხომ არ გვითქვამს უარი მოლაპარაკებებზე? ეს დასავლეთის მხარეა უარზე, უკრაინა კი, ცხადია, შეერთებული შტატების სატელიტია... 72-მილიარდიანი ფინანსური დახმარება მისცეს... მეორე ადგილზეა გერმანია... ათეულ მილიარდობით დოლარი მიდის უკრაინის მიმართულებით... იარაღის დიდძალი ნაკადი მიდის... უთხარით უკრაინის დღევანდელ ხელისუფლებას — დაჯექით მოსალაპარაკებლად, შეცვალეთ თქვენი სულელური ბრძანებაა თუ დეკრეტი...

**კარლსონი: — და რატომ არ გსურთ, რომ ეს საკითხები თქვენ პირდაპირ ბაიდენის ადმინისტრაციასთან გადაჭრათ, რომელიც ზელენსკის ადმინისტრაციას აკონტროლებს?**

**პუტინი:** — თუკი ზელენსკის ადმინისტრაციამ უკრაინაში უარი თქვა მოლაპარაკებებზე, მე გამოვდივარ იქიდან, რომ ეს მოხდა ვაშინგტონის განკარგულებით. დაე, თუ ვაშინგტონში ხედავენ, რომ ეს

*გაგრძელება „გენერალისიმუსის“ მე-6 გვერდზე*

**„საკუთარი მიზნებისათვის ჯერ არ მიგვიღწევია, რადგან ერთ-ერთი მიზანთაგანი გახლდათ დენაციფიკაცია. მხედველობაში გვაქვს ყოველგვარი ნეონაცისტური მოძრაობის აკრძალვა!“**

## საზოგადოებამ უნდა იცოდეს!

# რუსეთის პრეზიდენტ პუტინისა და ამერიკელი ჟურნალისტის ტაკერ კარლსონის საუბარი, რომელმაც მსოფლიოში მილიონობით ადამიანი განაცვიფრა

დასაწყისი „გენერალისიმუსის“ მე–2 გვერდზე

არასწორი გადაწყვეტილებაა, უარი თქვან მასზე, იპოვონ თუნდაც მცირე, არავისთვის საწყენი საბაბი... ეს გადაწყვეტილება ხომ ჩვენ არ მიგვიღია, მათ მიიღეს და თავადვე აიცილონ.

დავუბრუნდეთ თუნდაც 1991 წელს, როცა დაგვპირდნენ, რომ ნატო არ გაფართოვდებოდა... დავუბრუნდეთ 2008 წელს, როდესაც უკრაინას ნატოს კარები გაუხსნეს... დავუბრუნდეთ უკრაინის დამოუკიდებლობის დეკლარაციას, რომლის ძალითაც მან თავი ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოაცხადა... დავუბრუნდეთ იმას, რომ ნატოს, ამერიკისა და ინგლისის ბაზები უკრაინის ტერიტორიაზე აღმოცენდა და ჩვენთვის საფრთხეს წარმოადგენს... დავუბრუნდეთ იმას, რომ სახელმწიფო გადატრიალება უკრაინაში მოაწყვეს 2014 წელს... უაზრობაა ხომ? შესაძლოა, ეს ბურთი უსასრულოდ აგორო წინ და უკან. მაშ, გამოასწორეთ შეცდომები!

**კარლსონი: — არ მიგაჩნიათ, რომ ნატოსათვის ფრიად დამამცირებელი იქნება, ცნოს რუსეთის კონტროლი იმ ტერიტორიებზე, რომლებიც 2 წლის წინათ უკრაინას ეკუთვნოდა?**

**პუტინი:** — მე ხომ გითხარით: დაე, იფიქრონ, როგორ გააკეთონ ეს ღირსეულად. ვარიანტები არსებობს, თუკი სურვილი იქნება! აქამდე ხმაურობდნენ და ყვიროდნენ: უნდა მივაღწიოთ რუსეთის სტრატეგიულ ძლევას, ბრძოლის ველზე მის დამარცხებას. მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, ხდება იმის გააზრება, რომ ასეთი რამ არათუ ადვილი არ არის, არამედ შეუძლებელი გახლავთ და არასოდეს მოხდება. მეჩვენება, რომ ეს გაიაზრეს მათაც კი, ვინც დასავლეთში ხელისუფლებას აკონტროლებს. და თუ საკითხი გააზრებულია, იფიქრეთ, რა უნდა გაკეთდეს შემდგომ. ჩვენ მზად ვართ ამ დიალოგისათვის!

..................................................

ისე კი, ადრე თუ გვიან ჩვენ მაინც მოვილაპარაკებთ. ხალხთაშორისი ურთიერთობებიც აღდგება. საჭირო იქნება დიდი დრო, მაგრამ აღდგება!

მოვიყვან უჩვეულო მაგალითს: უკრაინელი ჯარისკაცების ალყაში მოხვდნენ და ჩვენი ჯარისკაცები მათ უყვირიან: „შანსები აღარაა, დანებდით! გამოდით და ცოცხლები დარჩებით!“ და უცებ საიდანღაც გამართული რუსულით ვიღაც ყვირის: „რუსები არ ნებდებიან!“ და ყველა იღუპება. დიახ, ისინი დღემდე რუსებად შეიგრძნობენ საკუთარ თავს.

ამ კუთხით, ყველაფერი რაც ხდება, სამოქალაქო ომის ელემენტს წარმოადგენს. დასავლეთშიც ყველა ფიქრობს, რომ საბრძოლო მოქმედებებმა სამუდამოდ დააშორიშორა რუსი ხალხის ერთი ნაწილი მეორისაგან. არა და არა! ერთობა აღდგება! ის არსად გამქრალა!

რატომ მიათრ-მოათრევენ რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას? იმიტომ, რომ ის აერთიანებს არა ტერიტორიას, არამედ სულს და არავის ხელეწიფების მისი დანაწევრება!

დავამთავრეთ თუ კიდევ დარჩა რამე?

**კარლსონი: — მე — დიახ... გმადლობთ, ბატონო პრეზიდენტო!**

*დასასრული*



ინტერვიუს პირველი ნაწილი იხილეთ „გენერალისიმუსის“ წინა, მე-9–10 ნომერში

## „თუკი ზელენსკის ადმინისტრაციამ უკრაინაში უარი თქვა მოლაპარაკებებზე, მე გამოვდივარ იქიდან, რომ ეს მოხდა ვაშინგტონის განკარგულებით!“

## ისტორიკოსის თვალით



### სვიმონ მასხარაშვილი:

# ბოლშევიკურ პარტიაში სამი ფრაქცია იყო – რუსული, ქართული და ებრაული!

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი აცხადებს, რომ ქართველმა კომუნისტებმა, რომლებიც კრემლში სერიოზულ გავლენებს ფლობდნენ და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების კონფედერაციაშიც პარადი მიჰყავდათ, კრემლში არათუ სტალინის პოზიციების გასაძლიერებლად, არამედ, პირიქით, მის დასამხობად გაერთიანდნენ:***

— რუსეთის იმპერია ყოველთვის მრავალეთნიკური სახელმწიფო გახლდათ. რუსები არც მალავდნენ და **„გარდასულ წელთა ამბავშიც“** უპრობლემოდ ჩაწერეს ის ფაქტი, რომ 862 წელს ისინი ნოვგოროდიდან სკანდინავიაში ჩავიდნენ და რუსეთის სამართავად ჩრდილოეთ გერმანული ტომები — ნორმანები, ვარიაგები, ანუ იგივე ვიკინგები ჩამოიყვანეს! მე-18 საუკუნეში მიხეილ ლომონოსოვისა და სხვა რუსი მეცნიერების თაოსნობით ძალიან ბევრს ცდილობდნენ ამ თეორიის გაბიაბრუებას, თუმცა, ბოლომდე მაინც ვერ უარყოფდნენ, რომ რუსეთის სახელმწიფოს შექმნაში უცხოელების წილი მნიშვნელოვანი იყო. ეკატერინე მეორის ეპოქაში ასეთი თეორიაც კი იშვა — თმუთარაყანული და გერმანულ-გოთური ნაკადის გარდა, შესაძლოა, რუსეთის სახელმწიფოს შექმნაში მნიშვნელოვანი როლი იბერიულ-ლაზურმა ელემენტმაც კი ითამაშაო! ერთი სიტყვით, რუსეთი არასოდეს მალავდა არც ეკატერინე მეორის გერმანელობას და არც პეტრე პირველის შვილიშვილის — პეტრე მესამის გერმანელობას. 2014 წელს ჩატარებულმა **დნმ**-ის ანალიზმა დაადასტურა **„გარდასულ წელთა ამბავში“** მოთხრობილი ამბის უტყუარობა, რომლის თანახმადაც **რიურიკოვიჩები** იყვნენ ვიკინგები და რუსეთის სახელმწიფო ნამდვილად გერმანელებმა, ანუ ნორმანებმა შეუქმნეს.

**— სხვათაშორის, ეს ფაქტი ვლადიმერ პუტინს არც ტაკერ კარლსონთან გახმაურებული ინტერვიუს დროს დაუმალავს!**

— ძალიანაც რომ მოინდომო, ამას ვერ დამალავ, რადგან სიმართლეა! 1917 წელს, ოქტომბრის გადატრიალების დროს, რუსეთში ყველაზე დიდი პარტია **ესერები** იყვნენ, რომელთა ლიდერებსაც წარმოადგენდნენ **კერენსკი და ჩერნოვი.** ამ დროს ესერთა პარტიაში 1 მილიონი კაცი ირიცხებოდა მაშინ, როცა ბოლშევიკებს, სულ რაღაც, 50 ათასი კაცი თუ ჰყავდათ. 1917 წლის ნოემბერ-დეკემბერში გამართულ რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებში სწორედ **ესერებმა** და მასთან დაახლოებულმა პარტიებმა მოიპოვეს მანდატების ორი მესამედი, რაც ბოლშევიკებისთვის, რომლებიც გადატრიალების გზით უკვე ხელისუფლებაში იყვნენ მოსული, კატასტროფის ტოლფასი იყო. ამიტომაც მოხდა, რომ 1918 წლის 18 იანვარს, როგორც კი დამფუძნებელი კრება გაიხსნა, ჩერნოვი და მისი გუნდი გარეკეს. სწორედ ასე დაიწყო რუსეთში სამოქალაქო ომი. **ესერები** იყვნენ წმინდა რუსული პარტია, რომლის ელიტაშიც ბალტიისპირელი ებრაელებიც ერივნენ, მაგრამ ბოლშევიკების პარტიაში თავიდანვე გამოკვეთილი იყო სამი დაჯგუფება — რუსული, ქართული და ებრაული.

პროფესორმა **რიჩარდ პაიფსმა** დათვალა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის, როგორც ბოლშევიკების, ისე მენშევიკების ელიტის 20 პროცენტი არისტოკრატიას ეკუთვნოდა. იცით, ეს რიცხვი ამერიკელმა მეცნიერმა საიდან გამოიყვანა? ძირითადად სოციალ-დემოკრატთა ხელმძღვანელობის ქართული ჯგუფისგან! **ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი, ფილიპე მახარაძე, დავით ლორთქიფანიძე, სერგო ორჯონიკიძე, შალვა ელიავა, მამია ორახელაშვილი, მამია მიქელაძე, ბუდუ მდივანი, სვანიძეები, ალიოშა ჯაფარიძე** ეკუთვნოდნენ ქართველ თავადაზნაურთა წრეს. **შალვა დადიანიც** კი ბოლშევიკური პარტიის წევრი იყო რევოლუციამდე ათი წლით ადრე, ხოლო **მიხა ცხაკაია, სტურუები, აბელ ენუქიძე, ოკუჯავები** საკმაოდ შეძლებულ ოჯახებს წარმოადგენდნენ.

**ფილიპე მახარაძესა და მიხა ცხაკაიას** ლენინთან პირადი მეგობრობა აკავშირებდათ. ლენინის უახლოეს სამეგობრო წრეს წარმოადგენდა **აბელ ენუქიძე, სერგო ორჯონიკიძე და მალაქია ტოროშელიძე.** აღარაფერს ვამბობთ მამია ორახელაშვილის შესახებ, რომელიც ლენინის, ანუ სახკომ-

## „აღმოვჩნდით კლასიკური ქართული ღალატის წინაშე, რადგან ქართველი კომუნისტები ქართველი სტალინის წინააღმდეგ ებრაელებს – ტროცკისა და ლენინს შეეკრნენ!“

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გახლდათ და კრემლში უდიდესი გავლენით სარგებლობდა. სხვათაშორის, ლენინთან ასევე ძალიან დაახლოებული პირი იყო **ნესტორ ლაკობაც.** აი, ამ დროს **სტალინი,** ფაქტობრივად, არავინ გახლდათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ფაქტს, რომ სტალინი სწორედ **ლენინის** უშუალო ჩარევით შეიყვანეს პოლიტბიუროში და გადასცეს, ფაქტობრივად, არარსებული სამინისტროს, ეროვნებათა საქმის სახალხო კომისრის პორტფელი.

**— მოკლედ, 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შედეგად რუსეთის იმპერიის სათავეში რუსები, ქართველები და ებრაელები მოვიდნენ?**

— დიახ, სწორედ ამ სამ სეგმენტად იყოფოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკური ფრთა. მოგვიანებით ამ სამ სეგმენტს დაემატა მეოთხე — **უკრაინული სეგმენტი,** რომელიც **ლაზარ კაგანოვიჩის** ხელმძღვანელობით სტალინმა გააძლიერა. **ლაზარ კაგანოვიჩი** ებრაული წარმოშობის პირველი უკრაინელი იყო, რომელიც ცეკაში უკრაინულად ლაპარაკობდა. უკრაინული სეგმენტის გაძლიერება სტალინს დასჭირდა იმისთვის, რათა გაენეიტრალებინა ლენინგრადისა და მოსკოვის ბოლშევიკური დაჯგუფებები, რომლებსაც ორი ებრაელი — **გერშელ ზინოვიევი** და **ლევ კამენევი** ხელმძღვანელობდნენ!

**— პოლიტბიუროშიც ეს სამი სეგმენტი იყო გამოკვეთილი?**

— ცხადია... მაგალითად, **ლენინი,** რომელიც დედით ებრაელი იყო, თავს რუსად მიიჩნევდა. **ლევ ტროცკი,** რომელიც უმდიდრესი უკრაინელი მიწათმფლობლის შვილი იყო, ებრაელი გახლდათ. **ლევ კამენევი** თბილისელი ებრაელი იყო — მილიონერების ოჯახიდან, ხოლო **ნიკოლაი კრესტინსკი** — რუსი. პოლიტბიუროში **სტალინი** იყო ერთადერთ ქართველი, ანუ პირველ პოლიტბიუროში, რომელიც 1919 წლის მარტში შეიკრიბა, შედიოდნენ: დედით ებრაელი **ლენინი,** ებრაელი **ტროცკი,** თბილისელი ებრაელი **კამენევი,** რუსი **კრესტინსკი** და ქართველი **სტალინი!** მოგვიანებით **ლავრენტი ბერია** დაწერს ასეთ წიგნს — **„სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ისტორია კავკასიაში“.** წიგნი, რა თქმა უნდა, დაიწერა სტალინის მითითებით. მისი დედაარსი იყო ის, რომ გარდა რუსული სოციალ-დემოკრატიული ბოლშევიკების პარტიისა პარალელურად ყოველთვის არსებობდა ქართული სოციალ-დემოკრატიული ბოლშევიკების პარტიაც, რომელიც რუსული პარტიის ნაწილი კი არა, დამოუკიდებელი ორგანიზაცია იყო. **ბერია** გარკვევით წერდა, რომ **გიორგი პლეხანოვის** გამოჩენამდე გაცილებით ადრე არსებობდა „მესამე დასი“, რომლის სათავეებთანაც **ეგნატე ნინოშვილი** იდგა; რომ კავკასიასა და საქართველოში ფუნქციონირებდა არალეგალური სტამბა **„ნინა“,** გამოდიოდა გაზეთი **„ბრძოლა“** და ა.შ. ანუ, სტალინის ინიციატივითა და მითითებით, **ბერია** წერდა, რომ გაზეთი **„ისკრა“** ქართველი სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკების ორგანო არ ყოფილა, ქართველ ბოლშევიკებს თავისი გაზეთები ჰქონდათ. ეს წიგნი გამოვიდა ძალიან დიდი ტირაჟით, რომელსაც გაეცნო ემიგრაციაც. ამ ყველაფერს რეალური საფუძველი რომ არ ჰქონოდა, მსგავსი წიგნი არ დაიბეჭდებოდა, რადგან სტალინი თავს მასხრად არ აიგდებდა. ეს წიგნი არის იმის სუპერმტკიცებულება, რომ 1919 წლის გაზაფხულზე ბოლშევიკურ პარტიაში ნამდვილად სამი ფრაქცია იყო — რუსული, ქართული და ებრაული. საერთოდ, **სტალინი** შემთხვევით არავის არაფერს აკეთებინებდა.



ლენინი



ტროცკი



კამენევი



კრესტინსკი

# „პირველ პოლიტბიუროში, რომელიც 1919 წლის მარტში შეიკრიბა, შედიოდნენ:

## დედით ებრაელი ლენინი, ებრაელი ტროცკი, თბილისელი ებრაელი კამენევი, რუსი კრესტინსკი და ქართველი სტალინი!“

ამის სადემონსტრაციოდ თუნდაც ის ფაქტიც კმარა, რომ 1936-1937 წლებში სწორედ სტალინმა ჩაატარა სუპერაქცია — მსოფლიოს მასშტაბით აღნიშნა რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის იუბილე! მთელმა მსოფლიომ, ევროპულმა პრესამ გააშუქა ეს მოვლენები. ამით **სტალინმა** ყველას დაუფიქსირა, რომ უდიდესი ერის შვილი იყო. სწორედ ამავე პერიოდში მოხდა **ვაჟა-ფშაველას,** როგორც დიდი მოაზროვნისა და მგოსნის პოპულარიზაცია, მისი ნაწარმოებების გამოცემა და ვაჟას ცხედრის მთაწმინდაზე აბრძანება.

**— იმ სამ ფრაქციას შორის, რომელიც ბოლშევიკურ პარტიაში გამოიკვეთა, რომელი იყო ყველაზე ძლიერი?**

— ლენინის სიკვდილის წინ ამ სამი ფრაქციიდან ყველაზე ძლიერი იყო ორი — ქართული და ებრაული. ბოლშევიკური პარტიის ძირითადი მხარდამჭერები მოსკოვში, ლენინგრადსა და უკრაინაში იყვნენ. ამ სამი ცენტრიდან ორს ებრაელები აკონტროლებდნენ. კერძოდ, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე იყო თბილისელი ებრაელი **ლევ კამენევი,** ხოლო ლენინგრადს ხელმძღვანელობდა **გერშელ ზინოვიევი.** პარალელურად „წითელი არმიის“ სათავეში იდგა ამ არმიის შემქმნელი, უმდიდრესი უკრაინელი მიწათმფლობლის შვილი, ეროვნებით ებრაელი **ლეიბა ბრონშტეინი,** ანუ იგივე **ლევ ტროცკი.** 1921 წელს გერშელ ზინოვიევი პოლიტბიუროს წევრი გახდა, სამაგიეროდ, ადგილი დაკარგა რუსმა **ნიკოლაი კრესტინსკიმ.** ამავე პერიოდში პოლიტბიუროში შევიდნენ: **ტომსკი, რიკოვი და ბუხარინი,** რომლებიც სტალინის კადრები იყვნენ, ანუ 1921 წლის მდგომარეობით, ბოლშევიკური პარტიის პოლიტბიუროში იყვნენ: ებრაელები, სამი რუსი და ერთადერთი ქართველი — **სტალინი.**

როგორც კი ლენინს 1922 წლის გაზაფხულზე ინსულტი მოუვიდა, პოლიტბიუროში **სტალინსა** და ებრაელებს შორის ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად დაუნდობელი ბრძოლა დაიწყო. რუსები ამ ბრძოლაში ქართველი სტალინის გვერდით დადგნენ. მის გვერდით დადგა უკრაინელი ბოლშევიკების ლიდერი **ლაზარ კაგანოვიჩიც,** რომელიც ამბობდა — **„ჩემი რელიგია არის სტალინი!“** მოგეხსენებათ, ვის გვარშიც **„კაგან“** ურევია, ეთნიკურად ყველა ებრაელია. გამონაკლისი ამ მხრივ არც **კაგანოვიჩი** ყოფილა, ანუ იმ ვაიქართველებისგან განსხვავებით, რომლებიც სტალინის წინააღმდეგ **ტროცკისა და ლენინს** შეეკრნენ, **ლაზარ კაგანოვიჩი** ბოლშევიკური პარტიის ქართული ფრაქციის წევრი გახლდათ. სტალინის ერთგული იყო **ვიაჩესლავ მოლოტოვი-სკრიაბინიც** — ეთნიკურად რუსი. 1922 წლის გაზაფხულზე, როცა სტალინი პარტიის გენერალური მდივანი გახდა და მთელი პარტიულ-საორგანიზაციო მუშაობა ხელში აიღო, ბრძოლა ძალაუფლებისთვის მთელი ძალით გაჩაღდა. როგორც ვიცით, **ლენინი** ამ დროს გათიშული იყო, რადგან ინსულტი მოუვიდა.

**— ვინ იყო ამ ბრძოლაში სტალინის მთავარი დასაყრდენი და რას აკეთებდნენ საქართველოში მყოფი ქართველი ბოლშევიკები იმისათვის, რათა სტალინს კრემლში გაემარჯვა?**

— სტალინის ძირითადი დასაყრდენი ამ დროს იყო პირველი ცხენოსანი არმია. რაც შეეხებათ ქართველ ბოლშევიკებს, ისინი სტალინს კი არა, ებრაელებს დაუდგნენ გვერდით და **ტროცკისა და ლენინის** მხარე დაიჭირეს! მართლაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, ვის მხარეზე დადგებოდნენ ბოლშევიკური პარტიის ქართული ელიტის წარმომადგენლები, რომლებიც „ერთა ლიგის“ მიერ დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარებულ საქართველოს მართავდნენ. ერთი რამ გვახსოვდეს — საქართველოს გასაბჭოება არც მოსკოვს და არც საერთაშორისო თანამეგობრობას ჩვენი სახელმწიფოებრიობის გაუქმებასთან არ გაუიგივებიათ. „დე იურედ“ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ რჩებოდა და 1925 წლამდე, ფაქტობრივად, არსებობდა საქართველოს წითელდროშოვანი არმიაც, ანუ ქართველი კომუნისტები ორ „ჯოკერს“ ფლობდნენ — კომპარტიის ცენტრალურ ოფისში, მოსკოვში, უდიდესი გავლენით სარგებლობდნენ და მათ ხელში იყო კომუნისტური საქართველოც. გარდა ამისა, ქართველი კომუნისტები, ფაქტობრივად, იყვნენ მთელი ამიერკავკასიის ბატონ-პატრონები, რადგან ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სამხარეო კომიტეტში ყველა საკვანძო თანამდებობა ეკუთვნოდათ ქართველებს, კონფედერაციის დედაქალაქი იყო თბილისი და თავმჯდომარე იყო ქართველი — **სერგო ორჯონიკიძე,** რომელიც თეთრ ცხენზე ამხედრებული შემოუძღვა წითელ არმიას საქართველოში. ეს ყველაფერი ნიშნავდა იმას, რომ სომხური და აზერბაიჯანული სეგმენტი თავიდან ბოლომდე მიბმული იყო საქართველოზე. სხვათაშორის, სტალინი 1921 წლის ოკუპაციის დროს „წითელ არმიას“ არც თეთრ ცხენზე ამხედრებული შემოძღოლია და არც — შავზე.

**— რატომ?**

— **სტალინი** ერთადერთი ქართველი ბოლშევიკია, რომელიც 1921 წლის თებერვალ-მარტში არათუ საქართველოში, არამედ, საერთოდ, კავკასიაშიც კი არ ჩამოსულა, ხოლო 1924 წლის აჯანყების დროს პარტიის გენერალური მდივნის თანამდებობიდან გადადგა და სისხლიანი სადამსჯელო აქციების გამო სერგო ორჯონიკიძეს გადაუარა! ამის შესახებ სტალინის საგანგებო სტატიაც არსებობს. ამ ყველაფრით **სტალინს** ძალიან ჩამოჰგავს ესპანელი დიქტატორი და კაუდილიო, გენერალი ფრანსისკო ფრანკო, რომელმაც თავისი ბიძაშვილის, **ბრაფი ბაამონდეს** სასამართლო პროცესის დროს თანამდებობა დატოვა, რათა მასზე ზეგავლენა არ მოეხდინა და ბიძაშვილის სისხლში ხელი არ გაესვარა. ეს დიდი პოლიტიკოსების ჩვევაა. რაც შეეხება იმ დეპეშას — **„დასტურია, აიღე ქალაქი!“** — რომელიც ვითომდა სტალინმა სერგო ორჯონიკიძეს გაუგზავნა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს ყველაფერი ბოლო პერიოდის მონაჩმახია და ამ დეპეშის არსებობა-არარსებობა ისტორიას არ ცვლის. ისტორია შესაძლოა, შეეცვალა იმას, რომ **ნოე ჟორდანიას** საკუთარი მატარებლისთვის არ გაესწრო და მოგებული ბრძოლების შემდეგ არ გაქცეულიყო. ასეთი ყურით მოთრეული დეპეშებით თბილისი არ დაეცემოდა.

**— ისევ და ისევ მივუბრუნდეთ მთავარ საკითხს — ვის მხარეს დადგნენ ქართველი კომუნისტები კრემლში ძალაუფლებისთვის ატეხილ ომში?**

— მოკლედ, ამიერკავკასიის კონფედერცია, სადაც ქართველებს მიჰყავდათ პარადი, საკავშირო კომპარტიაში ქართველი კომუნისტების გავლენასა და როლს ასამმაგებდა. ყველა შემთხვევაში ეს უზარმაზარი ძალა უნდა დამდგარიყო ქართველი სტალინის გვერდით, მაგრამ როგორც ხშირად მომხდარა ჩვენს ისტორიაში, აღმოვჩნდით კლასიკური ქართული ღალატის წინაშე, რადგან ქართველი კომუნისტები ქართველი სტალინის წინააღმდეგ ებრაელებს — **ტროცკისა და ლენინს** შეეკრნენ!




იოსებ სტალინი და ლაზარ კაგანოვიჩი

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

# გიორგი ბეზირგანის პასუხები მკითხველს ★

## თვითმხილველთა სიტყვებიდან ცნობილია, რომ ერთხელ ჩკალოვმა საკუთარი თავის და თვითმფრინავის საფრთხეში ჩააგდო და მოსკოვ-რეკაზე გადებული ხიდის ქვეშ გაიფრინა. სტალინმა ეს შეიტყო, მფრინავი კრემლში გამოიძახა და მკაცრად უთხრა: „ამხანაგო ჩკალოვ, ბევრი ახალი თვითმფრინავის შექმნას შევძლებთ, შენნაირი მფრინავისას კი – ვერასოდეს“. მართალია თუ არა ეს?



ყველაფერი ისე იყო, როგორც თქვენ წერთ. **ვალერი ჩკალოვი** (1904-1938), თავისი და, ვგონებ, ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მფრინავი, თავზეხელაღებულად მამაცი იყო, უყვარდა მიზეზით თუ უმიზეზოდ რისკის გაწევა, **სტალინმა,** რომელიც ძალიან კარგად ეპყრობოდა, ერთხელ ხუმრობით **„ციური ხულიგანიც“** კი უწოდა. **ჩკალოვს** კიდევ ერთი ნაკლი ჰქონდა, გადაკვრა უყვარდა. **„თქმისაც კი მეშინია,** — იხსენებდა ავიაციის მარშალი **გოლოვანოვი,** — **რამდენჯერ დამთვრალა უგონოდ ჩკალოვი სტალინის თანდასწრებით კრემლში სხვადასხვა მიღებაზე, მაგრამ სტალინი ყველაფერს პატიობდა.“**

**„ხიდის ქვეშ გაფრენის“** ტიპის სასიკვდილო პირუეტები მას არაერთხელ შეუსრულებია. ამ **„შემოქმედებისთვის“ 1925-დან 1933 წლამდე** სამჯერ გააძევეს არმიიდან და მოკლე ვადით ჰაუპტვახტშიც ჩასვეს, მაგრამ სამივეჯერ აღადგინეს.



*1937 წლის 18 ივნისს გ. ბაიდუკოვი, ა. ბელიაკოვი და ვ. ჩკალოვი თვითმფრინავ АНТ-25-ით პირველები გადაფრინდნენ ამერიკაში ჩრდილოეთ პოლუსის გავლით*



თქვენ მიერ ხსენებული საუბარი დაახლოებით **1933 წელს** გაიმართა. **სტალინმა** მართლაც გამოიძახა **ჩკალოვი** და ყველა ასეთი საქციელისთვის მკაცრად დატუქსა. **ჩკალოვმა** საყვედურები თავდახრილმა მოისმინა, მერე კი წარმოთქვა: **„დამნაშავე ვარ, ამხანაგო სტალინ, მართლაც ვრისკავდი, შეიძლებოდა, მანქანა დამეღუპა“.**

**„მანქანას რა უჭირს,** — უპასუხა ამაზე ბელადმა, — **ცუდი ის არის, რომ სულ ადვილად შეგეძლო, კისერი მოგემტვრია და თავი დაგეღუპა. ასეთ და უფრო უკეთეს მანქანებს ათიათასობით შევქმნით. მაგრამ რომელ ქარხანაში ავაწყობთ ახალ ჩკალოვს?“**

ამ ეპიზოდს იხსენებენ თავიანთ მოგონებებში **ჩკალოვის** ეკიპაჟის მეორე პილოტი **ბაიდუკოვი,** ავიაციის მარშალი **გოლოვანოვი, მოლოტოვი** და სხვები. თანაც, მიუხედავად მცირე განსხვავებებისა, სტალინის ფრაზა ყველას დაახლოებით ასე მოჰყავს.

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ **სტალინთან** ამ საუბრის შემდეგ **ჩკალოვმა** ჰაერში **„ხულიგნობა“** შეწყვიტა. მაგრამ გაუფრთხილებლობას ხშირად ავლენდა, რაც მისი დაღუპვის მიზეზი გახდა. მას ერთი სული ჰქონდა, ახალი გამანადგურებელი И-180 გამოეცადა. და მიუხედავად საავიაციო მრეწველობის მთავარი სამმართველოს და თავად თვითმფრინავის კონსტრუქტორის **ნ. პოლიკარპოვის** წინააღმდეგობისა, რომ მანქანაზე მუშაობა ბოლომდე მიყვანილი არ არის, **1938 წლის 15 დეკემბერს** პირადად აფრინდა ამ თვითმფრინავით ცაში. ეს გაფრენა მანქანის და დიდი მფრინავის დაღუპვით დასრულდა.

**სტალინის** მითითებით, გამოჩენილი მფრინავის სახელი ყველანაირად უკვდავყვეს. მისი ნეშტი კრემლის კედელთან არის დაკრძალული, რისი პატივიც ბევრ საბჭოთა პოლიტიკურ მოღვაწეს და მხედართმთავარს არ ღირსებია, მფრინავის მშობლიურ სოფელს ქალაქი **ჩკალოვსკი** ეწოდა. **ქალაქი ორენბურგი ქ. ჩკალოვი** გახდა (ხრუშჩოვის დროს ძველი სახელწოდება დაუბრუნდა). მფრინავის სახელი მიენიჭა აგრეთვე შორეული აღმოსავლეთის ერთ-ერთ კუნძულს წყნარ ოკეანეში. ეკრანებზე გამოვიდა კინორეჟისორ **მიხეილ ჭიაურელის** მხატვრული ფილმი **„ვალერი ჩკალოვი“.** მასობრივი ტირაჟებით გამოიცა დიდი მფრინავისადმი მიძღვნილი წიგნები.

## სტალინის მმართველობის წლებში მინისტრები და ხელმძღვანელები მხოლოდ ახალგაზრდები იყვნენ. მათ ასეც ეძახდნენ – „სტალინის დაწინაურებულებს“. ერთ-ერთი მათგანი იყო ალექსეი კოსიგინი, რომელიც შემდეგ დიდხანს მუშაობდა ხრუშჩოვთან და ბრეჟნევთან, მაგრამ, მათგან განსხვავებით, ხალხის სიმპათიით სარგებლობდა. გთხოვთ, დაწვრილებით გვიამბოთ მასზე.

მართალი ბრძანდებით, ასეთი ტერმინი ნამდვილად არსებობდა. ადამიანი შეიძლებოდა, ჩარხიდანვე დაეწინაურებინათ საამქროს უფროსად, ქარხნის დირექტორად და თუ ამ სარბიელზე თავს გამოიჩენდა, ძალიან მალე შეეძლო, მინისტრიც გამხდარიყო. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. ასეთი იყო ტაქტიკა ბელადისა, რომელიც ყურადღებით აკვირდებოდა კადრებს, მეხსიერებაში ინახავდა სხვადასხვა დონის ხელმძღვანელთა ათიათასობით გვარს და გაბედულად აწინაურებდა მათ მაღალ პოსტებზე. **ალექსეი ნიკოლაის ძე კოსიგინი** (1904-1980) ამისი ერთ-ერთი ყველაზე ნათელი დასტურია. ჯერ კიდევ **1938 წელს** (კოსიგინი 34 წლისაც არ იყო) **სტალინმა** შეამჩნია ლენინგრადის ერთ-ერთი ქარხნის მოკრძალებული ინჟინერი და მოსკოვში გადაიყვანა, პირდაპირ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისრის თანამდებობაზე. ბელადი ამ დაწინაურებაში არ შემცდარა. ერთი წლის შემდეგ **კოსიგინი** უკვე სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა. ის ნაყოფიერად მუშაობს ამ პოსტებზე, ხოლო **1947 წელს** წარმატებით ჩატარებული ფულის რეფორმის შემდეგ სსრკ ფინანსთა მინისტრი ხდება. უნდა ითქვას, რომ ბელადი თავისი მინისტრის მხოლოდ პროფესიონალიზმს კი არ აფასებდა, არამედ ადამიანურადაც ძალიან ენდობოდა. ბევრი გადაუდებელი და ხშირად დელიკატური საკითხის გადაწყვეტას ის **„კოსიგას“** (ასე ეძახდა სიყვარულით მინისტრს) ანდობდა. მაგალითად, ერთხელ პოლიტბიუროზე **სტალინმა** ასეთი რამ განაცხადა: **„სურსათის ბაზებიდან სიები გამომიგზავნეს, საიდანაც ჩანს, რამდენი პროდუქტი იხარჯება ზოგიერთი ჩვენი ხელმძღვანელის ოჯახში, პოლიტბიუროს წევრების ჩათვლით. ეს აღმაშფოთებელია. დავავალოთ ამხანაგ კოსიგინს, გაერკვეს ამაში და მკაცრი ლიმიტის შემოღების წინადადება შემოიტანოს“.**

**კოსიგინმა,** ბუნებრივია, ეს დავალება შეასრულა, ლიმიტი დაწესდა და კოლეგების უკმაყოფილება, რა თქმა უნდა, მას დაატყდა თავს. თავად **კოსიგინის** შემოწმების საჭიროება არ არსებობდა. **სტალინის** დროსაც და შემდეგაც, როდესაც ნომენკლატურული მუშაკები აგარაკებით, ავტომობილებით, ძვირფასეულობით იხუნძლებოდნენ, ის და მისი ოჯახი მოკრძალებულად ცხოვრობდნენ და მცირედით კმაყოფილდებოდნენ.





ლეონიდ ბრეჟნევი, ალექსეი კოსიგინი და სკკპ პოლიტბიუროს წევრები. 1971 წელი

უმაღლეს საბჭოთა ხელმძღვანელობაში **კოსიგინი** არ უყვარდათ. ისმის კითხვა, მაშ, რით აიხსნება მისი დღეგრძელობა სახელისუფლო ეშელონებში? პასუხი მარტივია. ის დიდ პოლიტიკაში არ ეჩხირებოდა და კრემლის კონკლავში, მგონი, ერთადერთი პროფესიონალი იყო. და **ხრუშჩოვსაც** და **ბრეჟნევსაც** ეს შესანიშნავად ესმოდათ. პოლიტიკაში მისი ჩარევის ერთადერთ შემთხვევად შეიძლება ეგრეთ წოდებული კარიბის კრიზისი ჩაითვალოს. პოლიტბიუროს წევრთაგან მხოლოდ ის ეწინააღმდეგებოდა კატეგორიულად კუბაზე საბჭოთა რაკეტების განლაგებას, **ხრუშჩოვის** აქციას, რომელმაც ლამის ბირთვული კატასტროფა გამოიწვია. მაშინ მისი ხმა, სამწუხაროდ, ყურად არ იღეს.

როდესაც **ხრუშჩოვის** თავიდან მოშორების წინადადება დაიბადა, **კოსიგინმა** ერთ-ერთმა პირველმა მხურვალედ დაუჭირა მას მხარი და ამ აქციაში გადამწყვეტი მისია შეასრულა — **„შეთქმულთა“** მხარეს თავდაცვის მინისტრი **მალინოვსკი** გადაიბირა. **1964 წლის** ოქტომბრის პლენუმის შემდეგ **კოსიგინი** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეა. პირველ რიგში ის ხრუშჩოვისეულ სახალხო მეურნეობის საბჭოებს აუქმებს და თავის მოფიქრებულ და დამუშავებულ ეკონომიკურ რეფორმას უხსნის გზას. თუმცა, **ბრეჟნევისა** და მისი გარემოცვის მხრიდან მისი განხორციელების სურვილის არქონის გამო რეფორმა დამუხრუჭდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **კოსიგინს** კრემლის ბინადართაგან ყველაზე მეტად აღელვებდა სკკპ-ს და ჩინეთის კომპარტიას შორის ურთიერთობის გაციება, რაც **ხრუშჩოვის** ხელში აშკარა მტრობაში გადაიზარდა. და მან საკუთარი პასუხისმგებლობით გადადგა იმ დროისათვის უპრეცედენტო ნაბიჯი — ვიეტნამში ოფიციალური ვიზიტით გამგზავრებისას ჩინეთის ტერიტორიაზე გადაფრენის დროს მისასალმებელი ტელეგრამა გაუგზავნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერს **ჯოუ ენლაის** ჩინელი ხალხისათვის კეთილდღეობის და მშვიდობის სურვილებით. 10 წუთიც არ გასულა, თვითმფრინავის ბორტზე საპასუხო ტელეგრამა მოვიდა. **ჯოუ** მადლობას უხდიდა და სურვილს გამოთქვამდა, საბჭოთა დელეგაციის თვითმფრინავი პეკინში დამჯდარიყო. ასე შედგა თბილი, მეგობრული შეხვედრა (განსაკუთრებით აღვნიშნავთ, მრავალი წლის შემდეგ) ორ ლიდერს შორის. იმავე დღეს ეს მთელმა მსოფლიომ შეიტყო. საბჭოთა პრესა იძულებული გახდა, თვითონაც ეუწყებინა ამის შესახებ, როგორც სსრკ საგარეო პოლიტიკის მიღწევაზე.



კოსიგინი აშშ-ის პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონთან ერთად. 1967 წელი

მართალია, **ბრეჟნევმა კოსიგინი** საყვედურებით აავსო, მაგრამ ასე იყო თუ ისე, პირველი ნაბიჯი გადაიდგა.

კოსიგინი ასე „მოიცილეს“: მოულოდნელად მას **ბრეჟნევის** მუქთამჭამელმა **ჩერნენკომ** დაურეკა: **„ალექსეი ნიკოლაევიჩ, თქვენ სულ ავადმყოფობთ. არსებობს აზრი, რომ უნდა გადადგეთ“.**

**„რატომ რეკავთ თქვენ და არა ის, ვინც ეს აზრი გამოთქვა?“** — კითხვა შეუბრუნა **კოსიგინმა.**

**„ის თვითონაც ავადმყოფობს“,** — დაიბნა **ჩერნენკო.**

ოჯახის წევრების მოწმობით, **კოსიგინს** გაეცინა, ყურმილი დადო და იქვე დაწერა განცხადება. მეორე დღეს მას დაცვა, სამთავრობო ტელეფონი და სამსახურის ავტომანქანა ჩამოართვეს.

**ა. კოსიგინი 1980 წლის 18 დეკემბერს გულის უცაბედი გაჩერების შედეგად გარდაიცვალა.** მისი სიკვდილის შესახებ ქვეყანას და ხალხს მხოლოდ სამი დღის შემდეგ აცნობეს. **კოსიგინის** ერთადერთი ქალიშვილი **ლუდმილა** ქართველი **ჯერმენ გვიშიანის** ცოლი იყო. მათი ვაჟი **ალექსეი გვიშიანი** მოსკოვში ცხოვრობს, ის პროფესორია, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

გენერალისიმუსი
2024 წლის 19 თებერვალი. №11-12 (247-248)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# კიევში ბულგაკოვი კიკაბიძედ გადააკეთეს!

***მიუხედავად იმისა, რომ მრავალი წელია, ნაცლიბერალურ სექტას შევცქერით, ბოლომდე კარგად მაინც არ გვცოდნია, რამხელა აბსურდსა და სიშლეგეში შეიძლება გადაისროლოს ადამიანი ანტირუსულმა ისტერიამ... ამაში დაგვარწმუნა რამდენიმე დღის წინათ უკრაინის ხელისუფლების, კერძოდ, კიევის მერიის საქციელმა, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს გენიოსი ალბერტ აინშტაინის ცნობილი გამონათქვამის ჭეშმარიტებას — სამყაროს უსასრულობაში დარწმუნებული არა ვარ, მაგრამ ადამიანის სისულელე ნამდვილად უსასრულოაო!***



მიხაილ ბულგაკოვი

საქმე ის არის, რომ კიევის საკრებულომ, „დერუსიფიკაციისა“ და „დეკომუნიზაციის“ პროცესის ფარგლებში, დიდი რუსი მწერლის, მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი კლასიკოსის **მიხაილ ბულგაკოვის** სახელობის ქუჩას ქართველი კინომსახიობისა და საესტრადო მომღერლის **ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძის** სახელი მიანიჭა.

ძველი სახელწოდება შეუცვალეს უკრაინის დედაქალაქის კიდევ რამდენიმე ქუჩასა და ობიექტსაც. კიევის მერის მოადგილისა და საკრებულოს მდივნის ვოლოდიმირ ბონდარენკოს განცხადებით: ***„უკრაინის დედაქალაქი აგრძელებს იმ სახელების მოშორებას, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ჩვენი ეროვნული ცნობიერების დამახინჯებაზე. მრავალსაუკუნოვან კიევში აგრესორ ქვეყანასთან, მის საბჭოთა და იმპერიულ წარსულთან ასოცირებული სახელები არ უნდა არსებობდეს“.***

სრულიად აშკარაა, რომ საქმე გვაქვს ორი სახის პრობლემასთან — **ნაციზმთან და იდიოტიზმთან!** აბა, როდესაც მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს მწერალს ეთნიკური ნიშნით უცხადებ ბრძოლას და ცდილობ, მისი სახსენებელი მხოლოდ იმიტომ ამოძირკვო, რომ ეროვნებით რუსია, ეს წმინდა წყლის ნაციზმი არ არის?

**ზოგადად, უკრაინის დღევანდელი ხელისუფლება ნაცისტური მიდრეკილებებით რომ გამოირჩევა, ეს არახალი ამბავია. თუნდაც შარშანდელი ფაქტი გავიხსენოთ, როცა კანადის პარლამენტში ვოლოდიმირ ზელენსკის ვიზიტის დროს, მისადმი პატივისცემის ნიშნად, დარბაზში საპატიო სტუმრის სტატუსით დასვეს და მხურვალე აპლოდისმენტებით დააჯილდოვეს 98 წლის უკრაინელი ნაცისტი, ყოფილი ესესელი იაროსლავ ჰუნკა,** რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს პოლონელებისა და ებრაელების გამჟლეტ „გალიციის დივიზიაში“ მსახურობდა.

თუმცა, უკრაინელი ნაცისტი ესესელის განდიდებაც კი ბავშვური თამაშობაა იმასთან შედარებით, რასაც „დერუსიფიკაციის“ მოტივით კიევის ერთ-ერთი ქუჩისათვის **მიხაილ ბულგაკოვის სახელის** ჩამორთმევა ჰქვია.

ეს ზელენსკელთა ნაცისტური შიგთავსის ყველაზე მკაფიო და, ამავდროულად, ყველაზე იდიოტური გამოვლინებაა!

აბა, კარგად დაუკვირდით და დაუფიქრდით — **კიევის ერთ-ერთ ქუჩას მიხაილ ბულგაკოვის სახელი დერუსიფიკაციისა“ და „დეკომუნიზაციის“ მიზეზით გადაარქვეს — რუსეთის საბჭოთა და იმპერიულ წარსულთან ასოცირებული სახელები არ გვჭირდებაო, არადა, მიხაილ ბულგაკოვის მთელი შემოქმედება ანტისაბჭოთა და ანტიიმპერიული სულისკვეთებით არის გამსჭვალული.**

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არ არსებობს უფრო დიდი ანტისაბჭოთა ნაწარმოები, ვიდრე მიხაილ ბულგაკოვის რომანი, მსოფლიო ლიტერატურის შედევრად აღიარებული **„ოსტატი და მარგარიტა“,** რომლის გამოცემაც ავტორის სიკვდილიდან 26 წლის შემდეგ — 1966 წელსღა მოხერხდა, როცა საბჭოთა კავშირში ხრუშჩოვისეული „ოტტეპელი“, ანუ ე.წ. დათბობა გამოცხადდა.

**ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური ნაწარმოების — „ოსტატი და მარგარიტას“ ავტორს „საბჭოთა წარსულთან ასოცირებულად“ რომ გამოაცხადებ და ქუჩას მის სახელს გადაარქმევ, ან გამოუსწორებელი იდიოტი ხარ, ან — პირწავარდნილი ნაცისტი, თუმცა, როგორც ჩანს, უკრაინის ხელისუფლება ერთიც არის და მეორეც!**

**მიხაილ ბულგაკოვი** უკრაინის დედაქალაქ კიევში 1891 წელს დაიბადა და რუსეთში საცხოვრებლად მხოლოდ 1921 წელს — 30 წლის ასაკში გადავიდა. **იმის გამო, რომ ბოლშევიკური რევოლუციის მოწინააღმდეგე მწერალი თავის ნაწარმოებებში საბჭოთა რეჟიმს სატირის, გროტესკისა თუ სხვა ლიტერატურული ხერხების გამოყენებით მწვავედ აკრიტიკებდა და დასცინოდა, საბჭოთა კავშირში მისი წიგნების გამოცემა ათწლეულების განმავლობაში აკრძალული იყო.** მაგალითად, ბულგაკოვის ცნობილი მოთხრობა **„ძაღლის გული“,** რომელიც ბოლშევიკური რეჟიმის ერთ-ერთ საკვანძო იდეას — ახალი საბჭოთა ადამიანის გამოყვანას დასცინის და განაქიქებს, 1925 წელს დაიწერა, თუმცა, მისი ანტისაბჭოთა შინაარსის გამო, 1980-იანი წლების მეორე ნახევრამდე არ გამოცემულა.


# В Киеве улицу Булгакова переименовали в улицу Кикабидзе

First News Media

21:40 - 09 / 02 /

**В рамках компании по дерусификац в Киеве была переименована улица названная в честь писателя и киевлянина Михаила Булгакова.**

Теперь она носит имя советского и грузинского актера и певца Вахтанга Кикабидзе.

Об этом сообщает киевский городск совет.

«Депутаты киевского городского сове в рамках переименовали улицу, названную в честь Михаила Булгаков дав ей новое имя — грузинского акте

# უკრაინის ხელისუფლების ნაცისტური იდიოტიზმი და იდიოტური ნაციზმი!

სამაგიეროდ, **ნაცისტი იდიოტებითა თუ იდიოტი ნაცისტებით დაკომპლექტებულ უკრაინის ხელისუფლებას** ერთ-ერთი ყველაზე დიდი ანტისაბჭოთა მწერალი **მიხაილ ბულგაკოვი** საბჭოთა კავშირის გადმონაშთი ჰგონია და მის ქუჩას, „დერუსიფიკაციისა“ და „დეკომუნიზაციის“ ეგიდით, სახელს უცვლის!

კი მაგრამ, მსოფლიოში ცნობილი და აღიარებული ანტისაბჭოთა ნაწარმოებების — **„ოსტატი და მარგარიტასა“** და **„ძაღლის გულის“** ავტორი **მიხაილ ბულგაკოვი** საბჭოთა წარსულთან თუ ასოცირდება, მაშინ რაღასთან ასოცირდება საბჭოთა კინოსა და ესტრადის არტისტი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **ბუბა კიკაბიძე,** რომლის სახელიც კიევში **ბულგაკოვის ქუჩას** დაარქვეს?

ვთქვათ, ნაცისტი იდიოტებისა თუ იდიოტი ნაცისტებისაგან შემდგარმა უკრაინის ხელისუფლებამ არ იცის, რომ **მიხაილ ბულგაკოვი** მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით ანტისაბჭოთა მოღვაწე იყო, მაგრამ ის მაინც არ უნდა იცოდეს, რომ სააკაშვილის არღნის ჩიტი **ბუბა კიკაბიძე** თავიდან ბოლომდე საბჭოთა კულტურის ნაყოფი გახლდათ, რომლის ცხოვრების ნახევარზე მეტი რუსულ კინემატოგრაფთან და რუსულ ესტრადასთან არის დაკავშირებული?

იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ **ბუბა კიკაბიძეს** რუსეთში სიმღერა, ცეკვა-თამაში და ფულის შოვნა მაშინაც კი არ შეუწყვეტია, როცა კრემლმა საქართველოს აფხაზეთი წაგლიჯა და ქართველებს ეთნიკური წმენდა მოუწყო!

**უკრაინის ხელისუფლებას საქართველოსა და ქართველების მიმართ იოტისოდენა პატივისცემა რომ არ გააჩნია, ეს ბევრჯერ და ბევრი რამით არის დადასტურებული. შესაბამისად, ზელენსკელებს ფეხებზე ჰკიდიათ, რომ ბუბა კიკაბიძე აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგაც რუსეთში მღეროდა და არც ის აინტერესებთ, რომ იგივე ბუბა კიკაბიძე ავტომატით ხელში მონაწილეობდა კრემლის მიერ საქართველოს ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ ორგანიზებულ პუტჩში.**









მიხეილ სააკაშვილი და ბუბა კიკაბიძე

**მსოფლიოში ცნობილი ანტისაბჭოთა ნაწარმოებების – „ოსტატი და მარგარიტასა“ და „ძაღლის გულის“ ავტორი მიხაილ ბულგაკოვი საბჭოთა წარსულთან თუ ასოცირდება, მაშინ რაღასთან ასოცირდება საბჭოთა კინოსა და ესტრადის არტისტი ბუბა კიკაბიძე, რომლის სახელიც კიევში ბულგაკოვის ქუჩას დაარქვეს?**

**ზელენსკელებს ჰგონიათ,** რომ **ბუბა კიკაბიძე** ანტისაბჭოთა ხელოვანი იყო, ხოლო **მიხაილ ბულგაკოვი** — საბჭოთა მწერალი!

**ზელენსკელები ფიქრობენ,** რომ **მიხაილ ბულგაკოვის** ქუჩისათვის **ბუბა კიკაბიძის** სახელის დარქმევით უკრაინის „დერუსიფიკაციასა“ და „დეკომუნიზაციას“ ახდენენ!

**ამიტომაც არიან ზელენსკელები იდიოტები და ნაცისტები, რომლებმაც უკრაინა დაღუპეს!**

***ჯაბა ხუბუა***

*დასაწყისი იხ. „ა–დ“, 2023 წლის №54, 2024 წლის №1–8*



# მაყვალა ბერიანიძე:

# ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, ვინ რამდენი თანხა გაიტანა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რომელიც უკან არ დაუბრუნებიათ!

## „დემურ დვალიშვილის რვეული ძალიან ბევრ საინტერესო ფაქტს ინახავს და მიმაჩნია, რომ მისი ჩანაწერები და სია, რომელშიც არაერთი ცნობილი ადამიანის გვარ-სახელი ფიგურირებს, უნდა გასაჯაროვდეს!“



*საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი დემურ დვალიშვილი*

***ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე აცხადებს, რომ 13 თებერვალი მის ცხოვრებაში განსაკუთრებული სიმბოლიკით არის დატვირთული:***

— **2006 წლის 13 თებერვალს** სასიკვდილოდ გამიმეტეს, მესროლეს და ჩემს სახლთან დამჭრეს; **2008 წლის 13 თებერვალს** ცხონებული ბადრი პატარკაციშვილი მოკლეს; ხოლო **2024 წლის 13 თებერვალს** სოსო ჯაჭვლიანი მიაბარეთ მიწას, რომელიც ჩემი მეუღლის კურსელი, ჩემი შვილის ნათლია და ოჯახის ახლობელი იყო. სხვათაშორის, **2008 წლის 13 თებერვალს,** დილით, სწორედ **სოსო ჯაჭვლიანმა** დამირეკა — უბედურება მოხდა, **ბადრი პატარკაციშვილი** მოკლესო! სოსო ქაშუეთის ტაძრიდან გამოვასვენეთ. მიყვარს ეს ტაძარი, რადგან იმ ქვებით აშენდა, რომელიც მართალი კაცისთვის ცილისმწამებლებს უნდა დაეშინათ. სოსოს დაკრძალვაზე ის ხალხიც კი მოვიდა, ვინც ის კუბოში ჩააწვინა. საინტერესოა, სად იყვნენ ისინი მაშინ, როცა **სოსო ჯაჭვლიანს** მკლავჭიდში მსოფლიო ჩემპიონატი ჩაუშალეს და სახელისუფლებო ტელევიზიებში არ მიუშვეს? ხოლო, როცა სხვა ტელევიზიებში წავიდა, მაშინ თქვეს — სოსო ჯაჭვლიანმა გვიღალატაო!

**ადამიანმა მთელი საქართველო ფეხით მოიარა და იმ ცემა-ტყეპასა და უბედურებაში წინა ხაზზე იყო, რათა ბიძინა ივანიშვილს გაემარჯვა, მაგრამ ბოლოს „მოღალატედ“ შერაცხეს!** ადამიანებს მარტო ავტომატით არ კლავენ, სიტყვითაც კლავენ. იმ დღეს ვუყურებდი კუბოში მწოლიარე სოსო ჯაჭვლიანს, რომელიც საშინელმა სენმა დაადნო და მახსენდებოდა **გედია,** რომელიც **მარიტას** სიყვარულის გადასარჩენად იბრძოდა, მაგრამ ტალახში ამოსვარეს და ისე მოკლეს. **მართლაცდა არ შეიძლება, თანამდებობის გულისთვის ყველაფერი იკადრო! ადამიანს ცილი არ უნდა დასწამო!** 3500 წელი გავიდა და კოლხმა მედეამ რამდენიმე ნაძირალას მიერ გახმოვანებული ცილისწამება ვერ მოიშორა... ასე მგონია, საქართველო სოსო ჯაჭვლიანივით ილევა და დნება!

**— თქვენ გენერალური პროკურორისთვის აპირებდით მიმართვას!**

— **გენერალურო პროკურორო ირაკლი შოთაძევ,** შენს საკუთრებას რატომ ილამაზებ და ჩემსას რატომ მართმევ? **შენი ხელქვეითი მცხეთის პროკურორი უზენაესი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას რატომ არ ცნობს?** კიდევ რა სიმღერა უნდა ვუმღერო **ვახტანგ გომელაურს,** რომ საგურამოს პოლიციამ ჩემი ქონების მიმტაცებლებს პასუხი მოსთხოვოს? ოთხ საქმეზე დაზარალებული ვარ და ქვეყანაში სამართალი ვერ ვიპოვე! შიგნიდან ვიცი, რაც ხდება სისტემაში და, იცით, რას გეტყვით? **ხელქვეითები თავად სჩადიან ყოველგვარ უმსგავსობას და მერე ხელს ბიძინა ივანიშვილისკენ იშვერენ — ჩვენ რა შუაში ვართ, ყველაფერი ბიძინას ბრალიაო!** მე ხომ ვიცი, ესენი ბიძინას ზურგს უკან როგორ აგინებდნენ და აგინებენ?! ეს ბიძინამაც ძალიან კარგად იცის. **ახლა საქართველოში იმ ბავშვების დროა, 1998 წელს შევარდნაძემ რომ ახსენა — გერმანიაში სასწავლებლად 200 ბავშვი გავგზავნეთო!** ის ბავშვები, მათ შორის, სკოლის მოსწავლეებიც, მხოლოდ გერმანიაში არ გაუგზავნიათ, ამერიკაში, ბრიტანეთში, თურქეთში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში გაგზავნეს. **ახლა უკვე ის ბავშვები 50 წელს უკაკუნებენ და ქართულ პოლიტიკაში მასობრივად მოდიან.** მოკლედ, ეს შორს მიმავალი გეგმა იყო. საქართველოს უახლესი ისტორიისა და დღევანდელი პოლიტიკური თუ ბიზნესელიტისთვის ბომბის აფეთქების ეფექტის მომტანი იქნება აწ განსვენებული **დემურ დვალიშვილის** ჩანაწერების გამოქვეყნება. მისი რვეული ძალიან ბევრ საინტერესო ფაქტს ინახავს და მიმაჩნია, რომ მისი ჩანაწერები და სია, რომელშიც არაერთი ცნობილი ადამიანის გვარ-სახელი ფიგურირებს, უნდა გასაჯაროვდეს! **ბოლოს და ბოლოს, ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, ვინ რამდენი თანხა გაიტანა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რომელიც უკან არ დაუბრუნებიათ!**

**— არავის არაფერი დაუბრუნებია?**

— ერთი **თემურ აკოფოვმა** დააბრუნა 5-მილიონიანი თურქული კრედიტი და მეორე — სხვებმა! რა დააბრუნეს, ვინ დააბრუნა?! გაძარცვეს და მიწასთან გაასწორეს ამ გარეწრებმა საქართველო! **მამუკა ხაზარაძემ,** რომელიც გაიძახის — პირველი მილიონი რუსეთში ვიშოვეო! — საიდან იშოვა მილიონები და მილიარდები?

**კომკავშირში გაცილებით მაღალი თანამდებობა მქონდა, ვიდრე მამუკა ხაზარაძეს, რომელიც მაშინდელი „გეპეის“ მექანიკამანქანათმშენებლობის ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი იყო და ხომ ხედავთ, რა განცხადებებსაც აკეთებს ეს ნაძირალა?! მაგრამ ხაზარაძის მფარველები რომ დასახელდებიან და გაიშიფრებიან, მერე გამოვიდეს და გააკეთოს განცხადებები!** რაც შეეხება **დემურ დვალიშვილს,** საცოდავი დვალიშვილი შოთა კვირაიამ თავის კაბინეტში დახვრიტა. ამ პროცესში კიდევ ერთი პიროვნება მონაწილეობდა, ხოლო ღირსეულმა კაცმა, რომელიც ამ ფაქტს შეესწრო, ცოტა ხნის შემდეგ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე!

**— ვინ იყო ის პიროვნება?**

— გიმეორებთ, ის ღირსეული პიროვნება იყო, რომელსაც ცრუ ჩვენება მიაცემინეს და ტყუილი ათქმევინეს, თითქოს დემურ დვალიშვილი კვირაიას კაბინეტში იარაღით შევიდა და სწორედ ამას მოჰყვა კონფლიქტი კვირაიასა და დვალიშვილს შორის, რაც ამ უკანასკნელის ლიკვიდაციით დასრულდა. ცხადია, ეს იყო სრული სიგიჟე, რადგან დემურ დვალიშვილს იარაღთან შემხებლობა არასოდეს ჰქონია. იმ პიროვნებამ, რომელიც დვალიშვილის დახვრეტას შეესწრო, ეს ყველაფერი ძალიან განიცადა და საშინლად დარდობდა, რომ შოთა კვირაიას ხელი არ შეუშალა და დემურ დვალიშვილის დახვრეტის საშუალება მისცა. მოკლედ, გვარსა და სახელს ვერ ვიტყვი, მაგრამ იმ კაცმა ამოდენა სტრესს, სინდისის ქენჯნას ვეღარ გაუძლო და საკუთარ სახლში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

**— შევარდნაძემ ამ ყველაფრის შესახებ იცოდა?**

— შევარდნაძემ ყველაფერი იცოდა! ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ **ძალიან ცუდი, სისხლიანი და ღალატიანი წარსულიდან მოდის თანამედროვე საქართველო!** მოღალატეებითა და მედროვეებით იყო სავსე ბიძინა ივანიშვილის გარემოცვაც. დარწმუნებული ვარ, ახლაც ასე იქნება. აი, მაგალითად, 2012 წლის არჩევნების წინ მე, ცხონებული **პაატა ბიორბაძე** და სხვები ბიძინა ივანიშვილის საარჩევნო შტაბში თემატურ ჯგუფებში რომ ვმუშაობდით, „რესპუბლიკური პარტიის“ წევრ **თენგიზ შერგელაშვილთან** კონფლიქტი მომივიდა, რადგან ეს კაცი ირანიდან, თურქეთიდან და უცხო ქვეყნებიდან შემოტანილ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ყოველგვარი გადასახადის გაუქმებას ითხოვდა. გარდა ამისა, შერგელაშვილმა ჭკუის დარიგებაც დამიწყო — **რას უფრთხილდები ბიძინა ივანიშვილის ფულსო?!** — ჭკვიანად იყავი შენ-მეთქი! — გავაფრთხილე. მახსოვს, თავისი გვარი რომ გაიგონა, ბიძინა შემოვიდა იმ სხდომაზე, სადაც **ირაკლი ალასანია, დემურ გიორხელიძე,** არაჩვეულებრივი მეცნიერი ქალი — **ნემსაძე** და სხვები იყვნენ. ბიძინა ჯერ კაცებს მიესალმა, მერე ჩვენ — ქალებს. ამის გამო დაბნეულმა მოგვიბოდიშა კიდეც — ჯერ თქვენ უნდა მოგსალმებოდითო! — არა უშავს, ბატონო ბიძინა, სულ უკუღმა ხდება ყველაფერი-მეთქი! — ვუთხარი. იმედია, ეს ყველაფერი ახსოვს. **მართლა უკუღმა და უკუღმართად წარიმართა ბევრი რამ, რადგან თენგიზ შერგელაშვილისა და, საერთოდ, „რესპუბლიკელების“ მსგავსი მოღალატეებისა და მედროვეების გვერდით გაკარება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა!**

**— თქვენ საინტერესო მოსაზრებები გაქვთ 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ და კი-**



*კადრი ფილმიდან „ნატვრის ხე“ – სოსო ჯაჭვლიანი და ლიკა ქავჟარაძე გედიასა და მარიტას როლში*

## „იმ დღეს ვუყურებდი კუბოში მწოლიარე სოსო ჯაჭვლიანს, რომელიც საშინელმა სენმა დაადნო და მახსენდებოდა გედია, რომელიც მარიტას სიყვარულის გადასარჩენად იბრძოდა, მაგრამ ტალახში ამოსვარეს და ისე მოკლეს...“

# „იმ საუბრის დროს პუტინმა ილია მეორეს უთხრა – თქვენ, ქართველებმა, იმაზეც უნდა იფიქროთ, რომ ახალმა მსოფლიო წესრიგმა, აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დაბრუნების გარდა, საქართველოს თურქეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების პერსპექტივაც გაუჩინოს!“



*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი*

**დევ იმაზე, თუ როგორ გაყიდა დასავლეთის პრესამ საქართველო!**

— ჩვენში ხომ ყოველივე ამერიკული და დასავლური გაფეტიშებულია. ახლა წაგიკითხავთ ციტატას, თუ რას წერს სახელოვანი იტალიელი მწერალი, დღეს ძალიან მოდური **უმბერტო ეკო** ამერიკული გაზეთების შესახებ: *„ზოგიერთი ისეთ აბსურდამდეც მიდის, რომ „ნიუ-იორკ პოსტს“ ავტორიტეტულ გამოცემად იხსენიებს მაშინ, როცა ეს არის მესამეხარისხოვანი საცოდაობა, რომლის ხელში აღება ნებრასკის შტატის ქალაქ ომაჰაშიც კი რცხვენიათ!“* ახლა კი მოგიტანთ ციტატებს ე.წ. ავტორიტეტული ევროპული გაზეთებიდან, რომლებმაც ჩვენ ყველაფერი გვაკადრეს! მოგეხსენებათ, 2004 წლის 6 მაისს, ე.წ. აჭარის რევოლუციის დღეს, ჩოლოქის ხიდზე წინასწარ განალაგეს „სი-ენ-ენ“-ის კამერები, რათა ასლანის მიერ ხიდის აფეთქება გადაეღოთ. სინამდვილეში ხიდები ააფეთქეს ნაცებმა. სააკაშვილისა და მისი ხროვის მიერ ხიდების აფეთქება „სი-ენ-ენ“-მა პირდაპირ ეთერში გადასცა, ყველაფერი აბაშიძეს დააბრალა და პროცესი ასე დაიქოქა... 2004 წლის აგვისტოში გერმანული „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგი“ გიორგი ბარამიძის მიერ ცხინვალში დაწყებულ „მცირე ომზე“ ასეთ რამეს წერდა: *„რუს მშვიდობისმყოფელებს ძალა არ ეყოთ, შეეჩერებინათ ომი. სამხრეთ ოსეთმა დამოუკიდებლობა მაშინ გამოაცხადა, როდესაც ნაციონალისტურად განწყობილმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ რეგიონისთვის ავტონომიის სტატუსის გაუქმება გადაწყვიტა, რომელიც საბჭოთა დროს ჰქონდა. ამიტომ ოსეთი თბილისის ხელისუფლებას არ ცნობს. მას საკუთარი პარლამენტი და პრეზიდენტი ჰყავს და საკუთარი დროშა აქვს. საათი მოსკოვის დროს უჩვენებს, მიმოქცევაში რუსული რუბლია!“* ამავე წერილში საუბარია იმაზე, რომ „სამხრეთ ოსეთში“ უმეტესად ქრისტიანები ცხოვრობენ და თბილისთან საერთო არაფერი უნდათ! ახლა გეკითხებით, როცა გერმანელები ამას წერდნენ, როგორ ფიქრობთ, ისინი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას გულშემატკივრობდნენ? ოსებმა თვითონ გააუქმეს ავტონომია, რესპუბლიკად გამოიცხადეს თავი და რა შუაშია აქ „ნაციონალისტი“ ზვიად გამსახურდია? ერთი სიტყვით მაინც რატომ არ დაწერეს გერმანელებმა, რომ 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა დამოუკიდებელი საქართველო დაიპყრო და 1922 წლის აპრილში **„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“** შექმნა?

**— თქვენი აზრით, რატომ არ დაწერეს?**

— იმიტომ არ დაწერეს, რომ დასავლეთი საქართველოს ბედით რუსეთთან ყოველთვის ვაჭრობდა და პოზიორობდა. 1918 წელსაც მხოლოდ მას შემდეგ გვცნეს, რაც რუსეთისგან აიღეს ნებართვა. რაც გერმანელებმა თავიანთ „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგში“ დაწერეს, გერმანიაში მზვერავად ნამუშევარმა **ვლადიმერ პუტინმა** ეს სისულელე გაიმეორა და თავის ცნობილ ტელეინტერვიუში გამოგვიცხადა: **„დამოუკიდებელი“ „სამხრეთ ოსეთი“ რუსეთს 1774 წელს შეუერთდაო!** თუმცა, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, როცა მოსკოვში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პატრიარქები ჩავიდნენ, **ილია მეორე** შეგნებულად არ გავიდა ოთახიდან. პუტინი მივიდა საქართველოს პატრიარქთან და ჰკითხა — **ცუდად ხომ არ ხართ?** — არა! — უპასუხა ილია მეორემ. მაშინ პუტინმა კარი დახურა და ილია მეორესთან პირისპირ დარჩა. როგორც საპატრიარქოდან ვიცი, იმ საუბრის დროს პუტინმა ილია მეორეს უთხრა — **თქვენ, ქართველებმა, იმაზეც უნდა იფიქროთ, რომ ახალმა მსოფლიო წესრიგმა, აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დაბრუნების გარდა, საქართველოს თურქეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების პერსპექტივაც გაუჩინოს!**

**— ეს თქვენ საიდან იცით?**

— მოსკოვიდან რომ ჩამოვიდა, პატრიარქმა აფხაზეთისა და ცხინვალის დაბრუნებაზე საპატრიარქოში განაცხადა, ხოლო ტაო-კლარჯეთის შესახებ თქვა — კვირას წირვაზე მობრძანდით და ყველაფერს იქ გაიგებთო! სპეციალურად წავედი წირვაზე და ილია მეორემ სწორედ იქ გააკეთა პირდაპირი მინიშნება —

**შესაძლოა, მსოფლიო წესრიგი ისე მოეწყოს, ჩვენ ტაო-კლარჯეთიც დავიბრუნოთ, რატომაც არა. ამისთვის მზად უნდა ვიყოთო!**

გერმანული გაზეთების გარდა, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას არც ამერიკული პრესა სწყალობდა. აი, მაგალითად, „ჰერალდ ტრიბუნი“ 2004 წლის აგვისტოში წერდა: *„აჭარისგან განსხვავებით ცხინვალსა და აფხაზეთში გამარჯვება ძნელი იქნება. ყველაზე სერიოზული ფაქტორი ის არის, რომ ორივე რესპუბლიკამ ფაქტობრივი დამოუკიდებლობა სისხლისმღვრელი ომით მოიპოვა და როგორც სამხრეთ ოსეთში, ისე აფხაზეთში კარგად ახსოვთ, რა ხდებოდა მაშინ მათ მიწაზე!“* გეტყვით, რომ ეს არის ამერიკელების მიერ გამოტანილი განაჩენი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ... რა **„მათ მიწაზე“** და რომელ **„დამოუკიდებლობაზე“** ლაპარაკობენ ამერიკელები? ამავე გაზეთში ამასაც წერენ — **საკაშვილმა რუსეთთან ურთიერთობაში არასწორი გზა აირჩია, რადგან განცხადებები საქართველოს ნატოში გაწევრიანების შესახებ რუსეთს აღიზიანებსო!** სამაგიეროდ, იმავე პერიოდში რუსები ამერიკელების საპირისპიროდ გაზეთ „მარკეტინგ ი კონსალტინგში“ წერდნენ: *„სააკაშვილმა იცის, როგორ მოიქცეს, მან კარგად იცის რუსეთთან ურთიერთობა, სააკაშვილს არაფერი ეშლება!“* იმავე პერიოდში, ანუ 2004 წლის აგვისტოში ბრიტანული „ფაინენშელ ტაიმსი“ წერდა: *„ისინი (აფხაზები და ოსები) ქართველებს ეთნიკურად არ ენათესავებიან, მათ გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოაცხადეს დამოუკიდებლობა და რუსეთს ესაზღვრებიან. სამხრეთ ოსეთის პრობლემებში ამერიკის შეერთებული შტატების შესაძლო ღია ჩარევას უსიამოვნო შედეგები მოჰყვება. ამ ვითარებაში უკეთესი იქნება, ინიციატივა ევროკავშირმა აიღოს და ეუთოს საშუალებით იმოქმედოს, რომელსაც სამხრეთ ოსეთში უკვე ჰყავს დამკვირვებლები!“* ანუ პირდაპირ ამბობენ — ამერიკა „ღიად“ არ უნდა ჩაერიოს „სამხრეთ ოსეთის“ ამბავში, ფარულად უნდა იმოქმედოსო! მოკლედ, 2004 წლის აგვისტოს მდგომარეობით, ან ევროპულ, ან ამერიკულ და ან ბრიტანულ გაზეთებს რამე ეტყობათ იმისა, რომ გერმანია, ამერიკა და დიდი ბრიტანეთი აფხაზეთსა და ცხინვალს საქართველოს ტერიტორიებად მიიჩნევენ? ცხადია, არა! კულისებს მიღმა ისინი ახლაც ასე ფიქრობენ, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მათთვის, 2008 წელს სააკაშვილი გაექეზებინათ და ცხინვალში პროვოკაციული ომი გაეჩაღებინათ, რომელმაც დაგვღუპა! **ახლაც უჩხიკინებდნენ ბიძინა ივანიშვილს — მეორე ფრონტი გახსენიო! ამ მიმართულებით ზეწოლა და პროვოკაციები დღემდე გრძელდება.**

**— ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეფასების სახით რას გვეტყვით?**

— საქართველომ უნდა მიხედოს თავის თავს, რადგან ჩვენ პატრონი არ გვყავს! რომ გაიძახიან — კადრები არ გვყავსო! — 6 თებერვალს ერთ კონფერენციაზე გახლდით და იქ გამოსვლები ვნახე, იქ მოხსენებები იყო, ხალხს ტვინი უსკდება, მაგრამ ეს ხალხი არის დაბლოკილი, ამ განათლებულ და პატიოსან ადამიანებს ქვეყნის მართვის სადავეებთან არ უშვებენ!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## «გენპროკურორო ირაკლი შოთაძევ, შენს საკუთრებას რატომ ილამაზებ და ჩემსას რატომ მართმევ?»



***როგორც პლატონ სამანიშვილი დაეძებდა სოფელ-სოფელ დედინაცვალს, ათი წელიწადია, სწორედ ისე დაეძებს „პირიმზის“ ყოფილი მთავარი ბუღალტერი და აქციონერი ნუგზარ რაჭველიშვილი საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სამართალს, მაგრამ იქ მოკალათებული არისტო ქვაშავიძეების, პორფირ ბიაშვილების, ივანე გვერდევანიძეებისა და სხვა ათასი შულერის წყალობით, რომლებსაც საქმის გვერდზე გაიმასქნება ძალიან ეხერხებათ, კაცი ვერაფერს გახდა.***

***სწორედ ამ ათი წლის წინათ, 2014 წელს, გამოქვეყნდა „ასავალ-დასავალში“ ნუგზარ რაჭველიშვილის*** *წერილი, სადაც სააქციო საზოგადოება „პირიმზის“ მოწილე ბიძინა ივანიშვილს აფრთხილებდა —* ***გამოძიება, რომელსაც ავადსახსენებელი ზურაბ ადეიშვილის პროკურორები კურირებდნენ, უკუღმართი გზით მიდის და „პროკურატურის, „ბანკ ქართუსა“ და ლაურა ლაჭავას დანაშაულებრივმა გარიგებამ სახელმწიფო 24 მილიონი ლარით დააზარალა, ხოლო „პირიმზის“ 22 პროცენტის მქონე 42 აქციონერს 5 მილიონის ქონება დააკისრაო!“***

*ათი წელიწადია, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ამ საქმეზე „გასუსული“ არიან, ხოლო* ***სუს-ი ამ თემით, როგორც ჩანს, ჯერჯერობით არ დაინტერესებულა.*** *არადა,* ***ბატონი რაჭველიშვილი*** *ბიძინა ივანიშვილს ათი წლის შემდეგაც აფრთხილებს, რომ* ***ადეიშვილის პროკურორ ელიზბარ გოზალიშვილს*** *„ქართუ ბანკის“ გაკოტრების საქმეში ისეთი ნაღმი აქვს ჩადებული, რომელიც ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ შესაძლოა, ნებისმიერ დროს აფეთქდეს! გენიალური დავით კლდიაშვილის უკვდავმა გმირმა* ***პლატონ სამანიშვილმა თავისი მწარე ბედი სოფელ ქვედურეთში, ბრეგაძეებისას იპოვა, როცა არისტოსთან ერთად სადედინაცვლო „მოიტაცა“.*** *საკითხავია, იპოვის კი თუნდაც 10 წლის შემდეგ საქართველოს გენერალური პროკურატურის მრუმე ტალანებში დედინაცვლად ქცეულ სამართალს* ***ნუგზარ რაჭველიშვილი,*** *რომელიც ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ გენერალურმა პროკურატურამ „პირიმზის“ საქმეზე გამოძიება შეწყვიტა, ლაურა ღაჭავას დანაშაულში ხელი დააფარა და სააქციო საზოგადოება „პირიმზის“ აქციონერები მშრალზე დატოვა!*



## „არ გამოვრიცხავ, გენერალურ პროკურატურას ლაურა ღაჭავასთან კუდი ჰქონდეს გადასკვნილი, რათა კაპიკებით მოგვიშორონ, ხოლო დარჩენილი თანხები გაიყონ!“

## ნუგზარ რაჭველიშვილი:

# ან პასუხი გამეცით, ანდა ცილისწამების გამო პასუხი მაგებინეთ!

**ნუგზარ რაჭველიშვილი:** — ათი წელია, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სამართალს ვეძებ. ჯერ კიდევ 2014 წელს მივმართე „ასავალ-დასავალს“ დახმარებისთვის, როცა ბატონი ბიძინა ივანიშვილი გავაფრთხილე, რომ პროკურატურა „ქართუ ბანკის“ გაკოტრების საქმეს, რომელთანაც სააქციო საზოგადოება „პირიმზის“ ბედი პირდაპირ კავშირშია, ძალიან ცუდად იძიებდა. ამის შემდეგ თქვენს ჟურნალისტ **ნატო ფოცხიშვილთანაც** მქონდა ინტერვიუ, რომელიც ისევ და ისევ „ასავალ-დასავალში“ დაიბეჭდა... ახლაც, ამ ათი წლის შემდეგ, იმავე პრობლემით კვლავ „ასავალ-დასავალისგან“ ვითხოვ შველას! სამართლის ძებნაში დავბერდი... **თქვენი გაზეთის გარდა კაციშვილი ყურადღებას არ მაქცევს და მთელი ამ ხნის განმავლობაში არცერთი სახელმწიფო სტრუქტურიდან პასუხი არ მიმიღია. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო, ფაქტობრივად, მკვდარია და ყველას ყველაფერი ფეხზე ჰკიდია.**

**— მოდით, კიდევ ერთხელ გავახსენოთ საზოგადოებას, მაინც რა ხდება თქვენ თავს?**

— უბედურება ის გახლავთ, რომ სააკაშვილის დროს ადეიშვილის პროკურატურამ დანაშაულებრივი სქემა არ აღკვეთა და ბოლომდე მიიყვანა „ქართუ ბანკის“ გაკოტრების პროცესი. ეს უკანონობა, რაშიც სააქციო საზოგადოება „პირიმზეც“ მოვყევით, 2011 წელს დაიწყეს **ზურაბ ადეიშვილმა და მიხეილ სააკაშვილმა.** სქემა ასეთი იყო — **სააქციო საზოგადოება „პირიმზისთვის“ უნდა დაეკისრებინათ ფიქტიური ვალი და მერე ჩამოერთმიათ ქონება!**

**— „პირიმზისთვის“ ვალი რატომ უნდა დაეკისრებინათ?**

— იმიტომ, რომ სააქციო საზოგადოება „პირიმზეს“ „ქართუ ბანკის“ ვალი ჰქონდა და „პირიმზის“ ქონება „ქართუ ბანკში“ იპოთეკით იყო ჩადებული. იმისათვის, რომ „ქართუ ბანკისთვის“ იპოთეკის ვალდებულება გაეუქმებინათ, ანუ ბანკი იპოთეკის გარეშე დაეტოვებინათ, „პირიმზეს“ დაადეს ფიქტიური ვალი და მიიღეს კანონი, რომლის ძალითაც საგადასახადო ვალდებულება დააყენეს იპოთეკაზე წინ. **მოკლედ, სააკაშვილმა და ადეიშვილმა „პირიმზე“ ბიძინა ივანიშვილის „ქართუ ბანკს“ წაართვეს. ამავდროულად „პირიმზის“ ხელში ჩასაგდებად ძალიან ბევრს „შრომობდა“ კოდუების კლანი, კერძოდ, ლაურა ღაჭავა.**

**— ანუ სააკაშვილის ხროვა ორ კურდღელს ერთად იჭერდა?**

— დიახ, სააკაშვილი და ადეიშვილი ივანიშვილის „ქართუ ბანკსაც“ აკოტრებდნენ და **ლაურა ღაჭავას** მეშვეობით „პირიმზეც“ მიჰქონდათ, რაც აღასრულეს და წაიღეს კიდეც!

**— ადეიშვილის პროკურატურიდან ვინ ხელმძღვანელობდა „პირიმზის“ ხელში ჩაგდების ოპერაციას?**

— ამ საქმეს თავიდანვე ხელმძღვანელობდა **ზურაბ ადეიშვილის** პროკურორი **ელიზბარ გოზალიშვილი.** მთელი რვა წლის განმავლობაში, როცა საქმე სასამართლოში იყო, იგი **ლაურა ღაჭავას** მფარველობდა!

**— მაინც როგორ მფარველობდა?**

— სასამართლო პროცესზე **პროკურორი გოზალიშვილი** ბრალმდებლის ნაცვლად ლაურა ღაჭავას ადვოკატი იყო, ხოლო მე ვიყავი ბრალმდებელი, ანუ შეტრიალებული გახლდათ ყველაფერი. სამწუხაროდ, ეს უკვე „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებშიც ხდებოდა.

**— კი მაგრამ, ელიზბარ გოზალიშვილი ისევ გენერალურ პროკურატურაში მუშაობს?**

— დიახ, დღესაც გენერალურ პროკურატურაში მუშაობს! მოსამართლე **ლავრენტი მაღლაკელიძემ ლაურა ღაჭავასა** და პროკურორ **ელიზბარ გოზალიშვილის** მოსაწონი გადაწყვეტილება რომ არ გამოიტანა, გოზალიშვილის მოთხოვნით და მოსამართლის გადაწყვეტილებით, საქმე ისევ გენერალურ პროკურატურაში დააბრუნეს და ლაურა ღაჭავას განრიდება გაუფორმეს. ამ გზით გენერალურმა პროკურატურამ საქმეზე გამოძიება შეწყვიტა, ლაურა ღაჭავას დანაშაულში ხელი დააფარა და სააქციო საზოგადოება „პირიმზის“ აქციონერები მშრალზე დატოვა. არადა, ლაურა ღაჭავამ „პირიმზის“ აქციონერებს დიდძალი მატერიალური ზიანი მიაყენა, რაც დაახლოებით **5 მილიონ ლარს** შეადგენს!




## კვირგვინოსნები

**მამუკა გამყრელიძე**
*„ევროპელი დემოკრატების“ წევრი*



**ელიტური კორუფცია** ნაცების დროს იყო, ახლა **საყოველთაო კორუფციაა.** ასეთი კანონმდებლობით, **აბსოლუტურად გამორიცხულია, რომ ოპოზიციამ როდისმე მოუგოს „ოცნებას“ არჩევნებში.** ხომ ვხედავთ აგერ, პუტინს 27-ჯერ ირჩევენ. ასე იქნება აქაც.

„ახალი თაობა“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტოლოგი*



**ელიტური კორუფცია** ვერც **სააკაშვილის** ხელისუფლებამ დაამარცხა. ამბობენ — **ყვაოდაო.**

„ახალი თაობა“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



2012 წლის შემდეგ **ხელისუფალი არ შეცვლილა.** გადაწყვეტილების მიმღები ვინც იყო, ისევ ის არის.

„ახალი თაობა“

**ლევან ხაჭაპურიძე**
*პოლიტიკური დევნილი*



პრეზიდენტ **სალომე ზურაბიშვილთან** შექმნილ **საკოორდინაციო ცენტრში** ისეთივე ერთობა იქნება, როგორიც 1992 წელს სამხედრო საბჭოსთან მოქმედ **საკოორდინაციო საბჭოში** იყო პუტჩისტების ერთობა. ამ სამხედრო საბჭოს მომლოცველი იყო **სალომე ზურაბიშვილი, კიტოვან-იოსელიან-სიგუას** გვერდით იდგა და ის პოლიტიკურად არასდროს გამიჯნულა იმ სამხედრო საბჭოსგან, **დღესაც იმ დამანგრეველ პოლიტიკას აგრძელებს.**

„ალია“

**მიხეილ დაუშვილი**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*



„ოცნებას“ უნდა, ილუზია შექმნას, **თითქოს კორუფციას ებრძვიან** — კორუფცია რომ დაამთავრონ, **გამოძიება საკუთარი თავის წინააღმდეგ უნდა დაიწყონ და საკუთარი თავი დააკავონ.**

„რეზონანსი“



# ღია წერილი ბ

## ისევ პროკურატუ
## ლაურა ღაჭავას დანაშ

მოგმართავთ სააქციო საზოგადოება „პირიმზის“ აქციონე
**ზარ რაჭველიშვილი** თხოვნითა და რჩევით იმ საქვეყნოდ ც
დანაშაულის თემაზე, რომელსაც **„ბანკი ქართუს“ გაკოტრე**
**მე“** ჰქვია. პროკურატურას გამოძიება მიჰყავს დანაშაულებრი
მხედველობაში მაქვს აღნიშნული საქმის „პირიმზის“ ეპიზო
მელშიც ბოლომდე ვარ ჩახედული.

**პროკურატურის, „ბანკ ქართუსა“ და ლაურა ღაჭავას**
**ულებრივმა გარიგებამ სახელმწიფო დააზარალა 24 მილიო**
**რით, „პირიმზის“ 22% წილის მქონე 42 აქციონერს კი**
**გვინა 5 მილიონი ლარის ქონება!**

იმის მაგივრად, რომ წინა მთავრობის დროს დაწყებული
ული გამოძიებას შეეჩერებინა შესაძლებელ ეტაპზე, პირიქი
შეუწყო დამნაშავეებს, დაემთავრებინათ იგი წინასწარდასახ
მის ზუსტი დაცვით. ამის შემდეგ აღნიშნულ დანაშაულს მო
ახალი გაგრძელება, რა თქმა უნდა, ასევე დანაშაულებრივი.

რაც შეეხება „ბანკ ქართუს“, ვისი ინიციატივითაც აღიძ
ლის სამართლის საქმე, დანაშაულში ისე ჩაერთო, არც უ
რომ სამართლიანობის აღდგენის გაცილებით მართებული
არსებობდა.

**ჩემგან მრავალგზის იყვნენ ოფიციალურად გაფრთხილ**
**„ბანკი ქართუ“ და პროკურატურა ამ დანაშაულის შესახ**

2014 წლის 22 - 28 დეკემბერი № 51

**— ვისია დღეს პირიმზე?**

— „პირიმზე“ დღეს ოფიციალურად „ქართუ ბანკის“ საკუთრებაშია, რომელსაც შენობის ნაწილი უცხოურ კომპანიაზე აქვს გასხვისებული.

**— თქვენ ბიძინა ივანიშვილს ამ ათი წლის წინაც აფრთხილებდით და ახლაც აფრთხილებთ... მაინც რისი თქმა გსურთ?**

— როგორც ჩემთვის ცნობილია, ბიძინა ივანიშვილის არცერთ ქონებას ე.წ. კუდები არ მოჰყვება, ანუ ამ კაცს ყველაფერი პატიოსნად აქვს შეძენილი, მაგრამ ადეიშვილის პროკურორმა **ელიზბარ გოზალიშვილმა** 2012 წლიდან საქმე ისე წაიყვანა და „პირიმზე“ „ქართუ ბანკს“ ისე მიაკუთვნა, რომ ბიძინა ივანიშვილს ამ საქმეში დიდი ნაღმი ჩაუდო. ადრე იქნება თუ გვიან, ეს ნაღმი აფეთქდება. ხაზგასმით ვაცხადებ — **„ქართუ ბანკს“ ეს შედეგი კანონიერი გზითაც შეეძლო, მიეღო, მაგრამ**

**ადეიშვილის პროკურორმა ელიზბარ გოზალიშვილმა უკანონობა განგებ ჩაიდინა, რათა ბიძინა ივანიშვილი გასვაროს!**

**— თქვენ რას ითხოვთ?**

— ვითხოვ გამოძიების თავიდან დაწყებას და პროკურატურის მიერ ზიანის ანაზღაურებას! მეც და დანარჩენ ოცდაათ აქციონერს „პირიმზის“ ქონება, ფაქტობრივად, პროკურატურამ დაგვაკარგვინა. **სააკაშვილი წავიდა, ადეიშვილი წავიდა, მაგრამ პროკურატურაში არაფერი შეცვლილა.**

ათი წელიწადია, გენერალურ პროკურატურას მივმართავ და ვეუბნები — **ან პასუხი გამეცით, ანდა ცილისწამების გამო პასუხი მაგებინეთ!** არავითარი პასუხი, არავითარი რეაქცია, ხმას არ იღებენ! მივმართე სახალხო დამცველსაც, რომელიც ჩემი საქმით დაინტერესდა და იცით, გენერალური პროკურატურიდან როგორი პასუხი გასცეს? მაგ შეკითხვაზე სხვადასხვა დროს სხვადასხვა დეპარტამენტების მიერ პასუხი უკვე გაცემულიაო!

**— ადეიშვილის პროკურორ ელიზბარ გოზალიშვილთან კომუნიკაცია გქონდათ?**

— გოზალიშვილი უაზრო პასუხებს მაძლევდა — ის გამომძიებლები დღეს პროკურატურაში აღარ მუშაობენო, არადა, თვითონ, ბედის ირონიით, გენერალურ პროკურატურაში ისევ იმ თანამდებობაზე მუშაობს. სხვათაშორის, ახალი ხელისუფლების დროს, 2013 წელს, ამ საქმეზე გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტრომ, კერძოდ, უშიშროების ანტიკორუფციული სამსახურმა დაიწყო. მაშინ უშიშროება და შინაგან საქმეთა სამინისტრო ერთ უწყებაში იყო გაერთიანებული და „მოდულის“ შენობაში გკითხავდნენ. სამ თვეში ისე კარგად იმუშავეს, აურაცხელი მასალა დადეს, მაგრამ შემდეგ საქმე გენერალურ პროკურატურას გადასცეს და იმათ ყველაფერი გააოხრეს!

**— ლაურა ღაჭავა „პირიმზის“ ხელში ჩასაგდებად არ იბრძვის?**

— ლაურა ღაჭავა სადღაც ტკბილად ზის, ეტყობა, კმაყოფილია! ფაქტია, სახელმწიფომ აღიარა, რომ 21 მილიონი ლარი სააქციო საზოგადოება „პირიმზის“ ვალი აქვს. **ეს ვალი სახელმწიფოს დაედო ადეიშვილისა და სააკაშვილის პროკურატურის გამო.** არ გამოვრიცხავ, ლაურა ღაჭავა და პროკურატურა გარიგებულები იყვნენ, რადგან ქაღალდზე სააქციო საზოგადოება „პირიმზე“ ისევ არსებობს, ხოლო ლაურა ღაჭავა და მისი ქმარი „პირიმზის“ ძირითადი აქციონერები არიან. მართალია, დღეს „პირიმზეს“ ქონება აღარ აქვს, მაგრამ არსებობს სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალი. აი, ამ 21 მილიონისთვის იკლავენ თავს, თორემ „პირიმზეს“, როგორც სააქციო საზოგადოებას, ეგენი აქამდე საერთოდ დახურავდნენ. ამიტომ კიდევ ერთხელ ვიმეორებ: არ გამოვრიცხავ, გენერალურ პროკურატურას ლაურა ღაჭავასთან კუდი ჰქონდეს გადასკვნილი, რათა კაპიკებით მოგვიშორონ, ხოლო დარჩენილი თანხები გაიყონ! ფაქტია, რომ ამ ხალხისგან ყველაფერი მოსალოდნელია.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***




პროკურორი ელიზბარ გოზალიშვილი



***ახლა უკვე ნამდვილად შეგვიძლია, ვიზეიმოთ ახალი, დრაკონის წელიწადი, რომელიც, იმედი მაქვს, წლის მეორე ნახევარში ქვეყნისათვის სასიკეთოდ ბევრ რამეს შეცვლის! — აცხადებს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი და მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს აფასებს:***



მიხეილ ცაგარელი:

# დრაკონი რევოლუციონერია და იმედი მაქვს, რომ გააღვიძებს საზოგადოებასაც და პოლიტიკურ ძალებსაც!

— კიდევ ერთხელ ვამბობ — დრაკონის წელიწადი მშვიდი არ იქნება, მითუმეტეს, ეს გახლავთ **ნაკიანი წელიწადი,** როდესაც დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური ძვრებია მოსალოდნელი. მოიმატებს რევოლუციური სიტუაციებიც. ჯერ კიდევ როდიდან ვამბობ — **2024-2025 წლები გადამწყვეტი იქნება ადამიანებისთვის და, ზოგადად, კაცობრიობისთვის-მეთქი.** ასევე ეს არის აქტიური მზის წელიწადი, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანების ფსიქოემოციური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება. ამას განსაკუთრებით წლის მეორე ნახევარში ვიგრძნობთ. არ არის გამორიცხული, ამ დროისათვის ეპიდემიებმაც იჩინოს თავი.

**— წლის პირველი ნახევარი მშვიდად ჩაივლის?**

— წლის პირველ ნახევარში ყველაზე დაძაბული პერიოდი 21 მარტიდან გველის, როდესაც მზე ვერძის ზოდიაქოში, ყველაზე აგრესიულ ნიშანში გადაინაცვლებს და ომისა და აგრესიის პლანეტა მარსის მიერ არის მართული. ამას ემატება 25 მარტს **სავსემთვარეობა და მთვარის დაბნელება,** ხოლო 8 აპრილს — **მზის დაბნელება და ახალმთვარეობა.** ამ დროს შეიძლება არაადეკვატური იყოს ადამიანის მოქმედება, ანუ

**დაახლოებით 20 მარტიდან 10 აპრილამდე საგამოცდო პერიოდი იქნება ყველასათვის, მათ შორის, მთავრობისა და ქვეყნისათვის, რის გამოც გვმართებს განსაკუთრებული სიფრთხილისა და დიპლომატიის გამოვლენა.**

**— ჩვენს ბოლო ინტერვიუში აღნიშნეთ — კარგი იქნება, თუ ბიძინა ივანიშვილი დრაკონის წლის დადგომამდე ცვლილებებს არ გაატარებსო, თუმცა, 10 თებერვალს უკვე დამტკიცებული იყო ახალი პრემიერი ირაკლი კობახიძე...**

— ბიძინა ივანიშვილისთვის დრაკონის წელიწადი საქმის კეთების კუთხით გაცილებით უკეთესია, ვიდრე წინა წელი იყო. ამიტომაც ვურჩიე, ნამდვილი 2024 წლის შემოსვლამდე სერიოზული გადაწყვეტილებები არ მიეღო. **სამწუხაროდ, არ გაითვალისწინა. იმედი მაქვს, მისი ეს ნაბიჯი ქვეყნისთვის საზიანო არ იქნება.**

პირადად მე ამ ეტაპზე ვერ ვხედავდი **ირაკლი კობახიძის** გაპრემიერების აუცილებლობას. ქვეყნის წინაშე არ იდგა ის ამოცანა, ერთი ირაკლი მეორეთი ჩანაცვლებულიყო, თუმცა, მაინც ახალი სისხლია და პარტიის შიგნით უფრო შეფუცხუნდებიან ადამიანები.

***გაგრძელება 26-ე გვერდზე***

## კვირგვინოსნები

**ანზორ აბრალავა**
*ანალიტიკოსი*



ციხეში ყოფნას თავისი წესები და ეთიკა აქვს. **შეუძლებელია, პატივისცემა დაიმსახუროს პოლიტიკოსმა, რომელიც საკუთარ თავს უმძიმეს დიაგნოზებს უგონებს და იქცევა პატარა ბავშვივით, რომელსაც სულ დედა უნდა.** ამ ყველაფრიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს კაცი საპრეზიდენტო არ იყო. **სააკაშვილი** გათავისუფლების შემდეგაც ვერ მოვა ხელისუფლებაში. **მისი ხელისუფლებაში ყოფნა დამთავრდა.**

„ახალი თაობა“

**ჯონდი ბაღათურია**
*„ქართული დასის“ ლიდერი*



**სააკაშვილი** ჯერ კვდება, მერე პრემიერად მოსვლისთვის ემზადება. **იგი ჩამოუყალიბებელი, ცანცარა კაცია, რომელმაც ბრძოლის უღირსი, დამამცირებელი გზა აირჩია. სააკაშვილი ქვეყნის მოღალატეა.** ეს მუხლი ჯერ არა აქვს მიყენებული, მაგრამ ეს დროც მალე მოვა — **მან დავითგარეჯი გაყიდა, რისი ფაქტებიც დევს.**

„საერთო გაზეთი“

**გელა ნიკოლაიშვილი**
*უფლებადამცველი*



**სააკაშვილი თავის წარსულს ვერასდროს გადააფასებს.** ის დღესაც ამბობს, რომ ყველა მისი ქმედება სწორი იყო. იგივე **პატიმრების სისტემატური წამებები** სწორი იყო, მას ასე მიაჩნია, რადგან საქმეს ასე სჭირდებოდა. თურმე **ბიზნესმენების შევიწროება, დარეკეტება, დატერორება, ქონების ჩამორთმევა** სწორი იყო იმიტომ, რომ ბიუჯეტი უნდა შევსო. **ქუჩაში ხალხის ჩახოცვა** სწორი იყო, რომ დამნაშავეთა სამყაროს შეშინებოდა.

„ახალი თაობა“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ანალიტიკოსი*



„ოცნებამ“ არჩევნები ვისთან უნდა წააგოს, **ხაბეიშვილთან?!** მიშა რომ გარეთ იყოს, ტემპერატურას აწევდა. **ქუჩა ნაცმოძრაობის სტიქიაა.** გადაიტანენ პროცესს ქუჩაში? ჩემი აზრით, **დიდი სისულელე იქნება ახლა ქუჩაში გასვლა,** როცა არჩევნებამდე დარჩენილია რამდენიმე თვე.

„ახალი თაობა“

*დასაწყისი 25-ე გვერდზე*

# მიხეილ ცაგარელი:

# ყველა პრემიერისთვის ერთი და იგივე რჩევა მაქვს, მაგრამ ვინმე ითვალისწინებს?!

და მაინც, რატომ მიიღო **ბიძინა ივანიშვილმა** ეს გადაწყვეტილება? როგორც ჩანს, მან კოალიციაში არსებული პრობლემები დაინახა და იძულებული იყო, პროქართველი პოლიტიკოსი **ირაკლი ღარიბაშვილი** შედარებით ლიბერალი **ირაკლი კობახიძით** შეეცვალა, რომელმაც თავის დროზე ასეთი საოცარი ფრაზა თქვა — არ მესმის, რა არის ქართული იდენტობაო.

და მაინც, ბიძინა ივანიშვილმა ორი კურდღელი ერთდროულად დაიჭირა — არჩევნების წინ არ გაანაწყენა დასავლეთი და პარალელურად **ირაკლი კობახიძის** რეიტინგიც გაზარდა. ისიც ნათელია, რომ ბოლო დროს ყოფილი პრემიერის ზოგიერთი მთავრობის წევრი ყოველგვარ ზღვარს გადავიდა, მილიონიან სახლებს ყიდულობდნენ უცხოეთში, რაც ცუდად მოქმედებდა „ქართული ოცნების“ პრესტიჟზე.

ვიდრე **ირაკლი კობახიძეს** თავში არ აუვარდება, ის წინა პლანზე იქნება. **ირაკლი ღარიბაშვილს** კი დრო მიეცა დასაფიქრებლად — რა არ გააკეთა სწორად და სად დაუშვა შეცდომა. ბიძინა ივანიშვილი გამოცდილი ბიზნესმენია, კარგად იცის ადამიანების ფსიქოლოგია და მათი მოქმედების მოტივაციასაც ადვილად ხვდება.

**— როგორია ახალი პრემიერის ირაკლი კობახიძის ჰოროსკოპი?**

— სასწორის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ არის დაბადებული. კარგი დიპლომატიური მონაცემები აქვს. შეუძლია მოლაპარაკების მშვიდობიანად წარმართვა და კომპრომისების მიღწევა, რაც საქართველოსთვის მოცემულ პოლიტიკურ სიტუაციაში ძალიან მნიშვნელოვანია. **ადრე თუ გვიან საქართველოს დაუდგება რუსეთთან მოლაპარაკების პერიოდი და საჭირო იქნება ისეთი დიპლომატი, რომელიც კომპრომისის მიღწევას შეძლებს.**

## ირაკლი კობახიძე თავისი ხასიათით უფრო ლიბერალია, ვიდრე ირაკლი ღარიბაშვილი, ნაკლებად ტრადიციული და ეროვნული გახლავთ, თუმცა, ჭკუას ნამდვილად ვერ დავუწუნებთ.

აქვე ვეტყვი, რომ წლის მეორე ნახევარი რთული იქნება მისთვის და განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს. **ე.წ. შავი მთვარე — მაცდუნებელი ძალა — 9 თვით მის ზოდიაქოს ნიშანში, სასწორში გადადის.** ამ პერიოდში ირაკლი კობახიძე შეიძლება აღმოჩნდეს ცდუნების, ინტრიგების, ჭორების, ტყუილების მსხვერპლი. არაერთმა საქმიანმა პარტნიორმა უღალატოს. ამიტომ ყველა ინფორმაცია ზედმიწევნით უნდა გადაამოწმოს.



„ვიდრე ირაკლი კობახიძეს თავში არ აუვარდება, ის წინა პლანზე იქნება. ირაკლი ღარიბაშვილს კი დრო მიეცა დასაფიქრებლად — რა არ გააკეთა სწორად და სად დაუშვა შეცდომა!“

**— როგორ ფიქრობთ, რა უნდა იყოს მისი პირველი ნაბიჯები ახალ თანამდებობაზე?**

— ყველა პრემიერისთვის ერთი და იგივე რჩევა მაქვს, მაგრამ ვინმე ითვალისწინებს? საბოლოოდ, რასაც დასავლეთიდან ჩასძახებენ, იმას აკეთებენ. რა თქმა უნდა, ისეთი ინტენსივობით არა, როგორც ამას ნაციონალური მოძრაობა შვრებოდა, მაგრამ მაინც დასავლეთს ემსახურებიან.

**ღარიბაშვილის მსგავსად, ირაკლი კობახიძესაც ვურჩევ, იზრუნოს ერის გამრავლებაზე, დასწიოს საბანკო განაკვეთები, რომ ხალხი ქვეყნიდან არ გაედინოს... ყველაფერი გააკეთოს რუსეთთან ურთიერთობის დასალაგებლად...** როგორ შეიძლება ქვეყნიდან რუსი ტურისტების გაყრა?!

ახლახან კლუბ „ბასიანში“ ნარკოტიკისგან ახალგაზრდა, ანგელოზივით გოგონა რომ გარდაიცვალა, ვინმემ დათვალა, მერამდენეა?! **რატომ აგულავებენ ამ საეჭვო ღამის კლუბებს? გასაგებია, რომ ფული და კარგი ცხოვრება სურთ, მაგრამ იმაზეც იფიქრონ, რის ხარჯზე ხდება ეს?**

გასულ კვირას უშიშროებამ დიდი საფრთხე აგვარიდა თავიდან, ვორონეჟში რამე რომ აფეთქებულიყო და მასში ქართველების კვალი დაენახათ, კაცმა არ იცის, ამ ფაქტს რუსეთის მხრიდან რა რეაქცია მოჰყვებოდა. კარგია, რომ ქართულმა სპეცსამსახურებმა მოსალოდნელი უბედურება აღკვეთეს, მაგრამ მადლობა მთავრობის ყველა რგოლს არ ეკუთვნის. ძალიან ბევრი მინისტრი არის შესაცვლელი და ბევრ უწყებაში სათანადო ცვლილებები განსახორციელებელი!

რაც შეეხება უკრაინას, იმ ქვეყანასთან, რომელიც 2 წელია, გვაგინებს და შეურაცხყოფას გვაყენებს, დიდი ხნით ადრე უნდა გაგვეწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა, მაგრამ საქართველოს მთავრობამ ხმა რომ ამოიღოს და საკუთარი თავი დაიცვას, ამერიკა-ევროპა აუმხედრდება. აი, დღესაც „სილქნეტის“ ტელეკომპანიას მარჯვენა კუთხეში **„სლავა უკრაინი“** აწერია. მსგავსი რამ ხომ შეუძლიათ, აღკვეთონ?!

დღეს უკვე ყველა ხედავს, რაც დამართა დასავლეთმა უკრაინას, რომელიც ნელ-ნელა იშლება. სამწუხაროა, რომ ამ ომში ქართველები მიდიან და იღუპებიან. რას ვიზამთ, მათი არჩევანია. პატრიოტული ჟინი აქვთ, ფიქრობენ, რომ ეს საქართველოს წაადგება და დღემდე ვერ გაუგიათ, რომ ეს არის დაპირისპირება ამერიკასა და რუსეთს შორის, სადაც უკრაინა არის მსხვერპლის როლში!

**— თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს ახალი პრემიერის პოლიტიკა ნაციონალებთან და, ზოგადად, ოპოზიციასთან მიმართებაში?**

— ბიძინა ივანიშვილმაც და ორივე ირაკლიმაც ძალიან კარგად იციან, რა უნდა გააკეთონ ნაციონალებთან დაკავშირებით. რაც მთავარია, სააკაშვილი სანატორიუმიდან ციხეში უნდა გადაიყვანონ, მის წინააღმდეგ სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმეები აღძრან... დიდ იმედებს არ ვამყარებ, რომ მომდევნო 4 წელიწადში შიდა პოლიტიკაში სერიოზული ცვლილებები იქნება. კიდევ 4 წელი მოგვიწევს მათი ერთად ხილვა პარლამენტში.

## შეიძლება ადრინდელთან შედარებით „ქართულმა ოცნებამ“ საკანონმდებლო ორგანოში ცოტა მეტი დეპუტატი შეიყვანოს, მაგრამ ეს ტაშ-ფანდური გაგრძელდება!

მოკლედ, ამ ოთხ წელიწადში ბევრს არაფერს ველი ხელისუფლებისაგან, მთავარია, მთავრობამ ისეთი სტრატეგიული შეცდომა აღარ დაუშვას, რაც სომხეთთან მიმართებაში დაუშვა.

**— რას გულისხმობთ?**

— სომხეთთან სტრატეგიულ ხელშეკრულებაზე ხელი არ უნდა მოეწერათ! ეს იყო ძალიან დიდი შეცდომა. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე. ჯერ ერთი, სომხეთი ამას არ იმსახურებს, რადგან არ ცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და გაეროს ტრიბუნიდანაც კი არ უჭერს მხარს ლტოლვილების აფხაზეთში დაბრუნებას, თან კონფრონტაციაში შევდივართ აზერბაიჯანთან და თურქეთთან. ირაკლი ღარიბაშვილი აქამდე აბსოლუტურად სწორ პოლიტიკურ ნაბიჯებს დგამდა და ამ გადაწყვეტილებიდან სულ მალე წავიდა პრემიერის პოსტიდან.

**სამწუხაროა, რომ შევარდნაძიდან მოყოლებული, არცერთი ხელისუფლება არ ყოფილა არჩევანში ბოლომდე თავისუფალი.** ამერიკას და ევროპას მარწუხებში ჰყავს მოქცეული საქართველო და მანამ იქნება ჩემი რჩევები პრემიერისადმი ფუჭი, ვიდრე სისტემა არ შეიცვლება!

**— არის შანსი მესამე ძალის გამოჩენის, მითუმეტეს, არჩევნებამდე?**

— დრაკონი რევოლუციონერია და იმედი მაქვს, რომ გააღვიძებს საზოგადოებასაც და პოლიტიკურ ძალებსაც!

## „ღარიბაშვილის მსგავსად, ირაკლი კობახიძესაც ვურჩევ, დასწიოს საბანკო განაკვეთები, რომ ხალხი ქვეყნიდან არ გაედინოს... ყველაფერი გააკეთოს რუსეთთან ურთიერთობის დასალაგებლად!“

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**ლევან ლორთქიფანიძე**
*პოლიტოლოგი*



ვფიქრობ, **სალომე ზურაბიშვილი** ოპოზიციასთან არ აითქვიფება. თუ მაინცდამაინც **პოლიტიკაში წასვლა უნდა,** შეუძლია ეს მარტომ გააკეთოს, ან რამდენიმე ოპოზიციონერთან ერთად, რომლებსაც **ნაციონალებთან თანამშრომლობის და მათ ორბიტაზე ტრიალის გამოცდილება არა აქვთ,** თორემ მისი კაპიტალი შეიძლება წყალში ჩაიყაროს.

„კვირის პალიტრა“

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**სალომე ზურაბიშვილი** პოლიტიკაში არის **პაიკი და არა — დედოფალი,** შესაბამისად, მისი როლი ნომინალურია და მას ოპოზიცია მხოლოდ საკუთარი პარტიული ინტერესებისთვის გამოიყენებს **და საბოლოოდ პოლიტიკურ სანაგვეზე მოისვრის.**

„იმედინიუსი“

**დიმიტრი შაშკინი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**სალომე ზურაბიშვილისგან** თუ დაინახეთ კონკრეტული ნაბიჯები, გთხოვთ, მითხრათ. როგორ შეიძლება **მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერი, თანამედროვე საქართველოს შემქმნელი** იყოს ციხეში, **სალომე ზურაბიშვილს,** როგორც პრეზიდენტს, ჰქონდეს ამისი გასაღები, ამისი ბერკეტი და არ იყენებდეს.

„TV პირველი“

**ნუგზარ წიკლაური**
*ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრი*



არ მინდა, რომ პოლიტიკოსები მართალი სიტყვის თქმის მაგივრად, **კვიპროსულ საყვირებად** გადაიქცნენ — რაც ნაციონალურ მოძრაობაში განხორციელდა, **ჩასაფრებაა საკუთარი პოლიტიკური ძალის წინააღმდეგ.**

„პალიტრანიუსი“

მო გელა ნდებით!



მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

იმედის კლინიკა

თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა

imediclinic.com

* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი

პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო

სამშობიარო: 032 229-56-50

პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80



სამშობიარო სახლი და პედიატრიული სტაციონარი

# გამოლელოვებულები



ბოლო დროს საგონებელში ვიყავ ჩავარდნილი — **ხაზარაძე და ამათნაირები ხელისუფლებაში ნამეტნავი უმრავლესობით რანაირად უნდა მოვიდნენ-მეთქი?** არადა, როგორც მამუკა ხაზარაძის ამხანაგმა **ბადრი ჯაფარიძემ** განაცხადა, მათ ჩაუტარებიათ ყველანაირი „გამოკვლევებულობა“ და დაუდგენიათ, რომ საქართველოში მობეზრდათ „ქართული ოცნება“ და არც „ნაცმოძრაობის“ დაბრუნება უნდათ. ასეთი ამომრჩევლების რიცხვი კი აღმოჩენილა გაცილებით მეტი, ვიდრე „ქართულ ოცნებას“ და ნაცმოძრაობას ჰყავს ერთად აღებული. ჰოდა, ახლა „ლელო“ მუშაობს ამ უპატიოსნესი ამომრჩევლის კონსოლიდაციაზე, რათა მოაქციოს ევროპული პლურალიზმის ჩარჩოებში.

**ჰხედამთ, რაში ყოფილა საქმე?** არადა, მცირე გამოკვლევა მეც ჩავატარე და სავალალო სურათი მივიღე:

**1. ბადრი** აგიჟებს **მამუკას;**

**2. მამუკა** აგიჟებს **ბადრის;**

**3. ბადრი** და **მამუკა** აგიჟებენ ერთმანეთს;

**4**. ორივეს ერთად აგიჟებს **გრიგოლ გეგელია;**

**5. ბადრი, მამუკა** და **გრიგოლი** აგიჟებენ **სალომე სამადაშვილს;**

**6. სალომე** აგიჟებს სამივეს და მერე ოთხივენი ერთად აგიჟებენ **ანა ნაცვლიშვილს,** რომელიც ისედაც გიჟად არი;

**7.** ყველას აგიჟებს აშშ-ელი „პიარშიკი“, რომელიც ამათ დაიქირავეს;

**8.** ესენი ყველანი არიან ალაოდ და პერიოდულად გიჟდებიან.

☺

მე ბოლო ვერსიას უფრო ვემხრობი... ესენი „დაპაჩინკებასაც“ კი აღარ ექვემდებარებიან, აღარაფერს ვამბობ „ზაყიგანიისა“ და „რაზვალის“ გასწორებაზე!

# გახარებულ-გახარიებულები



როგორც **ქალბატონი ბუჩუკური** ამბობს, ამასწინებზე „ქართულ ოცნებაში“ შინაურული კვლევა ჩაუტარებიათ და ძალიან ცუდი შედეგი მიუღიათ — **2024 წლის ბოლოს არჩევნები როა, აგებენ.**

ეს კიდე არაფერი, ამ ცუდ შედეგებს პარტიის წევრებს უმალავენ, რათა პესიმიზმი და დეპრესია არ დაეწყოთ.

ეს ამბავი **სპირიდონა სულანჯიას** მიუტანია თავისივე პირით პირდაპირ **გახარიასთვის,** რომელსაც ეგრევე დაუბარებია **ქემოკლიძე და მეზვრიშვილი** იმ მიზნით, რომ აგი ამბავი ტელევიზიებამდე მიეტანათ. **ნათელას და ქემოკლიძეს თავიანთმხრივ ეს საიდუმლო გაუნდვიათ ბუჩუკურისთვის, რათა გამოსულიყო პარლამენტის დერეფანში და ყოლისფერი ჩეეკაკლნა მიკროფონიანი გოგო-ბიჭებისთვის.**

☺

აგი ამბავი ზედმიწევნით იციან **გახარიებში,** მაგრამ ჯერ არაფერი უწყიან **„ქართულ ოცნებაში“** და რომ არა **სპირიდონა სულანჯია,** არც **გახარიებში** ეცოდინებოდათ და ბიძინა ივანიშვილის მობრუნების მიზეზიც გაუგებარი დარჩებოდა.

☺

არა, ესენი რომ ფხიზლობენ სამშობლოს სადარაჯოზე, აეგრე ვერც **ნაცებში** ფხიზლობენ, ვერც **გნაცებში** და ვერც **შმაცებში.** ამათ რომ ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და გავრცელება იციან, ნურავინ დაიტრაბახებს. ისე, ვერც **ჟუილსა და პრაწა-პრუწუნში** წამოეწევა ვინმე!

თამარისი Tamarisi

დაინახე:





ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38

571 19 93 93   598 79 40 00

www.facebook.com/tamarisioptics

ლეგენდარული დიმიტრი ალავიძე
ლეგენდარული ვასილ მჟავანაძის
პირველი სტუმრობიდან 57-ე წელია,

მცხეთის სალობიეში გეპატიჟებათ!





მაღაზია «ბუკვიცა»



ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

# დახმარებისა და ხმარების შესახებ

**ჰუტლექსაანებმა დაიჩემეს:** „ქართული ოცნება“ ამტკიცებს, რუსეთის ხელისუფლებასთან არანაირი კავშირი არა გვაქვს და არც ვალოდია პუტინს ვექვემდებარებითო, მაგრამ ფაქტები სუ სხვანაირად ღაღადებენო... უფრო მეტიც, ამ დღეებში კრემლიდან ცხინვალსა და სოხუმში დაურეკავთ და ეგრევე დირექტივები მიუციათ — **თქვენი სუსი არ გავიგოთ, ისევ „ქართულმა ოცნებამ“ უნდა გაიმარჯვოს, ბიძინა ივანიშვილს არაფერი აწყენინოთ, ჩვენ მაგისი პოლიტიკა ძალიან მოგვწონსო.**

ცხინვალიდან და სოხუმიდან უკითხავთ — **კონკრეტულად რა გავაკეთოთ, რანაირად მოვიქცეთ, ყოველი შემთხვევისთვის ჩავიბანოთო?**

პუტინის დავალებაა, **არც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ილაპარაკოთ, არც დამოუკიდებლობაზე, არც ე.წ. საზღვარზე, არც რუსეთთან მიერთების რეფერენდუმზეო...**





ჰუტლექსაანთ ჟუუუურრრრნალისტი ასკვნის: **აი, ამიტომაც გაჩნდა განცდა, რომ პუტინი ივანიშვილს არჩევნების მოგებაში ეხმარებაო... პრინციპში, ეხმარება კი არა, ეგ საკითხი უკვე გადაწყვეტილია, „ქართული ოცნება“ არჩევნებს კრემლისა და პუტინის დახმარებით მოიგებსო.**

**როგორ ფიქრობთ, რატომ მოიგონეს ჰუტლექსაანებში ეგეთი უნდილი ზღაპარი?**

იმიტომ, მეგობრებო, რომ უკვე იციან, მწარედ დამარცხდებიან და მიზეზ-მიზეზ დოს მარილი რომ აკლია, მაგას ეძებენ.

იცით, ეგეთები კიდე რეებს ლაპარაკობენ?

ისაო... პუტინი ტრამპს **დაეხმარა** არჩევნებში და ვითომ „ქართულ ოცნებას“ რეიზა არ **დეეხმარებაო.** ისე, **დახმარება-დაუხმარებლობაზე** შემთხვევით ისინი ხომ არ საუბრობენ, ატოცთან შარვალჩახდილებს დღენიადაგ **ხმარება** რომ ელანდებათ?




# შევარდნაძის საიდუმლო

დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2023 წლის №46–49, 51–52, 2024 წლის №1–8

***ალბათ, ბევრ ჩვენგანს სმენია — ისეთი განცდა მაქვს, საქართველოს ისევ შევარდნაძე მართავსო, ანუ 1972 წლიდან მოყოლებული, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს ლიდერი გახდა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ყველაფერი თითქოს სწორედ შევარდნაძის გარშემო ტრიალებს — მისი გარდაცვალებიდან ლამის ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი. ამიტომ იმის გააზრება, ამ 50 წლის განმავლობაში რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მომავალში, სწორედ „შევარდნაძის საიდუმლოს“ ამოხსნით თუ შეიძლება.***

**ედუარდ შევარდნაძე** თავის მემუარებში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებს — სსრკ ახალი კონსტიტუციით საქართველოში სახელმწიფო ენად რუსული რომ უნდა დაეკანონებინათ და მთელმა ერმა გაბედა და გააპროტესტა!

ჩვენში ამ ამბებზე ათასგვარი ვერსია არსებობს, თუმცა, ყველა მაინც ერთში თანხმდება — იმ ისტორიულ დღეს, შესაძლებელი იყო, 1956 წლის 9 მარტის სისხლისღვრაზე დიდი ტრაგედიაც დატრიალებულიყო:

***„ვეცდები, აღვადგინო მოვლენები, რადგან ჩვენთვის, ქართველებისთვის, დამახასიათებელი უზრუნველობის გამო, სამწუხაროდ, იმ დროის ინფორმაციული თუ დოკუმენტური მასალა, ფაქტობრივად, არ დარჩენილა, მიუხედავად იმისა, რომ იქაურობა სავსე იყო ჟურნალისტებით, ტელეკამერებით, დოკუმენტური ფილმების გადამღები ჯგუფებით, ფოტორეპორტიორებით... იყო საიდუმლო გადაღებები ყველასთვის კარგად ცნობილი ორგანოს მიერაც და ა.შ...***

***საერთოდ, ისეთი დაძაბული ვითარება იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიის დროს, რომელსაც მხარი უნდა დაეჭირა სსრკ ახალი კონსტიტუციისთვის, რომ არცერთ სიტყვას და არცერთ კადრს სათანადო აღნუსხვის და აღნიშვნის გარეშე არ ტოვებდნენ.***

***ასე რომ, როცა გარკვეული დროის შემდეგ დავბრუნდი საქართველოში და მასალები მოვიძიე, არაფერი აღმოჩნდა“*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გვ. 83).*

ქართველთა ცნობილი სენი უზრუნველობა რომ არის, ამაში **შევარდნაძე** მართალია, მაგრამ მემუარისტი აშკარად ცრუობს, როდესაც 1978 წლის 14 აპრილის ისტორიული მოვლენების ამსახველი დოკუმენტური მასალის დაკარგვას მხოლოდ ქართულ უზრუნველობას აბრალებს!

ვის-ვის და შევარდნაძეს ძალიან კარგად უნდა სცოდნოდა, რომ ამდენი დოკუმენტური მასალა ქართველთა უზრუნველობის გამო არ გამქრალა — ის, უბრალოდ, საკავშირო „კაგებემ“ კრემლის დავალებით ამოიღო ყველა დაწესებულებიდან ერთი მარტივი მიზეზის გამო — **უნდა გამქრალიყო ყველა დოკუმენტური მტკიცებულება, როგორ მოუგო ქართველმა ერმა კრემლს მშობლიური ენის გადარჩენისთვის მშვიდობიანი, მასობრივი პროტესტის გზით.** და იოტისოდენა ეჭვიც არ არის, რომ ამ მასალების ამოღება-გადამალვაში თავად საქართველოს მაშინდელი პირველი კომუნისტი **შევარდნაძეც** მონაწილეობდა, კრემლიდან მიღებული დირექტივის უსიტყვოდ აღსრულებისას!

თუმცა, დავუბრუნდეთ 14 აპრილის შევარდნაძისეულ მოგონებებს:

***„მეამაყება, რომ თავიდან ბოლომდე ამ მოვლენების მონაწილე და, გარკვეულად, წარმმართველიც ვიყავი.***

***1978 წლის კონსტიტუციის მთავარი მიზანი იყო, შეუქცევადი გაეხადა საერთო სახალხო საბჭოთა სახელმწიფოს ფორმირება, ერთიანი ენობრივი (რა თქმა უნდა, რუსული) სივრცით, ერთი მენტალიტეტით. მოკლედ, ეს იყო გზა ეროვნულობის დაკარგვისკენ, გარუსებისკენ.***

***მე კონსტიტუციის საკავშირო კომისიის წევრი ვიყავი და, რა თქმა უნდა, რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარეც. ბუნებრივია, გულზე სადგისივით დამესო, როცა წავიკითხე, თუ რა ეწერა კონსტიტუციაში ენასთან დაკავშირებით. პროექტი ჯერ კიდევ ახალი გამოქვეყნებული იყო, ბევრს ვფიქრობდი, როგორ განმემარტა ყოველივე ეს ხალხისთვის“*** *(იქვე, გვ. 84).*

ანუ მემუარისტი თავად აღიარებს, რომ, სანამ ქართული ენის გამაუქმებელი ახალი საბჭოთა კონსტიტუციის პროექტი ხალხში გავრცელდებოდა, მას ქართული ენის გადარჩენისთვის ბრძოლის სტრატეგია კი არა, ის უფრო აფიქრებდა, როგორ შეესაღებინა და განემარტა ხალხისთვის უმტკივნეულოდ, ამიერიდან სახელმწიფო ენა საქართველოში რუსული გვექნებაო!

შევარდნაძე, როგორც გამოცდილი პოლიტიკოსი და მანიპულატორი, წინასწარ გრძნობდა, რა მწვავე რეაქცია ექნებოდათ ქართველებს ამ უხეშ კონსტიტუციურ რუსიფიკაციაზე და იმასაც მშვენივრად ხვდებოდა, რომ, თუ რუსიფიკაცია დაკანონდებოდა, ქართველი ერისთვის ის, როგორც ხელისუფალი, დასრულდებოდა. ამიტომაც, როგორც თვითონ ამბობს, ჯერ კიდევ პროექტის გამოქვეყნებამდე პირადად ესაუბრა **ბრეჟნევს:**

***„ვუთხარი, თუ რას ნიშნავდა ქართველი კაცისთვის ენა; რომ ლენინის, თვით სტალინის დროსაც კი სახელმწიფო ენის სტატუსი ქართულ ენას საქართველოს რესპუბლიკაში შეუნარჩუნდა, ხოლო თქვენი გენერალური მდივნობისას, ლიბერალური შეხედულების ადამიანის მმართველობის დროს, ამგვარი ცვლილებების შეტანა ძალიან მძიმე ლახვარი იქნებოდა, რომელსაც ხალხი ვერ გაგიგებთ-მეთქი“*** *(იქვე, გვ. 84).*

შევარდნაძის თქმით, ბრეჟნევი მის არგუმენტებს გაგებით შეხვდა და უთხრა — მესმის შენი, თუმცა, ამ საქმის სპეციალისტი არ ვარ, ამიტომ შეხვდი **სუსლოვს, ჩერნენკოს, კაპიტონოვს** და ამის შემდეგ, თუ კიდევ რამე პრობლემა იქნება, მეც ჩავერთვებიო... თუმცა, შევარდნაძის საუბრებმა **სუსლოვთან თუ ჩერნენკოსთან** შედეგი ვერ გამოიღო!

როგორც მემუარისტი იხსენებს, მან **სუსლოვს** — ამ კონსტიტუციისა და, საერთოდ, საბჭოთა იდეოლოგიის მამამთავარს, ისიც უთხრა, გემახსოვრებათ, რა სისხლისღვრა მოჰყვა 1956 წლის მარტის მოვლენებს, როცა ქართველებმა ეროვნულ შეურაცხყოფად აღიქვეს „სტალინის კულტთან“ ხრუშჩოვის ბრძოლა და ახლა, როცა საქმე მშობლიურ ენას ეხება, პროტესტი კიდევ უფრო მასშტაბური იქნებაო... მაგრამ ამაოდ!

შემდეგ მემუარისტი იხსენებს, რომ მისთვის მოულოდნელად, ახალი საბჭოთა კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებას ხალხში არავითარი პროტესტი არ გამოუწვევია:

***„ახალი კონსტიტუციის პროექტი არავის აინტერესებდა. ვიცოდი, რატომაც: მიაჩნდათ, რომ ფარატინა ქაღალდი იყო. ამიტომ იძულებული ვიყავი, კიდევ ერთხელ და განსაკუთრებულად ხაზგასმით მეთქვა, რომ არის ერთი პუნქტი, ერთი ფორმულირება სახელმწიფო ენასთან დაკავშირებით, რომელიც დასამუშავებელია, მაგრამ იმედი მაქვს, ჩვენი ენათმეცნიერები და მწერლები შესაბამის ფორმულირებას მოგვაწვდიან“*** *(იქვე, გვ. 87).*

მოკლედ, შევარდნაძე, ლამის ცხოველური ინტუიციის წყალობით, კარგად გრძნობდა, რომ ორ ცეცხლს შუა ექცეოდა: ერთი მხრივ, კრემლს უმტკიცებდა, რომ ქართული ენის რუსულით ჩანაცვლების გამო, ქართველი ხალხი 1956 წლის მარტის მოვლენებზე უარეს პროტესტს მოაწყობდა და, მეორე მხრივ, იცოდა, რომ იგივე ქართველი ხალხი, ადრე თუ გვიან, მასაც შეაჩვენებდა, თუ ახალი კონსტიტუციით სახელმწიფო ენად რუსული დაკანონდებოდა!

ჰოდა, **შევარდნაძემ** ქართველების „შეჩიჩხინება“ დაიწყო: მისი მტკიცებით, ეს „შეჩიჩხინება“ რომ არა, ქართველები არც აპირებდნენ გამოღვიძებას:

***„საქართველოს კომპარტიის ცეკაში დიდი თათბირი ჩატარდა ქართველი საზოგადოების მონაწილეობით. პროექტის 76-ე მუხლის მკვეთრი კრიტიკით მხოლოდ რამდენიმე კაცი გამოვიდა, გამორჩეულად მწვავედ — ცნობილი პუბლიცისტი აკაკი ბაქრაძე.***

***შემდეგ მწერლები გამოერკვნენ. ამის შემდეგ წინადადებით შემოვიდა აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა, შემდეგ უნივერსტიტეტიც გამოფხიზლდა, სტუდენტობა... მოკლედ, აგორდა ტალღა“*** *(იქვე, გვ. 87).*

ხალხმა გაიგო, რომ მართალია, სკოლებში ქართული ენის სწავლებას არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ სახელმწიფო დაწესებულებებში საქმეთა წარმოება რუსულ ენაზე უნდა გადასულიყო და ის კი არა, უმაღლეს სასწავლებლებში დისერტაციებიც კი რუსულ ენაზე უნდა დაწერილიყო:

***„მახსოვს მწერლების — ნოდარ წულეისკირის, ნოდარ დუმბაძის, გრიგოლ აბაშიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, რეზო ამაშუკელის, რეზო გაბრიაძის და სხვათა — ჩემთან მოსვლა და საუბარი; ირაკლი აბაშიძის პოზიცია, იზა ორჯონიკიძის გამოსვლა მწერალთა კავშირში, მანანა გიგინეიშვილისა და კობა იმედაშვილისა — ლიტერატურის ინსტიტუტში... არ დარჩენილა თითქმის არავინ, ვინც არ მოსულა ან არ გამოუთქვამს თავისი აზრი“*** *(იქვე, გვ. 87).*

**შევარდნაძე** იმასაც იხსენებს, როგორ დაიძრა ყინული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში:

***„სხვათა შორის, უნივერსიტეტშიც გვიან გამოერკვნენ. პროცესებს ბიძგი იმ ადამიანებმა მისცეს, რომლებსაც ოფიციალურად უნდა დაეცვათ კონსტიტუციის შემოთავაზებული პუნქტი. ესენი იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი დავით ჩხიკვიშვილი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი რისმაგ გორდეზიანი, ისტორიკოსი მარიკა ლორთქიფანიძე და კიდევ რამდენიმე მეცნიერი, რომლებმაც მიაქციეს ყურადღება ამ ფორმულირებას.***

***კონსტიტუციის კითხვა ყველამ დაიწყო, ვისაც აინტერესებდა და არ აინტერესებდა იგი“*** *(იქვე, გვ. 87).*

მოკლედ, საქართველოში უკვე ყველა იმაზე ალაპარაკდა, ენას გვართმევენო...



ლეონიდ ბრეჟნევი და ედუარდ შევარდნაძე

## ედუარდ შევარდნაძე:

## ბრეჟნევს ვუთხარი – ქართველები ვერ გაგიგებენ კონსტიტუციით ქართული ენის რუსულით ჩანაცვლებას-მეთქი!

## შევარდნაძე აშკარად ცრუობს, როდესაც 1978 წლის 14 აპრილის ისტორიული მოვლენების ამსახველი დოკუმენტური მასალის დაკარგვას მხოლოდ ქართულ უზრუნველობას აბრალებს!

*გიორგი გიგაური*

*გაგრძელება იქნება*



**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე გაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი-ფორტე“,** რომლებსაც ათასობით ადამიანი ღებულობს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.



**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**



# კახა საბახტარიშვილი:



# ბრეჟნევს კუმარინისგან თავისუფალი «ზუბროვკა“ რომ დაელია, შესაძლოა, საბჭოთა კავშირი არ დაშლილიყო!

***ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი მოგვიწოდებს, ყველამ შევიმოწმოთ D ვიტამინის დონე, რადგან ძილთან, ჩიყვთან, კანთან და თმასთან დაკავშირებული პრობლემები, ასევე დიაბეტი, მაღალი არტერიული წნევა და სხვა უამრავი პათოლოგია სწორედ მას უკავშირდება:***

— ვიტამინებს შორის ყველაზე გამორჩეული მაინც D ვიტამინია. ბოლო ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში მისი უცნობი თვისებების გამოსავლენად 100 ათასზე მეტი კვლევა ჩატარდა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი კვლევის ხარჯი მილიონობით დოლარს აჭარბებს, მაშინ ადვილი წარმოსადგენი იქნება, რა თანხები იხარჯება მსოფლიოში D ვიტამინის დღემდე საიდუმლოებით მოცული ეფექტების შესასწავლად.

D ვიტამინის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია ნაწლავებიდან სისხლში კალციუმის გადატანაა. იგი ოცჯერ ზრდის კალციუმის შეწოვას. აქედან გამომდინარე, როდესაც მენოპაუზის დროს ქალებს D ვიტამინის დეფიციტი აქვთ, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ კალციუმიც აკლიათ. ეს იწვევს ოსტეოპოროზის განვითარებას, რა დროსაც ძვლებიდან კალციუმი ირეცხება. ამ საშიში პროცესის თავიდან ასაცილებლად მთელ მსოფლიოში და საქართველოში მილიონობით ქალი D3 ვიტამინს კალციუმთან ერთად ღებულობს, რაც უდიდესი საფრთხის შემცველია, რადგან შესაძლოა, ინფარქტი განვითარდეს.

**— ასაკოვან ქალბატონებში D ვიტამინისა და კალციუმის მიღებამ ინფარქტი რატომ უნდა გამოიწვიოს?**

— გვახსოვდეს: **D ვიტამინის მიღება სახიფათოა, თუ მასთან ერთად არ მივიღებთ K2 ვიტამინს ან მისით მდიდარ საკვებს.** ეს პროდუქტებია: ყველი, სულგუნი, კვერცხი, ქათმისა და საქონლის ღვიძლი, ორაგული, ყველა სახის მწნილი, განსაკუთრებით მჟავე კომბოსტო. K2 ვიტამინს **კალციუმი** ძვლებსა და კბილებში მიაქვს და ამაგრებს მათ, მაგრამ, ამავდროულად, კალციუმისგან რეცხავს არტერიებს, სახსრებს, თირკმელს, ფილტვებს, კანს, თვალს და ყველა იმ ორგანოს, სადაც კალციუმის დალექვა დაუშვებელია.

D ვიტამინთან არის დაკავშირებული ე.წ. ფრანგული პარადოქსიც. არაერთგზის აღგვინიშნავს, რომ ყველაზე მეტ ცხიმიან საკვებს მსოფლიოში ფრანგები მოიხმარენ, მაგრამ ამის მიუხედავად, მათთან ინსულტისა და ინფარქტის სტატისტიკა ძალიან დაბალია. ამ ფაქტს დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ იმით ხსნიდნენ, რომ ყოველი ფრანგი დღის განმავლობაში ერთ ჭიქა წითელ ღვინოს მაინც მიირთმევს და მასში შემავალი ანტიოქსიდანტი **რასტვეროტოლი** დადებით გავლენას ახდენს გულსა და სისხლძარღვებზე. კვლევებმა აჩვენა, რომ ამ შემთხვევაში წითელი ღვინის როლი გადაჭარბებულად არის შეფასებული და ფრანგული პარადოქსის საიდუმლო იმაშია, რომ ცხიმიან საკვებში არამარტო D, არამედ ბევრი K2 ვიტამინია! ამავე დროს ფრანგები დიდი რაოდენობით მიირთმევენ მაგარ ყველს, თევზეულობას, კომბოსტოს. ეს პროდუქტები ყველა იმ კომპონენტს შეიცავს, რაც გულისთვის ასე საჭიროა — D ვიტამინს, კალციუმსა და K2 ვიტამინს. სხვათაშორის, **ლეონიდ ბრეჟნევის** საყვარელი სასმელი გახლდათ „ზუბროვკა“. ეს პოლონური არაყია, რომელსაც განსაკუთრებულ არომატს აძლევს მცენარე ზუბროვკის სურნელოვანი ნაყენი. მასში შედის ნივთიერება კუმარინი. მიუხედავად საბჭოთა კავშირში მისი დიდი პოპულარობისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლონური „ზუბროვკის“ ექსპორტი სასტიკად იკრძალებოდა, რადგან აღმოჩნდა, რომ კუმარინი K2 ვიტამინის ბლოკირებას ახდენს. აქედან გამომდინარე, **„ზუბროვკის“ სისტემატური მიღება ინფარქტისა და ინსულტის განვითარების რისკს ზრდიდა.** 1975 წელს ლეონიდ ბრეჟნევს ინფარქტი განუვითარდა და მის გამოჯანმრთელებას ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდა. მიუხედავად აკრძალვისა, ლეონიდ ბრეჟნევი პოლონურ „ზუბროვკას“ ჩუმად მაინც სვამდა და ექიმებს არ უჯერებდა. საბჭოთა ლიდერს, რომლის შემდეგაც საბჭოთა კავშირი დაინგრა, ფაქტობრივად, გულ-სისხლძარღვთა სისტემა უმძიმეს მდგომარეობაში ჰქონდა. ნახევრად სერიოზულად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირი პოლონურმა „ზუბროვკამ“ შეიწირა, რომელიც K2 ვიტამინს ანადგურებდა!

**— „ზუბროვკა“ დღესაც საშიში სასმელია?**

— დღეს „ზუბროვკას“ კუმარინი გამოცლილი აქვს, უხიფათოა და შეერთებულ შტატებშიც თავისუფლად იყიდება. **ბრეჟნევს რომ კუმარინისგან თავისუფალი „ზუბროვკა“ დაელია, შესაძლოა, საბჭოთა კავშირი არ დაშლილიყო!**

**— როგორც ცნობილია, D ვიტამინის წყარო ცხიმია. არადა, ამ დროს ცხოველურ ცხიმზე გვეუბნებიან, რომ გულ-სისხლძარღვთა სისტემის მტერია. რას იტყვით ამის შესახებ?**

— თავად განსაჯეთ, ცხოველურ ცხიმში, რომელსაც შეიცავს ბეკონი, სალა, ლორი, ღორის ხორცი, ღვიძლი და ა.შ. ძალზე ბევრია K2 ვიტამინი, რომელიც სისხლძარღვებს კალციუმს აცლის. როგორ შეიძლება, ეს პროდუქტები მავნე იყოს? რაც შეეხება მათში ქოლესტერინის არსებობას, არაერთგზის აღგვინიშნავს და კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, **ქოლესტერინი ორგანიზმისთვის აუცილებელია, რადგან D ვიტამინი სწორედ ქოლესტერინისგან წარმოიშობა.**

როდესაც მზის სხივი კანის ზედაპირს ეცემა, კანში არსებული ქოლესტერინი D ვიტამინად გარდაიქმნება. ასევე აუცილებელია, მივირთვათ ცხიმიანი და არა უცხიმო ყველი. ცხიმიან ყველში D ვიტამინიც არის, კალციუმიც და K2 ვიტამინიც. იგივე შეიძლება ითქვას კარაქზე. **საერთოდ, ვიცოდეთ, რომ ქოლესტერინის დამწევი პრეპარატები, ანუ სტატინები, ორგანიზმში K2 ვიტამინს ამცირებენ.** გამოდის, რომ სტატინები სისხლძარღვებში თითქოსდა ათეროსკლეროზული ფოლაქების წარმოქმნას უშლიან ხელს, მაგრამ, ამავდროულად, K2 ვიტამინს ანადგურებენ, რომელიც სისხლძარღვებს კალციუმს აცლის და ათეროსკლეროზის განვითარებას ხელს უშლის. ბოლო პერიოდში D3 ვიტამინი K2 ვიტამინთან კომბინაციაში იყიდება. იდეალური იქნება, თუ ყოველ 5 ათას ერთეულ D3 ვიტამინზე 50 მიკროგრამი K2 ვიტამინი მოვა.

**— მაინც რა ორგანოებსა და დაავადებებზე ზემოქმედებს D ვიტამინი?**

— ბევრს აწუხებს ხვრინვა და ძილში სუნთქვის შეჩერება, ანუ აპნოე, რომლებიც ინფარქტისა და ინსულტის განვითარების რისკს ზრდის. დადგენილია, რომ ასეთი ადამიანების 98 პროცენტს სწორედ D ვიტამინის ნაკლებობა აღენიშნება. D ვიტამინი, ამავდროულად, მოქმედებს ძილის ცენტრზე. ამდენად, **ვისაც დაძინების პრობლემა აქვს, ძილის წინ D ვიტამინი მიიღოს!** ბევრი უჩივის მეხსიერების დაქვეითებას და ყურადღების კონცენტრაციის მოშლას; მსოფლიოში კატასტროფულად მატულობს ალცჰაიმერითა და დემენციით დაავადებულთა რიცხვიც. ამის მიზეზი ისევ და ისევ **D ვიტამინის ნაკლებობაა** და სანამ საჭირო რაოდენობით D ვიტამინს არ მივიღებთ, ეს პრობლემები არავითარ შემთხვევაში არ მოიხსნება.

ძალიან ბევრ ადამიანს აწუხებს თმის სიმშრალე, გამელოტება და თმის მტვრევა. თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ თმები, ფრჩხილების მსგავსად, კანის გაგრძელებაა, ხოლო კანი მზის ულტრაიისფერი სხივების გავლენით საკუთარი ქოლესტერინისაგან ქმნის D ვიტამინს, მაშინ ყველა ამ პრობლემის სათავე სწორედ D ვიტამინის ნაკლებობაში უნდა ვეძებოთ. იგივე შეიძლება ითქვას **ეგზემაზე, ფსორიაზზე, აკნესა და ვიტილიგოზე.**

საქვეყნოდ ცნობილია, რომ ასაკის მატებასთან ერთად ადამიანის იმუნიტეტი ქვეითდება. ამიტომ ყველა ასაკოვან ადამიანს იმუნიტეტის გასაძლიერებლად სჭირდება D ვიტამინისა და მასთან ერთად K2 ვიტამინის მიღება. ამ ასაკობრივ კატეგორიაში ძალზე ხშირია თვალის ბროლის შემღვრევა, ანუ კატარაქტა, ასევე გლაუკომაც. D ვიტამინის მიღების გარეშე კატარაქტასა და გლაუკომას ვერ დავამარცხებთ!

**— ცნობილია, რომ D ვიტამინი მჭიდრო კავშირშია შაქრიან დიაბეტთან.**

— დიაბეტის განვითარებში D და K2 ვიტამინების ნაკლებობა მართლაც დიდ როლს თამაშობს. საერთოდ, D ვიტამინი ანთების საწინააღმდეგო ბუნებრივი და უძლიერესი საშუალებაა, მისი ნაკლებობა პანკრეასის ანთებას იწვევს, ხოლო პანკრეასის გარეშე ვერ მოხდება ინსულინის გამომუშავება, რომელმაც სისხლში შაქრის დონე ნორმაში უნდა მოიყვანოს. ამდენად, ყველა დიაბეტიანმა უნდა მიიღოს კომბოსტოს მწნილი, რადგან ეს უაღრესად სასარგებლო პროდუქტი, რომელიც კიბოსაც წარმატებით ებრძვის, შეიცავს დიდი რაოდენობით K1 ვიტამინს, რომელიც ნაწლავებში არსებული სასარგებლო ბაქტერიების გავლენით K2 ვიტამინად გარდაიქმნება. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს ლამის ეპიდემიის ხასიათი შეიძინა მაღალმა წნევამ, რისი გამომწვევი ძირითადი მიზეზიც სწორედ D ვიტამინის ნაკლებობაა!




**„მაღალი არტერიული წნევის გამომწვევი ძირითადი მიზეზი სწორედ D ვიტამინის ნაკლებობაა!“**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



# მიხეილ ცაგარელი:

# ასტროლოგია და ავტომობილის მართვა

*— რატომ არის რთული გზებზე ტყუპი-მძღოლის ამოცნობა, ანდა რა შეიმჩნევა ამ ნიშნით დაბადებულ მძღოლ-ქალში? ტყუპს გაორებულობა რას აიძულებს ან, სამაგიეროდ, ზოგჯერ შინაგან შფოთვას და სტრესულ სიტუაციებში საღი აზროვნების შენარჩუნების უნარს რა სარგებლობა მოაქვს? კირჩხიბის ნიშნით დაბადებულს საჭის მართვისას რა ძალუძს? ამავდროულად, რა აღიზიანებს და რას ვერ იტანს? განსაკუთრებული ყურადღების გამოვლენა როდის ესაჭიროება? რატომ არ ხუმრობს და რატომ უკრძალავს სხვებსაც გადამეტებულ მხიარულებას ავტომანქანის მართვის დროს? რას არ თაკილობს და საფრთხის შემთხვევაში როგორ მოიქცევა? ლომი-მძღოლი რას მოითხოვს გარშემო მყოფებისგან? თავს რად მიიჩნევს ანდა რა დამსახურებებს მიაწერს საკუთარ თავს? რით არის გამორჩეული მისი ავტომობილი? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი იმის შესახებ, თუ ზოდიაქოს ამა თუ იმ ნიშნით დაბადებულნი, ზოგადად, როგორი მძღოლები არიან და რა თავისებურებებით ხასიათდებიან.**

— **3. ტყუპი მძღოლის ამპლუაში მეტად თავისებურია. იგი ხან საკმაოდ პუნქტუალურია, ყველაფერს ამჩნევს, აკონტროლებს და ითვალისწინებს. ხან კი ვერაფერს ხედავს და მანქანა ერთბაშად ავტოპილოტზე გადაჰყავს, რომლის მართვის წესი მხოლოდ მისთვისაა გასაგები. ამგვარად, ყოველ ჯერზე მანქანას განსხვავებულად ატარებს და ამიტომ მისი ამოცნობა შესაძლებელია მხოლოდ შინაგანი შფოთვის მიხედვით, რომელიც ხან სუსტად აქვს გამოხატული, ხან კი — რელიეფურად და ტალღისებურად.** ასე რომ, ავტომობილს ხან ავტომრბოლელივით ატარებს, ხან — ახალბედასავით ანდა — ხანდაზმული პენსიონერივით. ამ ნიშნით დაბადებულ ქალბატონში შეიმჩნევა დაძაბულ მომენტში სხეულის წინ წამოწევა და ხელის კანკალიც. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გზებზე **ტყუპი-მძღოლის** გამოჩენა მაშინვე იწვევს მანქანების მოძრაობის ცვლილებას და ირგვლივ მყოფნი იძულებული ხდებიან, მას მეტი ყურადღება დაუთმონ. **მიუხედავად იმისა, რომ ტყუპი თავისთავად გაორებულია, მისი ძლიერი გონება, მხიარული ხასიათი, გამჭრიახობა და მრავალფეროვანი ნიჭი საშუალებას აძლევს, ცხოვრება მშვიდად და სასიამოვნოდ გაატაროს, მაგრამ ზუსტად იგივე თვისებები არ აძლევს საშუალებას, გზებზე მოძრაობისას ტარების მხოლოდ ერთ სტილს, ხერხს მიჰყვეს. სამაგიეროდ, მას ძალუძს, ყველაზე სტრესულ სიტუაციაშიც შეინარჩუნოს საღი აზროვნების უნარი და მართებული გადაწყვეტილება მიიღოს.** მისი შფოთვა სასარგებლოც კი ხდება იმ მომენტში, როცა მყისიერი რეაგირებაა საჭირო. **ტყუპს** მონოტონურად მოძრაობა არ უყვარს. ეს მისთვის მომაბეზრებელი და გამაღიზიანებელია. ამგვარად, **იმისათვის, რომ ტყუპის ნიშნით დაბადებულმა მშვიდად და აუღელვებლად მართოს ავტომანქანა, სასურველია, მას გვერდი დაუმშვენოს მგზავრმა, რომელიც არ მისცემს არც მოდუნების და არც აღელვების საშუალებას.**

**4. კირჩხიბ-მძღოლს მანქანების ნაკადში ასევე რთულად ამოიცნობთ. იგი ავტომობილს მშვიდად და აუღელვებლად მართავს. მას ძალუძს თბილად, შეუმჩნევლად, წესების დარღვევის გარეშე შეუერთდეს დაძაბულ მოძრაობას და ასევე რბილად და შეუმჩნევლად დატოვოს იგი. ამასთან, ისე, რომ არც საკუთარ თავს და არც სხვა მძღოლს დისკომფორტი არ შეუქმნას.** ამავდროულად, კირჩხიბს საკუთარი შეცდომების აღიარება უჭირს. სხვისი შეცდომებიც საკმაოდ აღიზიანებს. თუ გზაზე მოძრაობისას უხეიროდ მოსიარულე მძღოლის სიახლოვეს თავს ვერ დააღწევს, გარკვეული პერიოდი თავადაც უხეში, ჭირვეული და ბრაზიანი ხდება. განსაკუთრებით ვერ იტანს, როცა ცუდი მძღოლი წინ ჩაუდგება. ისიც უნდა ითქვას, რომ **კირჩხიბს** კარგი იუმორის გრძნობა აქვს, თუმცა, მძღოლის ამპლუაში არც თავად ხუმრობს და სხვებსაც უკრძალავს გადამეტებულ მხიარულებას, რადგან კარგად უწყის, რომ ასეთ შემთხვევაში შეცდომების დაშვების ალბათობა მაღალია. ნიშანდობლივია ისიც, რომ **კირჩხიბ-მძღოლს განსაკუთრებული ყურადღება მართებს ზაფხულში, რადგან გრძელ გზაზე ხანგრძლივი მოძრაობისას ძალიან იღლება და ყურადღებაც უსუსტდება.** ნიშანდობლივია ისიც, რომ **კირჩხიბის ნიშნით** დაბადებულისთვის მანქანის მართვა და გზებზე მოძრაობა არც თვითკმაყოფილებას იწვევს და არც აღიარებას ემსახურება, მაგრამ მოაქვს კეთილდღეობა, კომფორტი, პრესტიჟი, ძალაუფლება. შესაძლოა, შემოსავალი მოუტანოს. მიუხედავად ამისა, **მოძრაობისას არც სიხარბეს და არც ეგოიზმს არ ავლენს. სიამოვნებით შეასწავლის სხვას მოძრაობის წესებსა და ნიუანსებს, რათა მგზავრობა უსაფრთხო და სასიამოვნო იყოს.** ამისათვის არ თაკილობს ნებისმიერ სამუშაოს, მანევრის ჩატარებას და წესების დაცვას. თუკი გზებზე საფრთხე წარმოიქმნა, იგი, უპირველესად, იზრუნებს ოჯახის წევრებზე, ახლობლებზე, საკუთარ თავზე და შემდგომ ყველა სხვა გარშემო მყოფებზე.

**5. ლომი-მძღოლი თვლის, რომ გზებზე იგი მთავარი მოქმედი პირია, ავტომობილისტთა მეფეა, დანარჩენებმა კი მისი უსაფრთხოდ მოძრაობა უნდა უზრუნველყონ. მაშინაც, როცა თავად არის კრიტიკული სიტუაციის მიზეზი, ითხოვს სხვებისგან მისთვის სასიკეთო პირობების შექმნას. ამ ნიშნით დაბადებულისგან ხშირად მოისმენთ, რომ მშვენიერი ავტომრბოლელი იქნებოდა და ჩემპიონიც გახდებოდა, რადგან ყველა აუცილებელი უნარ-ჩვევა გააჩნია. რეალურად, ლომს მართლაც აქვს პირველობის დიდი ჟინი, მაგრამ აუცილებელი უნარების განვითარება ან არ სურს ანდა ეზარება,** ამიტომ პერიოდულად ცდილობს, საკუთარ თავზე მიიწეროს სხვათა დამსახურება გზაზე უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნასთან დაკავშირებით. ნიშანდობლივია, რომ **ლომის** ავტომობილი ხშირ შემთხვევაში გამოირჩევა რაიმე ნიშნით — სტიკეტით, ჩამონტაჟებული ძვირადღირებული დანადგარით, მუსიკალური აპარატურით და ა.შ. იგი გზებზე მოძრაობისას მანქანების ერთი ჯგუფიდან მეორისკენ გადაადგილდება და ლიდერის პოზიციის დაკავებას ცდილობს, რათა პატივმოყვარეობა დაიკმაყოფილოს.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 19 – 25 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
შემოქმედებას, ახლობლებთან ურთიერთობასა და გართობას ბევრ დროს დაუთმობთ. წარმატების მისაღწევად მოერიდეთ დიდ ფინანსურ გარიგებას, გარისკვასა და აზარტს. სამსახურს ნუ გამოიყენებთ საკუთარი მიზნებისთვის. საქორწინო თუ სასიყვარულო კავშირს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ეჭვიანობა და ზედმეტი მოთხოვნები. მოგზაურობისას გაუთვალისწინებელი სიტუაციები და გაუგებრობანი იმატებს.

**კურო** (21.04-20.05)
სიტყვიერად ნურავის ენდობით, ინფორმაციაც შეამოწმეთ. საჭიროების შემთხვევაში ცოდნის გაღრმავებასა და უცხო ენის ათვისებაზე იფიქრეთ. დახმარებისთვის მხოლოდ პროფესიონალებს მიმართეთ. ოჯახური და შვილებთან დაკავშირებული მოვალეობები დასვენების საშუალებას არ მოგცემთ, ამიტომ ეცადეთ, თავისუფალი დრო დასვენებისა და ძალების აღდგენისთვის გამოიყენოთ. მოგზაურობა კი არ არის რეკომენდებული.

**ტყუპი** (21.05-22.06)
პროფესიულ და თანამდებობრივ აღმასვლაში გარშემო მყოფნი დაგეხმარებიან, თუმცა, ყველასთან ურთიერთობა მარტივი არ იქნება, რადგან, შესაძლოა, როგორც საქმეში, ისე პირად საკითხში მოგატყუონ. კანონს ნუ დაარღვევთ და გარისკვასაც მოერიდეთ. შესაძლოა, მოგეჩვენოთ, რომ ძველი სიყვარული დასრულდა და დროა, ახალი მოიძიოთ, მაგრამ ეს შეგრძნება მალე გადაგივლით. დროულად იზრუნეთ ჯანმრთელობაზეც, რათა ჩვეული ფორმა შეინარჩუნოთ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
კარიერული აღმასვლის, ნიჭისა და შესაძლებლობების წარმოსაჩენად კარგი პერიოდია. ლიდერის პოზიციის დაკავებისას კოლეგებთან სირთულეები გაჩნდება. სახლის საქმეები ბევრ დროს წაგართმევთ, მაგრამ გარშემო მყოფნი პროფესიულ ზრდაში დაგეხმარებიან. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ და ეცადეთ, არ გადაიღალოთ. შორეული მივლინება ჯობს, გადადოთ, რათა საქმე არ წაიხდინოთ.

**ლომი** (23.07-23.08)
სანამ რაიმეს წამოიწყებთ, კარგად დააკვირდით მიმდინარე მოვლენების დინამიკას. დროულად მიიღეთ დამატებითი ცოდნა, რათა გვერდი აუაროთ გაუთვალისწინებელ პრობლემებს. კარგი პერიოდია ახლობლებთან და დედმამიშვილებთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მეგობრები დაიხმარეთ. შესაძლოა, სიყვარულმა გონება აგირიოთ და პერსპექტივაზე უარი გათქმევინოთ. მოგზაურობა არ არის რეკომენდებული.

**ქალწული** (24.08-23.09)
ეს დრო დაგამახსოვრდებათ სასიამოვნო შეხვედრებით, გადაადგილებებით და თქვენთვის საინტერესო ინფორმაციის მიღებით. უფრო თეორიული საკითხებით დაინტერესდებით. ადამიანებზე გავლენის მოსახდენად და საწადელის მისაღწევად ფარული მეთოდები გამოიყენეთ. ახლო ურთიერთობა, შესაძლოა, სიყვარულში გადაიზარდოს, მაგრამ სათუოა, დიდხანს გაგრძელდეს. მოგზაურობა ახლო მანძილზე დასვენების საშუალებას მოგცემთ.

## 19 – 25 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
საქმიან პარტნიორებთან უთანხმოებას მცდარი შეხედულებები და მიზნები განაპირობებს. საქმიანობაში დახმარებას ახლო ნათესავები და ოჯახის წევრები გაგიწევენ. მეუღლესთან ან შეყვარებულთან გაუგებრობის შემთხვევაში უხეშობას ნუ მიმართავთ, არამედ, ეცადეთ, კრიზისიდან გამოსასვლელი გზა მოიძიოთ. ტექნიკის ან მჭრელი საგნების გამოყენებისას სიფრთხილე გმართებთ, რათა არ დაშავდეთ. მოგზაურობაც გადადეთ, რამეთუ თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი სუსტია.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
გაუმჯობესდება ენერგეტიკული პოტენციალი, სამუშაო პირობები და ასევე ინტელექტუალური აქტივობაც. ყველა ძველი პრობლემა თავისით მოგვარდება. ფული კი ჯერჯერობით ჯობს, საჭირო ნივთებზე დახარჯოთ. შეყვარებულთან მიმართებით, პრინციპული ნუ იქნებით და ეცადეთ, არაფერზე იეჭვიანოთ, რათა კონფლიქტი აირიდოთ. გზებზე გადაადგილებებისას ნუ გარისკავთ, რათა სახიფათო შემთხვევები თავიდან აიცილოთ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
პრობლემების სიუხვის მიუხედავად, ეცადეთ, ეს პერიოდი გამოიყენოთ საქმიანობის გარდა, დასვენებისთვისაც. რთულ საკითხთა განხილვას და პროტესტის გამოთქმას მოერიდეთ. შეყვარებულმა შესაძლოა, პრეტენზიები წამოგიყენოთ, რომლის დარეგულირებაშიც მეგობრების დახმარება დაგჭირდებათ. შორეული მოგზაურობა შედეგს ვერ მოიტანს, მაგრამ დრო ხელს უწყობს მიმოწერასა და კავშირების აღდგენას.

**თხის რქა** (22.12-19.01)
გარშემო მყოფებთან ერთობლივი საქმიანობისას შესაძლოა, არასასიამოვნო გარჩევის მომსწრე და მონაწილე გახდეთ. ოჯახის წევრებთან და შეყვარებულთან ურთიერთობა ბევრად უფრო სასიამოვნო გახდება, თუ ერთად დაიწყებთ საცხოვრებლის გალამაზებსა და კეთილმოწყობას. მოგზაურობა-გადაადგილებების რიცხვი შეამცირეთ და ეცადეთ, აუცილებლობის გარეშე სამშობლო არ დატოვოთ, რათა ფსიქოსომატური მდგომარეობა არ გაიუარესოთ.

**მერწყული** (20.01-18.02)
არახელსაყრელი პერიოდია დიდი ფინანსური გარიგებებისა და ოპერაციებისთვის. მატერიალური პრობლემის გამო ბევრი ფინანსური ჩანაფიქრის განხორციელება ჯერჯერობით ვერ მოხერხდება. მშობლები მოსალოდნელ დახმარებას ვერ გაგიწევენ. ფინანსურ საკითხში არასტაბილურობა ოჯახთან და შეყვარებულთან ურთიერთობას დაძაბავს. თავისუფალი დრო სასურველია, ჯანმრთელობის გაკაჟებასა და სპორტს დაუთმოთ.

**თევზები** (19.02-20.03)
თქვენი ყურადღება მიპყრობილი იქნება სახლისა და ოჯახის პრობლემებისკენ. ბიზნესსა და პირად საქმიანობაში ოჯახის წევრები და ახლობლები ყოველმხრივ დახმარებას გაგიწევენ. მოსალოდნელია ასევე დამატებითი სამუშაოს ან ახალი ბიზნესის დაწყება, რაც თქვენს ცხოვრებაზე პოზიტიურად აისახება. ეცადეთ, სწრაფად იმოქმედოთ და თანამოაზრეებს დაუკავშირდეთ. სხვა ქალაქში გამგზავრებაზე უარი თქვით, რათა გზაში პრობლემა არ შეგექმნათ.



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
## 20, 21, 23 და 24 თებერვალი

**10 თებერვალი – ახალმთვარეობა, პიკი – 03.01 საათზე.**
**24 თებერვალი – სავსემთვარეობა, პიკი – 16.31 საათზე.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 19 თებერვალი, ორშაბათი

**მზე** გადაინაცვლებს (08.14) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.52 საათზე, ჩადის 17.38 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (07.36) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 12.26 საათზე, ჩადის 20 თებერვალს 03.55 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 12.28 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები: მზის** გადანაცვლება თევზების ზოდიაქოში ადამიანებში გააძლიერებს ემოციურობას, მგრძნობელობას, ინტუიციას, სენტიმენტალურობას, რომანტიკულობას, თანაგრძნობას, დახვეწილ იუმორს, მუსიკით, პოეზიით, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა დარგებით, ეზოთერული და რელიგიური საკითხებით დაინტერესებას და ასევე, ფანტაზიორობას, ილუზიებს, დეპრესიისკენ მიდრეკილებასაც. დღეს კარგია ლოცვა, ახალი პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება, საოჯახო-სანათესაო კონტაქტები, სასიყვარულო ურთიერთობა, კულინარიული საქმიანობა, ვაჭრობა, თეთრეულისა და ჭურჭლის შეძენა, არ არის სასურველი რეცხვა, ქორწინება, ბინის შეცვლა, მჭრელ საგნებთან ურთიერთობა, სესხის აღება-გაცემა. ეცადეთ, პოზიტიური განწყობა შეინარჩუნოთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, ღვიძლი. **ქვები:** ზურმუხტი, აქატი, მარგალიტი, მწვანე იასპი, რაუხტოპაზი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 20 თებერვალი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.51 საათზე, ჩადის 17.40 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 13.24 საათზე, ჩადის 21 თებერვალს 04.48 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 13.31 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სასიკეთოა ლოცვა. შედეგიანია ხერხემლის, ძვლების, სახსრების, მუხლების, კბილების მკურნალობა. კარგი დღეა საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, ეროვნული ფასეულობების პატივსაცემად, ტრადიციებში ჩაღრმავებისთვის, ანტიკვარიატის, საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად, სანტექნიკის რემონტისთვის, რეცხვისთვის, ვაჭრობისთვის, სასამართლო პროცესებისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება, საბუთები ხელმოწერამდე კარგად შეამოწმეთ. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. მჭრელ საგნებთან ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, აქატი, ამეთვისტო, ოპალი, რაუხტოპაზი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

## 21 თებერვალი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.49 საათზე, ჩადის 17.41 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (17.45) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 14.27 საათზე, ჩადის 22 თებერვალს 05.32 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 14.47 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 10.39 საათიდან 17.42 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა ცვლილებებისთვის, ბრძნული რჩევებისა და საიდუმლო ცოდნის მისაღებად, ახლობლებთან ურთიერთობისთვის, შემოქმედებისთვის, ვაჭრობისთვის, კბილების, ძვლოვანი სისტემისა და ხერხემლის სამკურნალოდ. საღამოს კი კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, საჩუქრებისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, საფინანსო გარიგება და საბუთებზე ხელმოწერა, ბინის შეცვლა, სესხის აღება, დაპირებების გაცემა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ზურმუხტი, ალექსანდრიტი, ოპალი. **საღამოს** — ბრილიანტი, ქარვა, სარდონიქსი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 22 თებერვალი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.48 საათზე, ჩადის 17.42 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 15.32 საათზე, ჩადის 23 თებერვალს 06.06 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 16.07 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს არ დაგავიწყდეთ თქვენი გადაწყვეტილების შეთანხმება ყველა დაინტერესებულ პირთან. ეცადეთ, გაერკვეთ — თქვენი მოწოდება სულიერ ზრდას შეუწყობს ხელს თუ ცოდვას. კარგია გაზის ან ელექტროქურის შეძენა-დაყენება, ახალი სამსახურის დაწყება, ძვირფასი ნივთების, სამკაულების, საჩუქრების შეძენა, კულტურულ-გასართობი ღონისძიებები. არ არის სასურველი ნერვიულობა, სიმძიმეების აწევა, ქორწინება, ფინანსური გარიგება, ხელშეკრულების დადება, პრეტენზიის გამოხატვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სარდონიქსი, ქარვა, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 23 თებერვალი, პარასკევი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.46 საათზე, ჩადის 17.43 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 16.36 საათზე, ჩადის 24 თებერვალს 06.35 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 17.27 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 08.19 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან გონების, ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი **პლანეტა მერკური** გადაინაცვლებს **თევზების** ზოდიაქოში (10 მარტამდე), რაც ადამიანთა აზროვნებისას გაამახვილებს ემოციურობას, მგრძნობელობას, ინტუიციას, ფოტოგრაფიულ მეხსიერებას, დახვეწილ იუმორს და ასევე ილუზიებსაც. დღეს გამოვლინდება ჭეშმარიტი პრიორიტეტები. დროს ფუჭად ნუ დაკარგავთ წარსულის პრობლემა-ვალდებულებების გამო. კარგი დღეა ძვირფასი ნივთების, საჩუქრების შესაძენად, თმის მოვლისთვის, იურიდიულ საკითხთა გადასაწყვეტად. სასიკეთო დღეა თვალების, მკერდის, ნერვული სისტემის სამკურნალოდ. არ არის სასურველი ქორწინება, ფინანსური გარიგება, ნერვიულობა, სიმძიმის აწევა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა, სარდონიქსი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 24 თებერვალი, შაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.45 საათზე, ჩადის 17.45 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (05.36) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 17.39 საათზე, ჩადის 25 თებერვალს 06.58 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 18.45 საათზე. **სავსემთვარეობაა,** პიკი — 16.31 საათზე. ამ დროს იწყება მთვარის მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 05.39 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მაღალია აგრესია-დეპრესიის, შეცდომების, ცდუნებების, კონფლიქტების, მავნე ჩვევების წარმოჩენის, ტრავმების, ავარიების ალბათობა, რაც ყოველი ჩვენგანისგან ითხოვს ყურადღებასა და სიფრთხილის გამოვლენას. ეცადეთ, ზედმეტად კრიტიკული, ეჭვიანი, მეწვრილმანე არ იყოთ. შეძლებისდაგვარად ახალი და მნიშვნელოვანი საქმე გადადეთ. არ არის სასურველი გარისკვა, ალკოჰოლის მიღება, ხელშეკრულების დადება, ბინის შეცვლა, ქორწინება, სესხის აღება, ხორციანი კერძის მიღება. კარგი დღეა კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის. განეწყვეთ პოზიტიურად, შემოიფარგლეთ ყოველდღიური საქმით. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, მწვანე და ყვითელი იასპი, მალაქიტი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 25 თებერვალი, კვირა

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.43 საათზე, ჩადის 17.46 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 18.40 საათზე, ჩადის 26 თებერვალს 07.18 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 20.00 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** ურთიერთგაგება გამახვილებულია. კარგი დღეა სწავლისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, აუდიტისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, ვაჭრობისთვის, საყოფაცხოვრებო ტექნიკის, სამედიცინო და ჰიგიენისთვის საჭირო ნივთების შესაძენად, კარადების მოსაწესრიგებლად, ტანისამოსის კერვა-შეკეთებისთვის. არ არის სასურველი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, სარისკო ქმედება, ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. **ჯანმრთელობა.** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, მწვანე და ყვითელი იასპი, ქრიზოპრაზი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.



**„ასავალ-დასავალის" რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს** და უდიდეს გულისტკივილს გამოხატავს ლეგენდარული ქართველი სპორტსმენის, ბეჭდაუდებელი ფალავნის, დიდი ჩემპიონისა და მამულიშვილის

# ლევან თედიაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს, ახლობლებსა და სრულიად საქართველოს.

***პანაშვიდი:*** *ორშაბათს, 19 თებერვალს, 16 საათიდან, თბილისი, ცაბაძის ქუჩა, მე-2 კორპუსი;* ***გამოსვენება:*** *სამშაბათს, 20 თებერვალს, 14 საათზე, თბილისის სპორტის სასახლიდან;* ***დაკრძალვა*** *ქალაქ საგარეჯოში.*

## საეკლესიო კალენდარი

✝ 19 თებერვალი. ორშაბათი. **ღირსისა არსენ იყალთოელისა;** ღირსისა ვუკორლესი, სმირნელი ეპისკოპოსისა.

✝ 20 თებერვალი. სამშაბათი. **კეთილმსახურისა მეფისა სოლომონ II-ისა, სამშობლოსათვის თავდადებულისა;** ღირსისა პართენი ლამფსაკიელი ეპისკოპოსისა; ღირსისა ლუკა ელადელისა.

✝ 21 თებერვალი. ოთხშაბათი. **დიდმოწამისა თეოდორე სტრატილატისა;** წინასწარმეტყველისა ზაქარია ნამგლისმხილველისა, 12-თაგანისა; მოწამეთა: მართასი, მარიამისა და ძმისა მათისა ღირსმოწამისა ლიკარიონ ყრმისა.

✝ 22 თებერვალი. ხუთშაბათი. მოწამისა ნიკიფორესი, ასურეთის ანტიოქიიდან; მღვდელმოწამეთა: მარკელესი — სიცილიელი ეპისკოპოსისა, ფილაგრესი — კვიპრელი ეპისკოპოსისა და პანკრატისა — ტავრომენიელი ეპისკოპოსისა. **ნაწილთა აღმოყვანება ღირსისა გაბრიელ სალოსისა, აღმსარებელისა (ურგებაძე).**

✝ 23 თებერვალი. პარასკევი. **ღირსისა იოვანე ჭიმჭიმელისა, ფილოსოფოსისა;** მღვდელმოწამისა ხარლამპი სასწაულმოქმედისა და მისთანა მოწამეთა: პორფირისა, ბაპტოსისა და სამთა დედათა.

✝ 24 თებერვალი. შაბათი. მღვდელმოწამისა ვლასისა, სებასტიელი მთავარეპისკოპოსისა; მართლისა თეოდორასი, საბერძნეთის დედოფლისა, წმიდათა ხატთა თაყვანისცემის აღმდგენელისა. ღირსი ნინოსი, სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონასტრის განმაახლებლისა.

✝ 25 თებერვალი. კვირა. **მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკე. ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის დღესასწაული;** ღირსმოწამეთა: პროხორე ქართველისა, ლუკა იერუსალიმელისა, მოწამისა ნიკოლოზ დვალისა და იერუსალიმის ქართველთა მონასტრებში ცხოვრებულთა ყოველთა ქართველთა მოწამეთა და ღირსთა მამათა.


## მადლობა მკურნალ ლამარა თოდუას!

თოდუების საგვარეულო მალამოებითა და წამლებით ქალბატონმა ლამარამ ათასობით ადამიანი გამოაჯანმრთელა. ის 100-პროცენტიანი გარანტიით კურნავს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, დარჩენილ ნაწიბურებს, ნაწოლებს, გამაგრებულ ნანემსრებს, თმის ბუდობრივ ცვენას, ბუასილს, დისბაქტერიოზს (შეკრულობას, აშლილობას). მისი მალამოები სწრაფად შეგიხორცებთ დაჩირქებულ ჭრილობებს (დიაბეტიანებს), მოგირჩენთ ჰაიმორიტს (ქრონიკულს), მოგაშორებთ ქერტლს, ტილებს (ერთი პროცედურით). სწრაფად და წარმატებით კურნავს სოკოვან დაავადებებს, ფრჩხილების გასქელებას, დახეთქილ ქუსლებს, ჩირქოვან გამონაყარს კანზე, მწერების ნაკბენს (პირველივე წასმაზე ქრება ქავილიც და სიწითლეც).

**ტელეფონები: 599-16-10-82, 593-99-62-52, 230-62-52**


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ტაქტიკა; 6. ტაფტა; 12. ნიხრი; 13. ბლოკადა; 14. რანჟირი; 15. კასკო; 16. ლონდა; 17. რაპორტი; 18. ეტალონი; 19. მძივი; 20. ნიასა; 21. გონკური; 22. ანაბარი; 26. ცხარე; 27. ფიგუ; 29. ატილა; 32. ბურიდანი; 33. მისია; 36. ჰინკა; 37. ფილიპიკა; 41. სამოვარი; 42. საგანი; 44. დერმატინი; 45. ნარმანია; 48. რერიხი; 50. აპოლინერი; 56. კრიჟი; 57. იავა; 59. ტრაპეცია; 60. საირმე; 61. ლინი; 62. ტაბლა; 63. დეკანატი; 64. ქიმერა; 65. ია.

**შვეულად: 1. ტერტერა; 2. ქანქარა; 3. ირინოლა; 4. ანილინი; 5. ფხენიანი; 6. ტიკამაცუ; 7. ფესტივალი; 8. აბორიგენი; 9. კომპანია; 10. ნატრიუმი; 11. ბაზილიკა; 23. ნაუსი; 24. ბლიცი; 25. რეალი; 27. ფიჭა; 28. გენია; 30. ტრავმა; 31. ლაერტი; 33. მადა; 34. სისინი; 35. ალმური; 37. ფედრა; 38. ლორგო; 39. პიაფი; 40. კლიტე; 42. სირია; 43. გორდა; 46. ნაირობი; 47. ამიმია; 49. ხაბაზი; 51. პორშე; 52. ლეპრა; 53. ნაცია; 54. რიალი; 55. კირხე; 56. კრეტა; 58. გონა.**

**ფანტაზიანილოსიონილიპომადავარიანტიკვარიათი**
**მანიკიურიუმიაკინიავიზოილიადამისიათამარილი**

| შემოქმედებითი წარმოსახვა, ოცნება | მდინარე აფრიკაში | NBA-ს კალათ-ბურთელი | ტუჩის საცხი | რისამე ნაირსახეობა, სახეცვლილება | სოფელი ხელვაჩაურის რაიონში |
|---|---|---|---|---|---|

| გაზიანი ტკბილი წყალი | ვნება, ზარალი | ერთგვარი დამატენიანებელი სითხე | ცხიმოვანა | ნესტან-დარეჯანის მამიდა | ძველებური, იშვიათი ნივთებით მოვაჭრე | √100 |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. საზოგადოებრივი და პოლიტიკური ბრძოლის ხერხები; 6. აბრეშუმის, ბამბის მტკიცე ქსოვილი; 12. ტარიფი; 13. ქალაქის, არმიის გარემოცვა მტრის ჯარების მიერ; 14. ჯარისკაცების დაწყობა მწკრივში; 15. გემის დაზღვევა; 16. ერთგვარი თმის საღებავი; 17. პატაკი; 18. დადგენილი საზომი ერთეული; 19. ყელის სამკაული; 20. ტბა მოზამბიკში და მალავიში; 21. ფრანგი ძმები მწერლების გვარი; 22. ბანკში შეტანილი ფული; 26. მწარე; 27. პორტუგალიელი ფეხბურთელი; 29. ჰუნების წინამძღოლი; 32. ფრანგი ფილოსოფოსი; 33. საგანგებო დავალება; 36. ავი სული; 37. მკაცრი, მამხილებელი გამოსვლა ვისიმე წინააღმდეგ; 41. რუსული წყლის მადუღარა; 42. ფრანგი მწერალი ქალი; 44. ხელოვნური ტყავი; 45. თბილისის ყოფილი მერი; 48. რუსი მხატვარი; 50. ფრანგი მწერალი („დამჯდარი ქალი“); 56. კათოლიკური ჯვარი; 57. ინდონეზიის კუნძული; 59. გეომეტრიული ფიგურა; 60. ქართული მინერალური წყალი; 61. ამერიკელი რეჟისორი; 62. დაბალი მაგიდა; 63. ფაკულტეტის ხელმძღვანელობა დეკანის მეთაურობით; 64. ხრტილოვანი ზღვის თევზი; 65. ვაჟა-ფშაველას მოთხრობა.

შვეულად: 1. სომეხთა მღვდელი; 2. საათის ნაწილი; 3. ჯანსულ ჩარკვიანის ლექსი; 4. უფერული ზეთოვანი სითხე; 5. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი; 6. იაპონელი დრამატურგი; 7. ხელოვნების რომელიმე დარგის მიღწევათა ჩვენება, დათვალიერება; 8. ადგილობრივი მკვიდრი მოსახლე; 9. სავაჭრო და სამრეწველო ამხანაგობა; 10. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 11. უგუმბათო ტაძარი; 23. არამუსლიმანური ხალხების სამარხი შუა და წინა აზიაში; 24. სწრაფად გათამაშებული ჭადრაკის პარტია; 25. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 27. თაფლის დასაგროვებელი ფუტკრის ოჯახები; 28. დიდი ნიჭი; 30. სხეულის ქსოვილების ან ორგანოების დაზიანება; 31. უილიამ შექსპირის დრამის „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 33. იშტა; 34. გველის ხმიანობა; 35. ბუდი, სიმხურვალე; 37. ჟან რასინის დრამა; 38. ტერმინი — აღნიშნავს ნელ ტემპს მუსიკაში; 39. ფრანგი მომღერალი ქალი; 40. საკეტი; 42. აზიის სახელმწიფო; 43. თორაძის ბალეტი; 46. კენიის დედაქალაქი; 47. მიმიკის მოშლა; 49. პურის მცხობელი; 51. გერმანული ავტომობილი; 52. კეთრი; 53. ერი; 54. იემენის ფულის ერთეული; 55. ლუთერანული ეკლესია; 56. საბერძნეთის კუნძული; 58. კორეის ფულის ერთეული.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ხელის ფრჩხილების მოვლა | ესკიმოსების ნავი | სიო | უსამართლო, ღვარძლიანი კრიტიკოსი | სამოთხის ბინადარი | ძველებური თოფი | მლაშე სანელებელი |
|---|---|---|---|---|---|---|

| გერმანელი მწერალი | რადიოაქტიური ელემენტი | შუა აზიაში - პოეტი | სწრაფმავალი გემი (მზვერავი) | ჰომეროსის პოემა | საგანგებო დავალება | ქართველი მეფე ქალი | ვივი-ენ ... |
|---|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2024 წლის 19 – 25 თებერვალი №9 (1527)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეღიაჰოლიჰოლიაცია "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**




THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA Acting Architect of the Capitol